# ცისკარი.

**1865**

## სეკტემბერი.

## წელიწადი მეცხრე.

წოდება თხზულებათა:


I—რას ვქებდი და რა ვპოვე, კომედია სამ მოქმედებად. თხ. კნ. ბარბარე ჯორჯაძისა.

II—ქმრის გოდება. (ლექსი.) თ. აკ. წერეთლისა.

III—რამოდენიმე სიტყვა ჩონგურის შესახებ. თ. აკ. წერეთლისა

IV—სხუა და სხუა ანბავი (იხილე მეორე გვერდზედ.)



ტფილისი.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

## «ცისკრის» რედაქციისაგან.

**1866** წელს «ცისკარი» თავისის დამატებით «გუთნის დედით» გამოვა იმავე მიმართულებით, რა მიმართულებითაც აქამდინ გამოდიოდა. თუ რამე ნაკლულევანება შენიშნეს მკითხველთ, რომელზედაც არ არის ეჭვი, ეს ჩუენი ბრალი არ არის. — თუმცა ბევრი კარგი სტატიების დაბეჭდვა გვსურვებია და გვსურს, მაგრამ, როგორც იტყვიან, ჟამთა ვითარება ისეთია, რომ შეუძლებელია ამ სურვილის აღსრულება, მოკლეთ ვსთქვათ, ქართულის ანდაზის მიხედვით: «დრონი მეფობენო» — მაინც და მაინც იმედს კიდევ არა ვკარგავთ და ყოვლის ღონისძიებით ვცდილობთ კარგის სტატიების მოპოვებას, რომელთა შორის გვეგულება რედაქციაში ანგლიურიდამ ნათარგმნი დიმ. ყიფიანისაგან შექსპირის დრამა «ორი ვერონელი აზნაურის-შვილი» და, რომელსაც უპირებთ ამ მოკლეს დროში დაბეჭდვას. — ამას გარდა ამ ნუმრის შემდგომს, ოკტომბრის ჟურნალითგან დავიწყობთ ბეჭდვას ჩინებულის და ჩინებულადვე ნათარგმნის გრ. რჩეულოვისაგან რომანისას, «აღსარება მარიონ დელორმისა». მხოლოდ ამას ვითხოვთ, ვისაც დაბარება სურდეს ამ ჟურნალისა, დროთი გვაცნობონ, რომ იმდენი დაიბეჭდოს, რამდენიც გალის-მომწერნი გვეყოლებიან და ტყუილ-უბრალოდ ხარჯისაგან გამოგვიყვანონ. —

# რას ვეძებდი და რა ვპოვე.

კომედია, სამ მოქმედებად.

თხზულება კნეინა ბარბარე ჯორჯაძისა.

წელსა 1865 წ. ფებერვლის 11 დღესა

დაბას ზუგდიდს

მერკვილაძის ტიპოგრაფიაში.

# მოქმედნი პირნი:

თავადი იულონ სიმირიძე.

დათია, მოურავი იულონისა.

ხოსია, მსახური მისივე.

ოსანა, ქალი მესანთლოვისა.

მაქთაღა, ყასბის დედა.

თალალა, მაქთაღას შვილიშვილი.

ფოჩტალიონი.

პირველი მოქმედება არის სოფელში, მეორე და მესამე მოქმედება ქალაქში.

# მოქმედება 1.

(თეატრი წარმოადგენს ერთს გაულესავს ოთახს, რომელსაცა აქვს ორი ფანჯარა,—ადგილ-ადგილ ქაღალდ გაკრული, რადგან მინები აკლია. ამ ოთახში, ცალ-მხარესა დგას პატარა ტახტი და ზედა ჭმლია ძველი ხალიჩა, მეორე მხარესა დგას ერთი ძველი სკამი.)

## გამოსვლა 1.

იულონ. (ზის ტახტზედ და ჴელში ათამაშებს კრიალოსანს; ბოლოს თავს მაღლა აიღებს და იტყვის:)

რა ვქნა, ამდენი ფიქრითაც რომ ვერა გავაწყვერა?... ზოგიერთნი ის ოხრები, ისე უწყალოთ ნეტა რითა მდიდრდებიან, ზოგმა რომ თავის ფულების ანგარიში არცკი იცის?.. აბა, ეხლა, მე, მითომ თავადიშვილი ვარ, შემომხედოს კაცმა, რა ტანისამოსი მაცვია!...

(წამოდგება ფეხზედ და ჴელით იდაყვებს იშინჯავს.)

დაგლეჯილი შალის ჩერქესკა და ჩითის ახალუხი!... ნეტავი ამის მეტი ახალუხი მაინცა მქონდეს!.. რომ გავარეცხინებ ხოლმე, საჩქაროთ თუ ცეცხლზედ არ გამიშრეს, გულით რომ მინდოდეს, გარეთ ვერ გამოვსულვარ.—ეს ერთი წელიწადი არის დიდის ცდითა ვცდილობ და ერთი მაუდის ჩოხის შეკერვა ვერ მოვახერხე.

გამოსვლა 2.

მოურავი (შემოვა, დურა ტუჯ წამოსხმული, იულონს თავს დაუკრავს და იტყვის:)

ბატონი ადღეგრძელოს ღმერთმა!

იულონ. (ცოტას ხანს ისევ ფიქრში არის, შემდგომ შეხედავს მოურავს და ეტყვის:)

ოჰ, დათია, შენა?

მოურავი. მე გახლავარ შენი ჭირიმე.

იულონ. (ისევ ჩაფიქრდება.)

მოურავი. (მოწიწებით) რას დაფიქრებულხართ, ბა-ტონო, ქვეყნის საქმეს ხომ თქვენ არა გთხოვენ?

იულონ. (მწარე ღიმილით.) საქმე კი არა. არა, ბეჟო, შენ კი მითხარ, მე და შენ რა დაგვემართა რომ, ჩვენი სისხლი ამ ოჯახში ჩავღვარეთ. შენ ეგ ტანჯვა ვერ გა-მოიცადე და მე კი შენის წყრომება.

მოურავი. დიდებულო! რომ შემოგხედოთ დაფიქრე-ბულს, გეგონებათ გული გამიხეთქა.— მე მეგონა კიდევ ქო-თი დიდი მეხაწყვეტელი მიბრძანების რამე მეთქი... იმდე-ნი დღეგრძელობისა ვქონდეთ, რამდენი კარგი ტანისა-მოსი ჩვენ გვიცვამს? ან ქალა რა გვიჭირს?

იულონ. ვიცი, ფარისევლობაში არც უნდა დადიოდეს თავდადებულები. მიუტკბო ქალა მე კარ... (დაიყვავებს დაა-ნახვებს.)

მოურავი გამოჯობინებული რომ არ დავრჩეთ, ამითი მი-თომ, რა? ფერი გვქონდა, თუ ხორცი? ჯანის სიმრთელე გვქონდეს და გული მხიარულად შევინახოთ, თორემ ზი-ზილა მიწიდებული ახალი იქნება ქალა ჩვენზედ მეტს თუ გაიცნობს

ვინმე სანაძლევოს დავდებ.

იულონ. გული მხიარულათ, რომელი სახნით შევინახო ჩემო დათიავ, განა ცოტა მწუხარება გამოვიარე? მაგრამ იმითიც არ მოვკვდი? ცოცხალი კაცი თუ გაიღრეჯს, იმითი რა გამოვიდა?

მოურავი. წასულს ვედარავინ მოვეწევით, სევდებს თავი უნდა დაანებოთ, ქალა ბატონო, ჩუენ, ღუთის მოწყალებით, არა გვიჭირსრა.

იულონ. კარგათ ყოფნაა ესა? ცარიელი ქერ-ჭრელის ჭამით, ლამის კბილები დამცვივდეს.

მოურავი. დალოცვილო, რა ცოტა ნახნავები გვქონდა, მაგრამ ბევრნი ვართ და რომ ვერ აგვივიდა... მარტო ოცი კოდი შენი შვილების ოსტატს გაუგზავნეთ.

იულონ. შენის ანგარიშით, რამთენი დღის ნახნავი გვქონდა წელს ჩუენა?

მოურავი. (მცირეს ფიქრს შემდეგ). რამთენი და (კელებითა ჭსთვლის) სამი დღისა ნასიმინდარი, ორი დღისა ნაფეტვარი, ასლა ჩუენი დიდი ხოდაბუნი?...

იულონ. იმ ხოდაბუნსაც შენ ეძახი დიდსა, თორემ ბევრი იყოს ხუთი დღიური, მეტი ხომ არ იქნება?

მოურავი. რასა ბძანებთ, რატომ ოცი დღისაც არ არის?

იულონ. მამა არ წამიწყდეს!

მოურავი. რა გაფიცებთ, დალოცვილო.

იულონ. მაშ, თუკი მაგრე არის, გასასყიდათაც გადაგვრჩება და ქერ-ჭრელით რაღათა მკლავთ.

მოურავი. გასყიდვისაკი რა მოგახსენოთ და ახლამდისკი ბჭეულოფა.

იულიონ. მამა ცხონებულო, ბევრი მოგკვიდაო, გამესარდა, მე გასასყიდათ მინდა მოვასყრსო რამე და არა ვიცირა.

მოურავი. ჭოოო! გასასყიდათ გინდათ? მაშ ღვინოები გავჰყიდოთ, ორმოცი თუმნისა მაინც გაგვეყიდება.

იულიონ. ღვინოკი გვაქვს გასასყიდი?

მოურავი. ღვინო როგორ არ გვექნება, მერე, შენი რისხვა არა მაქვს, ისე ნაირათ, საგულისგულოთ დავაყენე, რომ მთელს კახეთში იმისთანა არა იქნებარა, თითო ურმიან ქვევრში ოცოცი გოდორი ჭაჭა ჩავაყარე.

იულიონ. (შეკრთომით) კაცო, ურმიან ქვევრში ოცი გოდორი ჭაჭა! ღვინო რაღაში ჩაასხი?

მოურავი. ხოსიას დაუძახებ, ჭაშნიკი ვნახოთ როგორ ჩინებულათ შეღებილი გახლდებათ.

იულიონ. თუკი წვენი აღარა ედგმებარა, რაღა შეიღებებოდა?

მოურავი. გადაღების დროს ვენახში მსარავები მყვანდა და მე აღარ მინახამს, მეშინიან, ჭაჭა ცოტაც არ მოსლოდეს.

იულიონ. (გაჯავრებით) შე ოჯახს ქორო, ურმიან ქვევრისათვის ოცი გოდორი ჭაჭა ცოტა არის? მიკვირს, ანკი როგორ ჩაეტია?.., აბა ხოსიას დაუძახე.

მოურავი. (კარებთან მიდგება და უძახის) ხოსიავ! ხოსიავ! ბატონი გიბძანებს, (მოურავი ისევ შემობრუნდება.)

## გამოსვლა 3.

იგინივე და ხოსია.

ხოსია (შემოდის, დაგლეჯილი ჩითის ახალუხი აცვია,

თავზედ თუშური ქუდი ჩამოუხაჩავს, ფეხებში და ქალამნები აცვია, წამოდგება წინ და იულონს:)

რას მიბძანებთ, შენი ჭირიმე?

იულონ. ხოსიავ, რადგან მეკუჭნავე ხარ, შენ უფრო გეცოდინება,—მოურავი რომ ამბობს, იმ ქვევრებს, რა-ერთი ღვინო უნდა გამოუვიდეს.

ხოსია. რომელ ქვევრს ბატონო?

მოურავი. (ხოსიას) მე რო გითხარ შავი ღვინოებისა, უჩემოთ არ დასარჯო მეთქი, შენ რომ გადაიღე.

ხოსია. ის ღვინო? მერე სადღა გასღამთ?

მოურავი. (წყენით) გაგიჟდი? მაშ რა იქნა?

ხოსია. მაშინ ბატონს, სახლიკაცები რომ დაუპატიჟნა სადილათა, ის ღვინო სულ არ დალიეთ? ცვარიც აღარ დაგრჩენიათ ჩემა გამჩენმა!

მოურავი. (გაოცებით) ორივ ქვევრები გამოცალეთ? ბარაქალა. კარგათ გარჯილხართ!...აბა ემაგას ვამბობ ხოლმე აი!....

ხოსია. (წყენით) რა ორი ქვევრი გაცლა, მე ხომ არ მომიპარავს? შენ რომ საბარაქალოზედ კაისკუპსა ჭურჭლიდი, რაღა გადაგრჩებოდათ. ქჳწყანა აქ შეყარე და ძალიათ პირ-ში ახსამდი.

მოურავი. მაინც მაგრე ჭლუპავთ ამ სახლსა—და რა უნდა გიყოთ კაცმა.

ხოსია. აბა როგორ გითხრა და, მე და შენში ღმერთი გაუწყრეს ამ სახლის მოღალატეს!

იულონ. (მოურავს) კარგია ერთი, ჩუმათ იყავ, ცარიე-ლი ჭაჭა ჩაგიდვია და წუწნი რაღა ელგმებოდა?.. (ხოსი-

აზედ კედლს იმვერს) ეს მართალს ანბობს.

სოსია. (იულონს) ბატონო, თქჳენ როგორ მოგპა-რავთ რასმეს, ღმერთი არ გამიწყრება?

მოურავი. მაშ მე აღარა მცოდნიარა, ურმიან ქჳევრი-სათჳს ოცი გოდორი ჭაჭა ბევრი იქნება?

იულონ. (გაჯავრებით მოურავზედ ამბობს პუბლიკისა-კენ.) მე და ჩემმა ღმერთმა სულელი არის... ანკი რას ვე-ლაპარაკები!...

მოურავი. შენ მზესა ვფიცავ, ჩჳენი დიდი რუმბები რომ არის, თითო ქვევრი ორივეს გაავსებდა და იმათენი როგორ დავლიეთ.

სოსია. ან იმაში რა ბევრი ჩადის, ორივე თორმეტი ჩაფისა გასლამთ.

იულონ. (სოსიას) სხჳა ღვინოკი არა გაქჳსრა?

სოსია. ერთი პატარა ქოცო კიდევ შენახული მაქჳს იმ ღვინისა,—რა ვიცი როგორ დაგვჭირდეს.

იულონ. (მოურავს) მაშ ბევრი გაიყიდება, სიტყჳა ბა-რაქიანო?

მოურავი. მე რა გიყოთ, თქჳენ ჩიჩიაც გინდათ და ბაბაცა. (ბუტბუტით გასწევს კარისაკენ.)

იულონ. (გაივლის და გამოივლის). ნეტავი იმათენი ფუ-ლი მაინც მომესერსებინა, რომ ქალაქამდის ჩავსულიყავ... მოურავო, წასველ?—აქ მოდი რა გითხრა.

მოურავი (კარიდან ისევ მობრუნდება). რა გნებავთ?

იულონ. კარგათ უნდა იფიქრო, რა უნდა გავყიდოთ?

მოურავი. რა ვიფიქრო, დალოცვილო, რომ სულა ჯავ-რობთ.

იულონ. ჩემგან როდი უნდა გეწყინოს, სულელო, — ერთათ შეზრდილები ვართ.

მოურავი. აგი არა მწყინს.

იულონ. მაშ, მითხარ, რა გაგჭყიდოთ?

მოურავი. მაგას რა დიდი ფიქრი უნდა?

იულონ. აბა რა მოვახერხოთ?

მოურავი. ისეთი დასუქებული ღორები მყავს... ჩჳენი სიმიდი სულ იმათ შევაჭამე... თითო ღორში შჳდ-შჳდ მანეთს მოგვცემენ.

სოსია. (თავს იქნევს, ფუბლიკისაგან.) რა ტრაბახი იცის თქჳენი ჭირიმეთ!

იულონ, (სიხარულით.) ჰა, ბარაქალა! ეგ კარგი მომაგონე... რამთენი იქნება?

მოურავი. თვლითკი არ ვიცი და, ძალიან ბევრი კი უნდა გვყვანდეს.

იულონ. სოსიავ, აბა წადი მეღორეს ჰკითხე, რამთენი ღორი არის, და ჩქარა მოდი.

სოსია. ბატონი ბძანდებით. (გავა.)

იულონ. (მოურავს.) ეხლა ფული ძალიან მიჭირს და არ ვიცი რა ვქნა?

მოურავი. თუკი მაგრე არის და, დღეს, აქ, სოფელში ვნახე, ერთი ქალაქელი სირაჯი მოსულა, იქნება ახალი ღვინის მოსავალზედ მოგვცეს ფულები?

იულონ. ჭაშნიგს მოითხოვს და სად არის?

მოურავი. ვერ ვიცნობთ, თორემ ათიოდე თუმანს დავასწევდი როგორმე, ამის მეტათ იმას აქ არ გაუვლია.

იულონ. ჭაჭა-თხლე ისე იაფათ რომ არ გადაგედვარა

ეხლა კარგს ფულს მოგვცემდა.

მოურავი. მაშინ უფრო თავზედ წვიმა არ ჩამოგვდიოდა? იმისმა ფულებმა ყავარი დაგვისურა, მეტი რაღა გინდათ?

## გამოსვლა 4.

იგინივე და ხოსია.

იულონ. (ხოსიას). რაო? რამთენი ღორი გვყოლია?

ხოსია. მელორეს არ დაუჯერე, მე თვითონ დავთვალე: სამი გოჭებიანი ღორი არის, ორი მომგე ღორი, ორიც შიშაქი:—ეს გახლავთ ჩჳენი ფარა!!...

მოურავი. (იულონს) ტყუის, ტყუის, ახა მერმე მე დავთვალო... (ხოსიას) ქოხმანები სადღა არის, ან ბურვაკები?

ხოსია. ქოხმანები, ერთის მეტი ვიღამ მოგვცა? ბურვაკები რომ იყო სავლავათ, სხჳა რა გებადათ, სულ გავყუყუეთ?

იულონ. მოურავო, ეგ იყო შენი ბევრი? შჳდ-შჳდი მანეთიც რომ მოგვცენ, ან მაშინ რა დადგება?

ხოსია. (იულონს) დედა ღორები ასეთი გამხდრები არის, მამიჩემის ცხონებამ, ძაღლს რომ მიუგდოთ არ შესჭამს.

მოურავი. (იულონს.) აკი მოგახსენეთ, ყველას ასე გააქრობს ხოლმე მეთქი.

იულონ. რა ვქნათ, მოურავო, გაუჩენელი საიდან გავაჩინოთ?

მოურავი. ნახავთ ბატონო მე იმ ღორებს რა ერთ ფულებს ამოვალებინებ, მაგის სიმტყუვნისათჳს.

ხოსია. (მოურავს წყენით). ვაი, ჩემი ბრალი შენ კელ-

შია (პუბლიკისაგან) სულ ასე ცილით არა მწვამს...

იულიონ. სოსიავ, აბა ერთი წადი ქალაქელი სირაჯი მოსულაო, და ჩემ მაგიერათ უთხარ აქ მოვიდეს.

სოსია. ეს იყო, ეხლა, თქუენი სახლი გაცინას შევიდა.

იულიონ. ჩქარა წადი, არსად გაგასწროს.

სოსია. (იქით.) ამთენი თრევით ილაჯი აღარა მაქუს. (გავა.)

მოურავი. ვინცკი აქ სირაჯი მოსულა, ჩუენთჳს პატივი უცია და მოურთმევია რამე, იმანკი აქ მოსვლაც არ იკადრა, თქუენ ბიძაშჳლს უთოთ მოართმევდა რასმე, ამიტომ შესულა.

იულიონ. იქნება უფეშქაშა რამ.

მოურავი. (ფანჯრიდგან გაიყურება და პატარა ხანს უკან ისევ მობრუნდება.) ბატონო, აი, დაინახეთ, სირაჯი უიარაღოთ ყოფილა.

იულიონ. მერე, რა ექნათ?

მოურავი. როგორ თუ რა? ღენერლის ბძანება ხომ არის, რომ უიარაღოთ ვინც ივლის, ოცდა ათი როზგი უნდა დაეკრას! მოდი ეგ სირაჯი შევამინოთ, ეგების ფული გამოდნეს.—

იულიონ. მართლა, იქნება გაბრიყვდეს?

მოურავი. თქუენ იმას შეუტიეთ, როზგი უქადეთ,—ფულის სესხობისაკი ნუღარას გაუჩემებთ.—და ნახამთ თუ ქრთამი არ მოგვცეს.

იულიონ. თუ მაგრე არის საქმე და ახლა მე ვიცი.

გამოსვლა 5.

იგინივე, ავეტიქა და სოსია.

ავეტიქა. (შემოდის გაქონილი გრძელი მაუდის ჩოხით,

ზემოდამ ხარტყელი შემოუკრავს, მაღალ ქუდ დახუ-რული, გამოივლის, ქუდს მოიხდის და იულონს თავს დაუკრავს:) კნიაზი აღლეგრძელოს ღმერთმა!

იულონ. შენა ხარ სირაჯი?

ავეტიქა. მე, აის, ავეტიქა სირაჯი გახლავარ.

იულონ. გეტყობა ღენერლის ბრძანება არ გაგიგია?

ავეტიქა. ღვინოების სყიდვაზედ?

იულონ. ღვინოები კი არა, როზგების შოვნაზედ.

ავეტიქა. ჭოოო! სალდათებისათჳს კნდომება.... კნიაზ-ჯან, გამირიგე ფოდრათით, ურემს სამ მანეთათ მოუტან და შენც ჩაი შაქარს მოგართმევ.

იულონ. რას სულელობ, ვინც უიარაღოთ სოფლებში დადის, ბრძანება არის ოცდა ათი როზგი უნდა დაეკრას, და ქაღალდი, ამ საქმეზედ, აქ ჩემზედ არის მოწერილი... მიხვდი თუ არა?... შენ რატომ იარაღით არა ხარ?

ავეტიქა. მამა მიცხონდება კნიაზჯან იარაღი მაქჳს.

იულონ. აბა სად არის?

ავეტიქა. იქ, აბგაში არის.

იულონ. რას როშამს! რა იარაღი ჩაეტევა აბგაში?

ავეტიქა. ნალები, ლურსმნები, კვერი, გაზი, ყველა მა-სალა შიგ არის.

იულონ. მაგას ეძახი შენ იარაღსა?

ავეტიქა. მაშ რა? ჩემი კლოობის იარაღს არა ბძანებთ, ნალბანდიც რომ ვარ?

იულონ. მე რაში მეკითხება შენ ნალბანდი ხარ თუ არა? მე თოფ-იარაღს გეუბნები... არ გესმის, რომ ში-შიანობა არის?

ავეტიქა. ჭოოო! ისიცა მაქჳს, — ჩემს ცხენზედა ჰკიდია.

იულონ. რქებს ამბობს, ეს ყურუმსაღი!

ავეტიქა. აღაჯან, ნუ ჯავრობ, გული მოიბრუნე მამიშენის ცხონებასა... ჩემ ცხენზედა ნახონ, თუ არ არის ტასტაზედა, განა გატყუებ.

იულონ. (სოსიას), სოსიავ, აბა წადი, რა იარაღი აქჳს აქ მოიტანე. (სოსია გავა).

მოურავი. (სირაჯთან ახლო მივა.) ჭკვიან კაცსა ჰგევხარ და ამ შიშიანობაში უიარაღოთ როგორ დადიხარ?

ავეტიქა. ჯარიმას დავდებ თუ არ მექნება.

მოურავი. ოჰ, ოჰ! რა სასტიკათ ისჯება, ვინც უიარაღოთ დადის,

ავეტიქა. (ტრაბახით). მე არ მეშინიან, იმითი თუნდა ოცს ლეკს მოვკლავ.

## გამოსვლა 6.

### იგინივე და სოსია.

სოსია. (შემოიტანს ერთს დამბაჩას.) აი ეს დამბაჩა ცხენის ტასტაზედ ეკიდა და აბგაშიგი მართლა ნალები, ლურსმები და ბევრი უწყვია.

იულონ. ეი, სირაჯო! ეს დამბაჩა რატომ წელში არა გაქვს გაკეთებული?

ავეტიქა. ვა, რომ გავარდეს და მეკე მომხვდეს? გიჟი ვარ?

იულონ. (სოსიას) გატენილი არის?

სოსია. არა, მე იქვე ვნახე ცარიელი ყოფილა.

იულონ. (ავეტიქას) კიდეც მატყუებ, შე არამზადავ?

ავეტიქა. მა რა არის ეგ ოსერი, კაცს არ მოჰკლამს?

იულონ. (ფეხებს დაუბრასუნებს ავეტიქას) თოფის წამალი სადღა გაქვს? რომ გაგატყაო!!...

ავეტიქა. წამალი? (უბეში და ჯიბეში ეძებს) აცა, აქკი მქონდა და (რომ ვერ იპოვნის) კნიაზის მზემ, დამკარგვია-

იულონ (ხოსიას, მკაცრათ) წადი, ესლავ როზგები მოიტანე.

ხოსია. ამ მინუტში, შენი ჭირიმე (დამბაჩას მოურავს აძლევს) დაიჭი ეს ოსერი. (გავა).

ავეტიქა (კელს იშვერს იულონსა და მოურავზედ და პუბლიკისაკენ) ეს ტუტუცები აღარცკი ხუმრობენ! (იულონს) კნიაზჯან, შენი ხიემის მზეს, ერთი სიტყვა მათქმევინე....

იულონ. (შეუჭყივლებს) თქვი!

ავეტიქა. (ტირილით.) ეს ერთი მაპატივე და მერე თუ-ლა უიარაღოთ მნახო, გინდა დამარჩე!...

იულონ. მე ამ პირობით გაპატივებ, თუ შენ ამ დამბაჩას ნიშანს ესვრი და არ დაასცდენ.

ავეტიქა. ეგეი ყაბულეს! ყაბულეს!

იულონ. მოურავო, გატენე და მოუტანე. (ჩუმის ხმით) ქაღალდით გატენე.

(ხოსია როზგებს შემოიტანს და დაჭერის, ავეტიქა როზგებს რომ დაინახამს უკან დაიწევს შეკრთომით.—ამ დროს მოურავი სახლის კედელზედ ნიშანს აკეთებს, მერე გატენს დამბაჩას და ავეტიქას მისცემს.)

მოურავი. აჰა, ვინძლო არ შერცხვე.

ავეტიქა. (გულადათ) ჩამოდექით, ჩამოდექით!

(ყველანი უკან ჩამოდგებიან.)

ავეტიქა. (იულონს) გნიაზ? თოფურათ. თუ დამბაჩურათ?

იულონ. თოფური რა არის და დამბაჩური რა?

ავეტიქა. (ცალის ხელით დაიჭერს დამბაჩას და გაიშვერს) ასრე თუ? (ახლა მეორე ხელსაც მიაშველებს) ასრე?

იულონ. როგორც გინდოდეს.

ავეტიქა. (ცალი ხელით დაიჭერს დამბაჩას, აიღებს მაღლა და დაიღებს; თან ამბობს:) ჭალალო და სამართალო, ჭალალო და სამართალო, ჭალალო და სამართალო! (გავარდება დამბაჩა, ავეტიქა რომ დაინახამს კედელზედ შავათა, სიამოვნებით ყვირილს მოჰყვება:) ყოჩაღ ავეტიქ, ყოჩაღ ქალაქის ბიჭო! ყოჩაღ!

(იულონ და მოურავი განგებ ნიშანს დაუწყებენ შინჯვასა)

იულონ. არც მოსვედრილი აქვს და არც ბოლს გაუვლია ახლოსა.

მოურავი. (ავეტიქას) აბა სადა აქვს მოსვედრილი, რომ გიდეც ტრაბახობ?

ავეტიქა. (მართალის გულით შინჯავს ნიშანსა) აღაჯან, აგი მოსრულა?

იულონ. რაღამ შეჭამა, თუ მოსრულა?

მოურავი (ავეტიქას) დაწექ, შენი საქმე არ არის!

ხოსია (ეჭიდება ავეტიქას) დაწექ! შენისთანები ბევრი გაგვიროზგია (ბუხლიკისაკენ) მუცელზედ რომ დავჰკრა დაფასავით ხმას არ გამოიღებს!.

იულონ. ოცი როზგი დაჰკარით, ათიკი მიმატებია.

ავეტიქა. აცა მოგახსენოთ... (ხელით ანიშნებს განზედა) ასე, დამწკრივებული, სულ რომ ხამსე ყოფილიყო

ლეკებითა, ერთსაც არის არ მოსვლებოდა?

(იულონ და მოურავი იცინიან).

მოურავი. ახლა ვინ დაგიმწკრივებდა ლეკებს მაგრე ტანზედა?

ხოსია. (სიცილით მუხლიკისაკენ.) ოჯახს ქორი, რა გაუტეხელი ყოფილა!... (იულონ დაჯდება და ფიქრობს).

მოურავი. (ავეტიქას) მე ერთს რასმე გირჩევ.—მეტი გზა არა გაქჳს.

ავეტიქა. რასა მამიშენის ცხონებასა?

მოურავი. (ყელს მოჰკიდებს, ცალკე გამოატარებს და ჩუმის ხმით.) თუ გინდა რომ გიპატიო, ხუთიოდე თუმანი მიართვი ბატონსა.

ავეტიქა. (წყენით.) რაო? ფულიო? ვინ მომცა, გრომი მაქჳს?...

მოურავი. არა და, მე ვერ გიპატიებ

ავეტიქა. თუნდა დამახრჩეთ, ფული არა მაქჳს.

მოურავი. შენი ნებაა. (თავს დაანებებს და წინ წამოვა).

ხოსია. მაგ გაბერილს ფულის მეტი რა ექნება, აბა ორიოდე ავაწნა.

იულონ. რას ტრიალებს, დააწვინეთ.

ავეტიქა. (მუხლიკისაკენ) მეტი გზა არ არის, დავპირდები და მოვატყუებ... (იულონს) კნიაზ! პატივსა გცემ, მაპატიევ.

იულონ. მერე რა პატივისცემა შეგიძლიან შენა?

ავეტიქა. მაგას მოურავი მოგახსენებს.

მოურავი. (ისევ წამოვა ავეტიქასაკენ) ჩემს სიტყვაზედ მოსველ?

ავეტიქა. მაშ, რა ვქნა? მგლების გელში ჩავარდნილი ისე დაესწრევა?

მოურავი. აბა, რას იძლევთ?

ავეტიქა. მე ქსლა რა მაქჳს?

მოურავი. მაშ რითა ყიდულობ ღვინოებსა?

ავეტიქა. ჩემი სიტყჳა ფული არ არის?

მოურავი. როგორ მითომა?

ავეტიქა. რასაც ვიტყვი, ავასრულებ! (პუბლიკისაკენ) სულ ასე ვატყუებ ამ სულელ ხალხსა.

მოურავი. რას იძლევი?

ავეტიქა. თულავში წამომყევ და თორმეტ მანეთს მოვართმევ პატრონსა, განა კრიყანგი ვარ?

მოურავი. წადი, შეგარცხვინოს ღმერთმა! მაგისათჳს შუამავლობას არ გაგიწევ.—

ავეტიქა. მეტი არ შემიძლიან.

მოურავი. ტყავი რომ აგძვრება?

ავეტიქა. თუნდა შემჭამეთ, აბაზსაც ვერ მოუმატებ.

იულონ. (მოურავს.) რაღას აყბედებ მაგ სირაჯსა?

(მოურავი და ავეტიქა გამობრუნდებიან იულონისაკენ.)

მოურავი. გესვეწებათ მაპატიეთო.

იულონ. ნიშანს რომ ვერ მოასვედრა?

მოურავი. შემდგომ გაივარჯიშებს.

იულონ. რადგან სროლა არა სცოდნია სიმღერა ხომ ეცოდინება? ერთი იმღეროს და გაპატიებ.

მოურავი. (ავეტიქას.) გესმის რას გიბძანებს პატრონი?

ავეტიქა. ეგეც უაბულეს;—თქჳენ თვალში იყოს!

იულონ. კარგათ ჴსთქვი.

ავეტიქა. (იმღერის მუსანბაზსათ.)

ახმახის ჴელში ჩავარდნილვარ მისეთქამს გულსა,
ასიგნაცის ხომ არა ვკსჭრი რომ მთხოვენ ფულსა.
ვინც მე მთხოვს რასმე გამომართმევს ამომხდის სულსა!..
(პუბლიკისაკენ) გთხოვთ მიპატიოთ მექმნეთ შემწეთა,
(ორჯულ) შენც მომესმარე, კოტრების ღმერთო!...

იულონ. ზარაქალა! ახლავი მიპატივებია.

ავეტიქა. მადლობელი გახლავარ. (თავს დაუკრამს იულონს და მიდის კარისაკენ და მოურავს ეუბნება.) მოურავო, რაც გითხარი ისიც მოახსენე ბატონს აი. (ხოხიას) უმაწყლო გამაცილე შენ კარდას. (პუბლიკისაკენ, იულონს და მოურავზედ ამბობს) ეს ტუტუცები რა სულელები არიან, პუჩოლტნი ღრაყლანისა ვარ და ესეც არ იციან რომზგი არ დამეკვრება.... (გავა და ხოხიაც თან გაჰყვება.)

იულონ. (ჩუმის ხმით მოურავს) რაო? რა გითხრა? ფულს გვაძლევს თუ არა?

მოურავი. თულავში წამომყვე და იქიდან თორმეტ მანეთს მოგვართმევ ბატონსაო.

იულონ. ოჰ, ბევრი არ მოუცია.... მოუტყუებიხარ.

მოურავი. მაშ მოვეწევი და თავს არ დავანებებ.

იულონ. დაეხსენ, ყვირილს დაიწყებს, არავინ გაიგოს, სირცხვილი არის.

მოურავი. მართალსა ბძანებთ, ტუტუცი ხომ ესია, დაიღრიალებს და ქუჩყანას შეჰყრის, ქრთამსა მთხოვენო.

იულონ. ცოტა არის, თუ ბევრი, რავქნათ, მეტი გზა არ არის, ისევ ღორები უნდა გავყიდოთ.

მოურავი. შენი რისხვა არა მაქვს, იმ ღორებს კარგა

ფულს ამოვალებინებთ.

იულონ. მაშ წადი, ნუღარ დაიგვიანებ და წაასხით ღორები გასასყიდათ.

მოურავი. ესლავ თქუენმა მზემ. (გავა).

იულონ (მარტო) ის ღორები, რაც უნდა იაფათ გაი-ყიდოს, ქალაქში ხომ მაინც ჩამიყვანს და მანამ, იქ სასეს-ხებელს ფულს ვიშოვნი საითმე, ვიმყოფინებ,—მაგრამ, მანამ მოურავი წავა და მოვა, მე დამიგვიანდება. (კარზედ მიდგება და უძახის) მოურაო, მოურაო! (ხმა მოისმის მოურავისა.) ბატონო.

## გამოსვლა 7.

### იულონ და მოურავი

იულონ. ნუ წახვალ, აქმო, რა გითხრა.

მოურავი. რაღას მომაბრუნეთ?

იულონ. იცი რა ფიქრი მომივიდა? მანამ შენ თელავს წახვალ ღორებს გაჰყიდი და მობრუნდები, იმ დრომდინ მე დამიგვიანდება; ბარემ ესლავ მეც წამოვალ და ღორებს გაჰყიდი თუ არა, მე და შენ იქიდანვე, ქალაქს წავიდეთ.

მოურავი. (შეკრთომით) ქალაქში რა გინდა, ბატონო?

იულონ. ეგ ჩემი საქმეა და არა შენი.

მოურავი. მეც მინდა ვიცოდე.—რას მიმალამთ?

იულონ. ძალიან დიდი ანგარიში მაქუს.

მოურავი. (წყენით) ვაი ჩემს თავს! უთოოთ ფოდრა-თში შესვლას აპირებთ და დავიღუპებით!

იულონ. (იცინის) ფოდრათი განა ყველას დაღუპავს?

მოურავი. შენი რისხუა არა მაქუს, მე ფოდრადით აშე-

ნებული ერთი ქართველი არ მენახოს!

იულონ. მაგის ჯავრი ნუ გაქჳს; შენ ეს მითხარ, სახ-ხლ-კარი ვის ჩავაბაროთ?

მოურავი. რა ვიცი,—უჩემოთ ყველა დაგეღუპებათ.

იულონ. გლახას ჩავაბარებ.

მოურავი. სად მოიცლის,—გუთანი უნდა გაიტანოს.

იულონ. მაშ სოსიას ჩავაბარებ.

მოურავი. ჯერ რომ მე თავს ვადგევარ და ყველას აწყა-ლებს, უჩემოთ ხომ რაღასა იქს?

იულონ. არა მგონია.

მოურავი. (წყენით) თქუჱნ არას დაიჯერებთ და რა უყო.

იულონ. მჯერა, მაგრამ....

მოურავი. მაშ მე გასლდებით აქა და ის წაიყვანეთ.

იულონ. არა, უშენობა არ შეიძლება,—იმისთანა საქმე მაქჳს!

მოურავი. რასაკჳრველია ფოდრათის ამღებს, კაცი უნდა ჰყვანდეს ერთგული.

იულონ. ფოდრათი რას მქვიან: რა ჩემი საქმე არის... ერთს საიდუმლოს გეტყჳ, მაგრამ არავისთანკი გრჯოდეს.

მოურავი. რა პასუხია, იქამდის ღმერთი როგორ შემ-შლის.

იულონ. რაც მე ლეკებმა დამღუპეს და შენი ქალბატო-ნი წაიყვანეს, მას აქეთ ჩუჱნ ოჯახს ბარაქა აღარ მოუ-კიდა. ახლა მე მინდა ქალაქში ჩავიდე, ტანისამოსი შევი-კერო და დროშკით ავიარ-ჩავიარო; ვაჭრები რომ დამინა-ხვენ და გაიგებენ ქვრივი ყოფილაო, დღეში ხუთი მოციქუ-ლი მომივა ჩემი ქალი შეირთეო... ეგების ერთი მზით-

ვიანი ქალი ვიშოვნო... შენ თჳთონ იფიქრე, რაღა დროს ჩემი გოგოებში თრევა არის?...

მოურავი. ჰოოო! ეგ ძალიან კარგი ფიქრი მოგსვლი-ათ, მეტი აღარ შეიძლება. (ფარისევლობით) მართლა, რომ იტყვიან, დიდ კაცს დიდი ფიქრი მოუაო, აბა ეგ არის, აი... ჰსწორეთ, დიდს მზითვიანს ქალს იშოვნით.

იულონ. (სიამოვნებით) მაშ აბა ხოსიას დაუძახე.

მოურავი. (კარებიდან უძახის) ხოსიავ, ხოსიავ! ბატო-ნი გიბძანებს.

## გამოსვლა 8.

### იგინივე და ხოსია.

ხოსია. რას მიბძანებთ ბატონო?

იულონ. იცი რა გითხრა? მე მინდა ქალაქს წავიდე და მოურავი თან წავიყვანო, შენ სახლკარი მინდა ჩაგაბა-რო... აბა, ესლა გამოგიჩნდება ჩემი ერთგულება... შენ იცი როგორც ამ ოჯახს კარგათ მოუვლი.

ხოსია. თქუ̂ენი ნება არის, რაც შემეძლება გაუფრთ-ხილდები, ღმერთმა ხომ იცის.

მოურავი. (ხოსიას) შენებურათ ნურას გაათუქსავატებ.

ხოსია. თუკი გული არ გენდობათ, თავი დამანებეთ.

იულონ. მოურაო! აბა ყველა ჩააბარე ხოსიას.

მოურავი. ესლავ შენი ჭირიმე... (თავისთჳს) რა არის აქ, რა ჩავაბარო (ხოსიას) აი, ამ სახლში, ფანჯარას, სამი თვალი მინა აკლია, არ გაალო, ქარმა არ დაამტვრიოს,

ხოსია. სულ დამტვრეულები არ არის? აბა მთელი მი-

ნა რომელიღაა? (ხელს იშვერს ფანჯრისაკენ, მოურავი გავა.)

ხოსია. ბატონო, ახლა მაგრე თჳთო-თჳთოთ რომ პირში არ ჩამიდოს, განა არ ვიცი ამ სახლში რაცა გვა-ქჳს? წლობით ხომ არ მიდიხართ?

იულონ. ჩქარა დავბრუნდებით, ჩაგრამ, რიგი ასე არის, უნდა ჩაიბარო; რა ვიცი რა დაგვემართოს, ყველანი სი-კჳდილის შჳლები ვართ.

(მოურავს შემოაქჳს ორი ქვაბი, ხინი, ტაფა, თითბრის შამდნები და შამფური. ხოსიას)

აი ქვაბი და აიმ წალოდან ქჳფშსავებიც გამოალაგე და ამ ტახტზედ დაალაგე, ზედ ეს ხალიჩა გადაფინე, არა გაფუჭდესრა: ეს სპილენძიც აქ იყოს, გარეთ არსაით გადაგიცვივდეს. გუთანს ხომ დღესვე წაიღებენ... ამას გარდა ოთხი ხარი არის და სამი კამბეჩი,—არ საით და-გვეკარგოთ; ქათამსა და ინდოურებს ხომ მარინე მოუვლის.. ახლა შენ იცი, მეტი აღარა მრჩებარა ჩასაბარებელი... ღორები არის და იმას ჩუენ წავასხამთ.

იულონ. (მოურავს.) მაგის მეტი აღარა გვაქჳსრა?

მოურავი. თუ გაქჳთ და ახლა თქუენ მოიგონეთ.

იულონ. კაცო, სკივრი სადღა არის? შიგ ხომ საღმრ-თო წიგნები აწყვია.

მოურავი. სკივრი რამთენი ხანია სულ დაიმალა და წი-გნები მარნის თახჩაში შევაწყე.

იულონ. (შეკრთომით.) ვაი, შენ ჩემო თაო! ხომ ქათ-მები გააფუჭებდნენ?

ხოსია. იქ ქათმები ვერ შევლენ, წინა მხარე ნივრით გამოჭედილია.

იულონ. (ფიქრობს) სხჳა აღარა არის რა?

მოურავი. მართლა, თოფ-იარაღი?

იულონ. მე ხომ ავეტიქა არა ვარ? იარაღს ზედ ვერ დავიკიდებ? (სოსიას) მაშ მშჳდობით სოსიავ, შენ იცი და ამ ხალხმა. (გავა).

მოურავი. (სოსიას.) ქსვი ვერ გითხარ, ზვარში ხშირათ ჩადი ხოლმე, იმერლები კარგათ ამუშავე.

სოსია. ან რა ვსო, ან რა ვსჭამო, ამისას არას მეტყვით?

მოურავი. ახლა შენ ბატონის ბოზბაშიც მომინდომე.

(ესეც გავა.)

სოსია. (სიამოვნებით მეუღლისაკენ.) ახლავე გეშველა, დაკეტე ბიჭო სოსიავ კარები და მოუყევ შენს მარინეს!

(კარებს დახურავს. ამ დროს ფარდა დაეშვება.)

## მოქმედება ბ.

(თეატრი წარმოადგენს ოსანას ოთახს, რომელსაც უ-გან და მარცხნივ კარებები აქვს, ორი ფანჯარა უკან კარ-თან და ცალ მხარეს ტახტი დგას ხალიჩით მოფენილი, სამი სკამი დგას და ტახტს წინ სტოლი, რომელზედაც ძევს სარკე და დგას სანთელი).

### გამოსვლა 1.

ოსანა (ტახტზედა ზის, ცალი თვალი ხელსახოცითა აქვს აკრული; ზუზუნით:)

ვაი, ჩემ წერასა! ობოლ, ოხერი... ქა! ლამის ასე დაბერდე, ქმრის ხმა არცკი გავიგონო?.. ჩემი გინმეება ხი-

სარულითა სქდებიან, დღეს არის თუ ხვალ მოკჳდებაო «და იმისი ზინეთი ჩჳენ დაგვრჩებაო»-.. ცხონებული მამაჩემი გეუაც ასე არა ფიქრობდა!...

გამოსვლა 2.

(შემოდის მაქთალა, ჟასაბ ნოის დედა, თალხად ჩაც-მული, ჩადრ-წამოსხმული, ქოშების ჯრაკუნით, გადმოივლის ოსანასაკენ და თავს დაუკრავს, ოსანაც ფეხზედ წამოდგე-ბა და უთავაზებს.)

ოსანა. აქეთ, ჩემკენ მობძანდი გენაცვალე.

მაქთალა. (მოუჯდება ოსანას გვერდით) ოსანჯან, ხომ კარგათ გიკითხო, დილას აქეთა?

ოსანა. ჩემი ვინმეებისაგან, ფიქრის მეტს რასა ვიქ.

მაქთალა. აი, შვილო, ქალა, ეგ ფიქრები სულ წავა წა-მოვა... ასეთი საქმე მიქნია შენთჳს, დუნიაზედ ვერავინ იქმოდა-მეთქი... ახლა, შვილო, გინდა დამიმადლე, გინდა ქეც გეურქასავით დაიწუნე მეთქი... ნოიასხულის მზემ, ამთენი თრევით ჭკარაქათი აღარა მაქჳს და მე ამაზედ უკე-თესს ვეღარავის მოვსძებნი მეთქი.

ოსანა (სიამოვნების ღიმილით) ვინ გიპოვნია? ვითომ სეირიანი ვინმე არის?

მაქთალა. სეირიანიო? უი, ჩემ თავს! აბა რა გითხრა მეთქი: კნიაზი, დიდი ყმისა და მამულის პატრონი; ოჯა-ხი—დუღს და გადმოდის!... მართალი არის ნაქვრივალია, მაგრამ ჯერ ჯეილი ვაჟია... დიდი ხანი არ არის რაც მაგას ცოლმა მოუკლეს.

ოსანა. (წყენით) ნაქვრივალიაო? ვუი, ქა, ეგ ჭკუაში არ

მოვიდა.

**მაქთაღა.** რა უშავს, ქა! ქუჭუნის პირის წყალი გნიაზი არის-მეთქი.

ოსანა. ამას წინათ ტერტერას დედამ მითხრა: პირვე-ლი ცოლ-ქმარი საიქიოს ერთმანერთს არ მოშორდებიანო, და ვისაც მეორე და მესამე ცოლი შეურთავს, ისინი მარ-ტოკები ეყრებიანო... მერე მე, იქ, ვის სინაძარა უნდა ვეგდო?

მაქთაღა. ერთსა და ორს მცოდნესთან, მეც თავი მიძევს ჩემა ცხონებამა... მაგრეკი არ არის;—ვინც აქ ძალიან უყუარს, საიქაოსაც იმას არ მოშორდებაო.

ოსანა. მაგას გარდა, შვილები ხომ ეყოლება და გერები მე რა კეთილს მიზმენ?

მაქთაღა. ერთათ ერთი შვილი ჰყოლია და ისიც ვაჟი, რუსეთის სკოლაშია... გატეხილი უნდა გითხრა, ოსანას მზემ, სხუა, შენი მთხოვნელი არავინა ჰსჩანს მრთელს ქალაქშია.

ოსანა. თუ აგრე არის და, რაც იქნება-იქნება, გულ-კუდარი ქაბატუას ქიშპით გაუთხოვარიკი არ დავრჩები და ვინც იქნება შევირთავ.

მაქთაღა. საქმე საქმეზედ არის,—და ახლა შენ იცი.

ოსანა. რა უთხარ, როგორ გაარიგე?

მაქთაღა. როგორ და, უთხარ თუ, გავიგე, გნიაზჯან, შენ, აის, ცოლის შერთვა გდომებია მეთქი და რადგან ჩემი ჴელობა მაჭანკლობა არის მეთქი, მოველ რომ კაი ვინმე გაგირიგო მეთქი...

ოსანა. ჩემი ხომ არა გითქომხრა, ქმრის შერთვას მა-

ლიან მონდომებული არისო?

მაქთალა. რა პასუხია, — ეგ რა სათქმელი იქნებოდა! უთხარ, თუ მითომ შენ კიდეც ნაზს ეწევი.

ოსანა. თუ უმაწჳლი ვაჟი მაინც არის, — ალბათ სჳარიას..

მაქთალა. ჯერ ბათხი არის მეთქი!... კნიაზმაც მკითხა, როგორი ქალიაო. შენის გულისათჳს სული დავწვი, რამ-თენი ტყუილი უთხარ... ასეთი ლამაზი არის მეთქი, როგორც ჩჳტნი შუმანიკი გაგეგონოს-მეთქი, ასეთი თვა-ლები აქჳს მეთქი, თუ როგორც ჯეჲრანი მეთქი... გავა-გიყე რადა!

ოსანა. თუ მაჭანკალმა ცოტა-მატა ტყუილი არა თქვა, არ იქნება, მაგრამ მაგისთანა ქება რომ დახარჯე, ვაი, თუ, ნახვა მოინდომოს, როგორც კნიაჟებმა იციან, — მერე?

მაქთალა. ეგეც მომისერხებია... უთხარ თუ, საყდარში ჩუმათ, შენ აქედან მიხვალ, ის იქიდანა მეთქი... ამ თა-ვით ნახვა არ იქნება მეთქი, რადგან ზინეთის თაობაზედ ბევრი მტრები ჰყავს მეთქი და თუ შეიტყო ვინმე საქმეს ჩაგვიშლიან მეთქი.

ოსანა. ახლა, ის ვაჟი, ფულსაც თხოულობს?

მაქთალა. მაშ! ცარიელ გითხოვს? — უთხარ თუ დიდი ზინეთი აქვს მეთქი და სულ შენ სახელზედ დაამტკიცები-ნებს მეთქი; უთხარ თუ, მარტო ორი ვირის საპალნე სულ ჭრელი აბაზები აქჳს მეთქი.

ოსანა. ვიჲ, ნეტავი დამტკიცება არ გეთქვა, მაგრამ არა უშავსრა, მადლობელი ვარ! რაც გიქნია, შენი სული-სათჳს გიქნია... ამასკი გეხვეწები, არავისთან არა წამოგ-ცდეს; თუ ქაბატუას პირში ჩავარდა, — იცოდე ქჳტჳნის

პირშიაც ჩავარდება — და მთლათ საქმე წახდება.

მაქთაღა. უი, ჩემ თავს! ქა, ვისთან გავაჩემებ, — მე უ-ფროც მეშინიან არავინ გაიგოს მეთქი.

ოსანა. უნდა ერთი კიდევ წავიდე და ჰსწორე შეიტყო, ქორწილი როდისა ვქნათ?

მაქთაღა. ქვეითი სიარულით ჰარაქათი აღარა მაქვს და რა ვიყო.

ოსანა. (ჯიბიდან ამოიღებს მანეთს და აძლევს) აი, ეს მანეთი, დრომკის ქირათ მეყოფა და როგორც დავპირე-ბივარ ოცს თუმანსაც ჩემი ჯვარის წერის მეორე დღეს მოგცემ მამი ჩემის გეუას ნათელმა.

მაქთაღა. (მანეთს გამოართმევს და ჯიბეში ჩაიდებს.) რასაც მაგისთანა სიკეთესა იქ, შენი თავის ქება იქნება. (წამოდგება.) ახლავე მინდა შინაც მივიხედო, ჩემი ხასლეკარი ძაღლების ჭამარა გდია.

ოსანა. თაღაღა სადღა გყავს?

მაქთაღა. ოსტატიანთას, შჱლო, ხომ იცი, ისიც თა-ვისის კელითა რჩება მეთქი.

ოსანა. შენ ცხონებას თაღაღა ამაღამვე აქ გამომიგზავ-ნე, ჯვარ საწერი კაბა შემიკეროს, — იმან უფრო მოდნა იცის.

მაქთაღა. ბატონი ხარ, წავალ და გამოვგზავნი მეთქი. (კარისაკენ გასწევს და ოსანაც კარებამდის გააცილებს; მაქ-თაღა გავა და ოსანა უკანვე მობრუნდება.)

ოსანა.(კელებს გაშლის, ზევითკენ იყურება და თითქმის ტირილით) თელეთის მადლო! ფეთხაინის მადლო! სუფ-სარქისის მადლო! ნორაშნის მადლო!.. გეხვეწებით, ქაბა-

ტუას ქიმპზედ კნეინათ გამხადეთ!... (მივა ჭსტოლთან, ხელში აიღებს სარკეს და შიგ იყურება) ჰა, რა მიჭირს, რომ მწუნობენ?... თუ არ ჩემი მტრების მიეთ მოეთი ენით, რათ დავრჩებოდი ორმოცის წლისა გაუთხოვარი. (თვალზედ ხელსახოცს ისწორებს) ეს ცალი თვალი ხომ არცკი მიჩანს?

გამოსვლა 3.

(ავეტიქა შემოვა და ოსანას თავს დაუკრამს რამდენჯერმე; მაგრამ ოსანა ისევ სარკეში იყურება.)

ავეტიქა. ვა, აღარ მოისედამ? ერთი საათი არის თავს გიკანტურები.

ოსანა. (მობრუნდება ავეტიქასაკენ.) ვუი, ჰა! ვერ დაგინახე.

ავეტიქა. რას იპრანჭები? პატარძლათ ჯდები თუ?

ოსანა. მითომ რა მასხარა მხდი?—მე რა ღირსმა ვარ პატარძლობა... (დაჯდება.

ავეტიქა. (დაჯდება ხვნეშით) მაგას თავი დავანებოთ.. ოჰ, დავიღალე... ქაბატუამ გამომგზავნა, შინა ხარ თუ არაო, მაინც სულ იმდურები, არ მოდიხართო და ნათლი ჯალაბი და ჩ̂უტონ დედაბუდიან ამაღამ შენთან მოვალთო.

ოსანა. (წყენით) ჰა. მერე ვინ გულ კ̂უდარი დაემდურა? მე ამაღამ, სხვაგანა ვარ დაპატიჟებული,—ბოდიში უთხარ, შენი ჯანის მზეს,—ვერ დავდგები წაუსვლელი.

ავეტიქა. აქამდის კიდეც წამოვიდოდნენ, მე ბაზარში შეგვიანდი.

ოსანა. ჩქარა წადი, შენი გულის ჭირიმე; შინ არ არის, წასულათქო, არ მოვიდნენ, ეხლავ მივალ, თუ ეხლავ არ წასველ, მე შენც აღარ მოგიცდი, წავალ.

ავეტიქა. მითომ რა არის, ასე რაზედ გეწყინა ჩუენი მოსვლა?—თუკი მაგრე არის მიყამშიაც აღარ გავივლით, თილიფვარა ენით მაინც იტყოდი მობძანდითო.

ოსანა. ახლა შინ არა ვარ და მერე დაუძახებ, მერე.

ავეტიქა. ღმერთმა შეარცხვინოს მერე შენი მაწყევარი, მე იმიტომ უფრო მოველ უნდა შევეხვეწო რაზედმე.

ოსანა. რაზედა ქა?

ავეტიქა. ჩუენს იქით რომ სადუქნე ადგილები გაქუს, ხომ იცე გდია და მე მომე, დუქნებ გავაკეთებ, კაი ქირა შემოვა და ქირაში წილს დაგიდებ.

ოსანა. ქა, რა გინდათ ჩემგანა? ვერ შეიტყეთ რომ, ჩემი არა შეგაჭამეთ რა?

ავეტიქა. ჩისა მახვებს თავი დაანებე, ბოლოს, ხომ ისევ ჩუენია?

ოსანა. ყურიდან ზანზები გამოიძრეთ, ყველა ჩემთჳს მინდა!

ავეტიქა. რა ოხრათ გინდა; ქმარი შენ არა გყავს და შვილი, ამას იქით უფრო სულ არ გეღირსება.

ოსანა. თქუენი თვალის მოსათხრელათ ქმარს შევირთამ და პირში ჩალას გამოგავლებთ..

ავეტიქა. ვა, ვინ ოხერი იქნება ეხლა შენ შეგირთოს? აქამდისაც ძალიან გინდოდა გათხოვება, მაგრამ ზედაც არავინ შემოგხედა... და ჩუენ რა გიყოთ?

ოსანა. გაგიქრეს სიყმე, სულ შენმა და დედი შენის ენა

პირმა ქნა... კინც ამიჩნდა, შენა და იმან გადასიბლეთ, ქმაკის თესლო!

აპეტიქა. (გაჯავრებული წამოდგება) ნუ ამღაშებ! გეყოდეა ტარტარი, ენა მჭვარტლიანო, თორემ, მაშინ არ იყო ქუჩაში ყვიროდი... მე კიდევ იმ აპეტიქას მეასიან, აი!....

ოსანა. (ორივე ხელებით ქოქოლას აყრის) ჩავჭტიტე, შენისთანა სიძეს გაყმა! იმისთჳსკი გინდივართ შენ და დედამენსა, რომ შემხოთ, შემჭამოთ, და ქჳწყანაშიკი ლანძი მოჭსდეთ: «სამაგელი არის, არავინ შეირთოთო».. აბა გელი დამაწე, ეხლა სხჳა დროებაა, ჩავალაპობინებ ცისემია...

აპეტიქა. დიას, დიას, ჩამალაპობენ!... სუთ თუმნათ, საითაც გინდა იქით ვერ დავატრიალებ საქმესა...... (გასწევს კარისაკენ) აი, წავალ და ხვალვე დუქნების საქმეს შევუდგები, მუშას დავაყენებ მოდი და იქ მელაპარაკე (გავა).

ოსანა. (პუბლიკისაკენ) ჭსედამთ, ამ გულ კჳდარსა, რეები მითხრა? როდემდის უნდა ვიყო ამათგან, ამ ცეცხლში?

გამოსვლა 4.

(შემოდის მაქთალა, ოსანა წინ მიეგებება.)

ოსანა. ქა, ისევ დაბრუნებულხარ? ჩემმა ბიძას გაყმა, გზაზედ ხომ არა გნახა?...

მაქთალა. ვუი, ქა, სად იყო? ხომ არა შეუტყვიარა?

ოსანა. არა შეუტყვიარაკი, დუქნების ალაგი რატომ არ მომეო,—წამეჩხუბა.

მაქთალა. გაქრეს, რაც იმას აღარავინ რა დაასჯიობს,— იცი თუ მე რაღათ მოვბრუნდი, კნიაზის კაცი დამსჯიდა და მითხრა, კნიაზმა თუ ქალი არ მიჩუწონა, ვერ შევირთამო... ვიღაც გასასუთქს უძაგებიხარ.

ოსანა. (წყენით.) ახლა რაღა ვქნათ?

მაქთალა. რა და, გნახოს, მითომ რა იქნება?

ოსანა. ვაითუ იღბალმა მიმტყუნოს და ცუდ თვალზედ დამინახოს.

მაქთალა. თუ არა და, იცი თუ კიდევ, გზაზედ რა ფიქრი მიქნია?-. ჩემი თალალა ხომ აქ იქნება მეთქი, მოდი შენ იქით ხასლში დაიმალე, კნიაზს მოვიყვან და კარებიდან თალალას დავანახვებ და ვეტყვი ეს არის მეთქი, მერე ჯვარის წერაში კნიაზი სწორედ იქით მხარეს იდგება საითაც კარგი თვალი გაქვს და მეორე მხარესკი მაშინ ხინჯიანს ველარ მოჰყუჩობა.

ოსანა. ეგ ფიქრი ძალიან მომეწონა, ღმერთმა გაცხონოს!.. დედა შვილობამ, სულ ჭრელ მანეთებს დაგითვლი.

მაქთალა. რაღა თქმა მინდა, ვიცი, ვიცი შენი კეთილი გუნებისაგან.

ოსანა. თალალა რომ დავგაბარე რატომ არ მოიყვანე?

მაქთალა. გარეთ ბალკონზედ დავაცდევინე.

ოსანა. დაუძახე აქ შემოვიდეს.

მაქთალა. კნიაზიც დაბარებული მყავს, ხაცაა მოვა?

ოსანა. თალალა შემოვიდეს, მაშ მე იქით ოთახში გავალ და დავიმალები.

მაქთალა. (უძახის.) თალალო, თალალო, აქ შემოდი შვილო.

## გამოსვლა ჱ.

ისინივე და თალალა.

(შემოდის თალალა, ქალი ყასაბ ნონიასი, თექვსმეტის წლისა. სახით ძრიელ ლამაზი და ტანადი, კეკლუცათ გადმოივლის და ოსანას თავს დაუკრავს.)

ოსანა. (წამოუდგება.) მობძანდი გენაცვალე, ხომ კარგათ გიკითხო?

თალალა. გმადლობ, მშჳდობით გახლავარ.

ოსანა. დაბძანდი თალალჯან. (თალალა სკამზედ ჩამოჯდება.)

ოსანა. (მაქთალას განგებ ჰკითხავს.) მაქთალჯან, თეთრი მატერიების ნიმუშები რომ დაგაბარე, არ მომიტანე?

მაქთალა. ვუი, ჩემს თავს, დამავიწყდა.

ოსანა. ნუ შესწუხდები, წავალ და ბიჭს გავგზავნი.

(ოსანა გავა.)

(მაქთალა კარებში ჩადგება, ხშირ ხშირად გარეთ იყურება, პატარა ხანს უკან გამოჰჩნდება მაქთალას გვერდით იულონ, რომელიც შეჰყურებს თალალას და ხმა მაღლა იტყვის: (კარგი ყოფილა! უცხო რამ არის!...

(თალალა, ამათ განცჳფრებით უყურებს. ოსანაც ჩუმათ მეორე კარებიდან იყურება ასე, რომ თავი უჩანს.)

მაქთალა. კნიაზჯან, ჯჳარის წერა ხვალ ღამ უნდა იყოს, აი; დაყოვნების მიზეზი აღარა იქნებარა.

იულონ. თუნდა ამაღამვე მოვასერხოთ,—ქალი მომეწონა და რაღას მოუცდით.

მაქთალა. ჯერ ჯჳარ საწერი კაბა არა აქჳს მზათა.

იულონ. კაბა ხომ სხჳაც ექნება და რაც იყოს ჩაიცოს.

მაქთალა. თეთრს მატერიას იმზადებს.

ილუონ. რა საჭირო არის, ისეც კარგათ შჳენის.

მაქთალა. აგი მოგახსენე, რომ ნახო ისე მოგეწონება რომ გაგიჟდები და შენვე შემეხვეწები მეთქი.

იულონ. ჯჳარის წერა რომელს ეკკლესიაში უნდა იყოს?

მაქთალა. წმინდა გიორგის ეკკლესიაში; ისე ჩუმათ მოდი, რომ არავინ გაიგოს... როგორც მითქჳამს, ბევრი მტრები ჰყავს და ჩუმათა ჰსჯობს.

იულონ. წავალ და კვლავ მოვემზადები, დაგვიანება აღარ კარგა, შენც ქალი წამოიყვანე. (იულონ მიდის.)

(მაქთალა შინ შემოვა.)

თალალა. ჰარ დედაჯან, ვინ იყო ეგა?

მაქთალა. ოსანას საქმროა შჳლო.

თალალა. მე რას მიყურებდით, გასტერებული დავრჩი.

მაქთალა, ოსანა შენ ეგონე მეთქი.

თალალა. (განცჳფრებით) ქა! ჯერ ოსანაკი არ უნახამს იმ უბედურსა?

მაქთალა. არა, ისე გასხერხებთ შჳლო, ეგები ღმერთმა მომხედოს და გავსაღო ორიოდე თუმანს გამოვრჩები.

თალალა. რათ, ატყუებ, იმ საცოდავსა?

## გამოსვლა 6.

ოსანა. (შემოვა მხიარულათ და მაქთალას გულზედ მოეხვევა) შენი გულის ჭირიმე, შენი თუ მე ქალი ვარ, შენ სიკეთესკი გადვიხდი... იქიდან დავინახე, ქა რა გაი ვაჟი ყოფილა.

მაქთაღა. მიხარებია, ჯუჰარის წერას ამაღამვე ჩქარობს.

ოსანა. ქა! კაბა რომ არ შემიკერამს?

მაქთაღა. მანამ თონე სურს პურს მანამ დაიჭერსო!!.. განა კაბები არა გაქვს, რაც იყოს ჩაიცვი.

ოსანა. მართალს ამბობ... ძლივს ჩემს ბედს გაუღვიძნია და კაბას რაღას მოუცდი, არავინ შემალოს.

მაქთაღა. აბა მაშ მოემზადე.

ოსანა. სახლი ვის სინაბარა გაუმოთ? ბიჭი ხომ კუხ-ნას ვერ მოშორდება, ვახშამი უნდა გააკეთოს.

მაქთაღა. სახლი თალალამ შეინახოს და ჯუჰარის წერა რომ გათავდება, მე დავწინაურდები და ამას შინ წავიყვან.

ოსანა. (მაქთაღას) მაგრე ვქნათ გენაცვალე (თალალას არა თალალჯან შენ რას იტყვი?

თალალა. თქვენი ნება არის.

ოსანა. კარები ჩაკეტე და ისე იჯექ არავინ რა გაიტანოს.

თალალა. ბატონი ბძანდები.

ოსანა. აბა მაქთაღჯან, წავიდეთ, კაბა იქით სახლშია მაქვს. (მივა სტოლთან სარკეს აიღებს და ორნივ მიდიან.)

მაქთაღა. (მიმავალი თალალას.) აი, მივალთ შვილო და კარები ჩაკეტე ისე იყავ. (გავლენ.)

თალალა. (მარტო პუბლიკისაკენ) ეს ბებიაჩემი სწორეთ წაწყმდება... მაშ რა მოუვა? რამთენს ამისთანა საცოდაობაში ჩამდგარა... პატიოსანი კნიაზიც მოატყუეს!... (გამობრუნდება კარებს ჩაჰკეტამს, შემდეგ მივა და ტახტზედ წამოწვება.—პატარა ხანს უკან მოისმის კარის ბრახუნი.)

თალალა. ვინა ხარ?

(კარებს კიდევ დააბრახუნებს და ისმის ხმა) გააღე.

თალალა. ფარ დედაჯან, შენა? (მივა კარებს გაღებს და რა დაინახამს რომ ვიღაც კაცი არის, გამოიქცევა და დაიძახებს) უი, ვინ არის ისა?

გამოსვლა ჟ.

ავეტიქა (შემოვა თალალას თავს დაუგრამს და ბუბლიკისაკენ.)

ვა, რა ქშინიან (თალალას) ოსანა ხალღაა?

თალალა. (თავ ჩაღუნული მორცხვათ) არ ვიცი.

ავეთიქა. მაშ აქ რას უზიხარ, თუ არ იცი?

თალალა. ხახლი მე ჩამაბარა და თითონ სხჳაგან წავიდა.

ავეტიქა. აგი არ ვიციო? რა გითხრა ამაღამ არ მოვალო? მე მეგონა ისევ აქვე მოუსწრობდი.

თალალა. იქნება მოვიდეს... აბა კუხნაში წადი ბიჭსა ჰკითხე, ჰსწორეთ იმას ეცოდინება.

ავეტიქა. განა შენკი არ დაგიჯერებ. (ნიამოვნებით) გაგაბო ერთი ეს მითხარ, შენ ვისი ნუგბარი ხარ?

თალალა. (წყენით) შენ რამი გეკითხება ვინცა ვარ.

ავეტიქა. (ხანთელს აიღებს და თალალას ახლო მიანათებს) ოჯ, რა ლამაზი ყოფილა! ახლა მითომ რა გქნათ რომ ლამაზი ხარ?

თალალა. იქით წადი ვიღაცა ხარ.

ავეტიქა. ვინ მამაძაღლი გავა.

თალალა. ქხლავ დავიყვირებ.

ავეტიქა. ვა, დაიყვირე რა, მე ჩემი ბიძას ქალთან მოველი.

თალალა. ხომ ხედამ არ არის შინა.

ავეტიქა. ჭო და ხახლს შეუნახამ.

თალალა. შენთჳს როდი ჩაუბარებია.

ავეტიქა. მამა გიცხონდა, ჯერ ერთი, ეს მითხარ შენ ვისი ქალმა ხარ.

თალალა. რომ გითხრა წახვალ?

ავეტიქა. მაშინათვე მეთქი.

თალალა. ყასაბ ნონიას ქალი ვარ.

ავეტიქა. მართლა.

თალალა. დიახ.

ავეტიქა. გათხოვილი ხარ თუ არა?

თალალა. არა.

ავეტიქა, (სიამოვნით) შენი სულისა! ჩემი იღბალი ყოფილხარ...

თალალა. გადი თორემ, ეხლავ ქუჩაში გავიქცევი.

ავეტიქა. მერე ვინ გაგიშვებს (მივა ახლოს) მამი ჩემის ცხონებამ შენს მეტს არავის შავირთამ... შენი ღვიძლებისა შენთან დამხვი.

თალალა. (მეორეს მხარეს გაიქცევა) დაიკარგე ვიღაც ოსური ხარ!

ავეტიქა. ქა რა არის, მწუნოვ თუ აბა შემომხედე როგორი ვაჟი ვარ ნეტა იმის დედას ვისიც გამხარებელი მე ვიქნები.

თალალა. იქით, უპატრონო ნუ გგონივარ, გარეთ გაეთრივე მეთქი.

ავეტიქა. (მივა თალალასთან და კელს დაუჭერს. ერთს გაკოცებ, მეტსკი არა და ნიშანსაც მოგცემ, შენი სულისა რას წითლდები?

თალალა. (კელს გამოჰგლეჯს კელიდგანა.) შენც შეგარცხვინა და შენი ნიშანიცა!... (იქით გაიქცევა და ყვრის) ბიჭო, თედუავ, მიშველე!

ავეტიქა. (თან მიჰხდევს) კუჭისა, მოიცა... ვა, სად მიხვალ (კაბის კალთას დაურერს) ხომ არ შეგჭამ, მოიცა მეთქი.

თალალა. (კაბას გაგდებინებს და კარებისაკენ მიდის.) ეს რა სულელი ყოფილა, ვიღაც არის. მიშველეთ, მიშველეთ, ბიჭო.

ავეტიქა. შენი წოწიების ჭირიმე, მობრუნდი მეთქი, აჰა მითო შენი ძაღლი ვარ გეხვეწები.

თალალა. (გარეთ გავარდება და იძახის.) მიშველეთ, რა ჭირს გადავეკიდე მიშველეთ!

ავეტიქა. (კარებიდგან უძახის) ლავიწების ჭირიმე! შენი ღვიძლებისა, მობრუნდი!

## გამოსვლა 8.

იგივე და მაქთაღა. (მაქთაღა კარებში შეეხეჩება ავეტიქასა.)

მაქთაღა. ავეტიქ, შენა?

ავეტიქა. (შეკრთომით.) მე გახლავარ!

მაქთაღა. ქა! რა გინდა, ამ დროს აქა?

ავეტიქა. ოხანას ვეძებ, საქმე მაქჳს.

მაქთაღა. თალალა რა ქნილა მეთქი.

ავეტიქა. ვინ თალალა?,.. მე აქ არავინ მინახამს.

მათქაღა. ვუი, ქა, რას ამბობს ეს ლაპუსტაწი. (იძახის) თალალი, თალალი!... (პასუხი რომ არ ესმის) ვუი, შენს პარ დედას, შჯლო!.. სად წასულა?

(ავეტიქა ამ ლაპარაკში მეორე კარებიდან გაიპარება.)

მაქთალა. (გასწევს უცებ ისევ კარისაკენ და ამბობს ავეტიქაზედ.) მოიცა შე არამზადავ, მე გიჩვენებ შენ თამაშასა, თუ ხმა გაგიცია, იმ ქალისათჳს აბა წავიდე კუხნაშიაცა ვნახო. (გავა).

(ფარდა ჩაეშვება.)

## მოქმედება 3.

### გამოსვლა 1.

(ოსანას ოთახში სკამზედ ზის იულონ და თავს ადგას თავისი მოურავი.)

იულონ. ეს რა მომივიდა მოურაო? რა ჩემა წმიდა გიორგიმ დამაბრმავა? გეფიცები, იმ ღამეს, კარებიდან მაქთალამ რომ დამანახვა, კინაღამ არ გავგიჟდი, იმისთანა მშჳენიერი რამა ჴსჩნდა:—თვალები გიშერს უგვანდა, ყმაწჳლი და წვრილი, ესლა სულ სხჳა არის.

მოურავი. უთოთ, შორიდან, მაგრე გჩვენებიათ.

იულონ. რა, შორიდან, კაცო? (წამოდგება და კარებთან.) ამ კარიდგან ვერა გხედამ რაცა ხარ?

მოურავი. რა ვიცი,—ალბათ შენი ბედი ეგ ყოფილა... ასე იტყვიან: იღბალს ვისთჳსაც ვინ უნდა, წინ გადაეფარებაო და კაი თვალზედ დაანახვებსო.

იულონ. მერე, რა დაუშავე, იმ ოხერს ჩემს იღბალსა, რომ ეს საქმე მიყო?

მოურავი. შენი რისხჳა არა მაქჳს ეგ რომ შენ რძლე-

ბში მიიყვანო, მასხარათ გაგვაკეთებენ და სიცილით დასკდე-ბიან... სირცხვილით, მეკი იქ ვეღარ დავდგები და.

იულონ. მე მაგასა ვჩივი და! სად გავიყვანო,—ჩემი ნათესავობა შემჭამს.

მოურავი. თუ ფულები მაინც ბლომათა აქჳს, იმითი მაინც ბოდიში მოგვეხდება და ჯანი გავარდეს!

იულონ. ამ ორ დღეში თუ თავისი ქონება, ჩემს სა-ხელზედ არ დაამტკიცებინა, არ შეიძლება.

მოურავი. მაშ არა და.... ბებერიც ყოფილა, მგ ოჯახს დაქცეული!...

იულონ. (შეკრთომით) სუ, არ გაიგონოს.

მოურავი. ყურსაც ავლია, ბატონო.

იულონ. (მცირეს ფიქრის შემდეგ.) ახლავე უნდა შინ წავიდე და ცხენები წაასხა,—ჩვენს სოფელში თუ ვინმე გკითხოს, იულონმა როგორი ქალი შეირთოვო, არავის უთხრა თუ ცალ თვალი არის და საძაგელი,—ყველას ძალიან უქე და ჩემ შჯლებთან რომ მისვიდე, ასე უთხარ ბევრი მზითევი აქჳს და თქვენის სარგებლობის გულისა-თჳს დაეხარბა ბატონითქო.

მოურავი. მაშ, როგორ ჰაძაგებ, ყველას მაგრე ვეტყვი თქვენი რისხვა არა მაქვს.

იულონ. მეც მანამ ვეფერები მანამ ყველას ჩემს სახე-ლზედ დავამტკიცებინებ; მეკი ზედაც აღარ შევხედავ.

მოურავი. მაშ არა და! მაგას მოუჯერ დაგაჭლექოს.

## გამოსვლა 2.

### იგინივე და ოსანა.

ოსანა. (შემოვა მხიარულის სახით და იულონს გვერ-

დით მოუჯდება.) ბატონჯან, ამაღამ თეატრში ნუ წავალთ?

იულონ. თქჳნი ნება არის.

ოსანა. მოურაო, წადი ლოჟის ბილეთები გვიყიდე.

მოურავი. ოღონდ თქჳნკი ისიამოვნეთ და ბილეთებს კი არა, თუნდა შაქრის პურებს მოგართმევთ.—

ოსანა. (განცჳფრებით) ვიშ, ქა, ბლითები რათ გინდა?— მე ბილეთი გითხარ მოურაოჯან.

მოურავი. ჰო, და იმასაც მოგართმევთ და საცაგი გნებავთ იქ გიახლებით.

იულონ. (შეწუხებული, მოურავს მიუხვედრებლობისათჳს) მე გავგზავნი სხჳასა, მოურავს არა ჰსცალიან.

ოსანა. (ქმარს) შენი ნება იყოს; ოღონდკი წავიდეთ და ვინც გინდა, ის გაგზავნე.... ჩემი ჯჳარის წერის ხმა ქაბატუას ყურში რომ ჩავარდნილა, მწუხარებით გული წასვლია და ძლივს მოუბრუნებიათ... იმათ ქიშპზედ მინდა ტეატრში გამოვიჭიმო, რომ ქჳყანამა თქჳას, თუ კნეინა ოსანა ბძანდებაო... გასქდეს ქაბატუა!...

იულონ. რაზედ ისოცებიან, ასეკი მოსდა და.

მოურავი. თუ მაგრე არის-და, ყოველ ღამ წაბძანდით იქა, რაღაც სათათრეაა...

იულონ. (მოურავს ჩუმის ხმით და წყრომით) რა ღმერთი გაგიწყრა,—ხომ შეიტყე, რომ ვერ გაიგე თეატრი რა არის და არ გაჩუმდები.?—რაღათ მარცხვენი?...

ოსანა. მერე ვაქსალში სეირობას ვიქ, ბულვარში კნიაზთან პოდრუჩკით გავივლი, მთელი ხალხი თავს დამიგრამს, კნეინა მობძანდებაო, გზას მიზმენ... ნახე თუ როგორ მიწა დაეყრებათ ჩემს ვინმებს.

იულონ. (იცინის) კარგი აზრი არის ეგა, კარგი, წავალ კაცს გავგზავნი რომ ქსლავ ბილეთები იყიდოს.

(იულონი გაგა მოურავიც თან გაჰყვება.)

## გამოსვლა 3.

(მეორე კარებიდან შემოდის მაქთაღა)

მაქთაღა. (თავის დაკვრით.) აა, ჩემს ოსანას გენაცვა-ლოს-მეთქი! როგორ. გიკითხო? სამი დღე არის აღარ მინახავხარ-მეთქი. ხომ გული-გულის ადგილს ჩაჯდა-მეთქი?

ოსანა. გმადლობ, კარგათ, მაგრამ რა გული ჩაჯდა, შჳლები ბევრი ჰყოლია.

მაქთაღ,. ჰყავდეს რა! შენ რას დაგიმლიან? მაგის ხა-რჩო ეყოთვათ, აღარ იცის თუ დოვლათი როგორ მოი-ხმაროს-მეთქი.

ოსანა. მე ჩემი დოვლათიც ქერ მიჭამია, მაგრამ ბალ-ღების თავიკი არა მაქჳს.

მაქთაღა. ბალღებს რას დახდევ, ბედში ჩავარდი... შჳ-ლო თუ როგორც მე მოგიქეც-მეთქი, შენც ასე ნამუსია-ნათ ჩემი გასამჯელო მომე მეთქი... ახლა ხომ ჰხედამ რა საქმე გიყავ.

ოსანა. მოგცემ, ჯერ ხომ მეტი ხანი არ არის.

მაქთაღა. პირობა, შჳლო, ჯჳარის წერის მეორე დღე იყო.

ოსანა. ჯერ იმთენი ჴელშიაც არ მიჭირამს,—ჩემი ფუ-ლები სულ დაქსასულია.

მაქთაღა. გენაცვა, რას ანბობ? ფულის მეტი რა გაქვს?

ოსანა. ჯერ ვერც სიყუარულს გატყობ; ვნახოთ გეყვარე-ბი თუ არა?

მაქთაღა. ჰოი, ეყვარები, ნორჩს სულის მზემ! ახალი შეყრილი ნუგზრები ხართ...

ოსანა. რა ვიცი?—ეს სიყუარულია? მე რომ გეხვევი იმას პირი იქით მიაქჳს.

მაქთაღა. პირის წყალიანი ვაჟია, ჯერ თუ ჰრცხვენიან?

ოსანა. თუ მე არა მრცხვენიან, იმას რაღა რჯის?...

მაქთაღა. რას მასხარაობ, ოსანჯან? გული არა მაქჳს.

ოსანა. გეყოს ნათელმა. ეხლა ერთი თუმნის მეტს ვერ მოგცემ... (იღებს ჯიბიდან და აძლევს) აჰა თუმანი.

მაქთაღა. (კელს აუგრამს) ვინ ლაჲ დასხმული გამოგა-რთმევს ჲმეთქი! ქა, მაგისათჳს დავაგდე ორი ქჳრა ჩემი ხასლკარი, ძაღლების ჭამარა? რა ჭკაზედ დავჯდებოდი და ისე დავივლიდი მეთქი, ფეხის ლანჩები გადამაცვდა თრე-ვითა.

ოსანა. აქ ბევრი შენზედ უკეთესი მაჭანკლები არიან მაგრამ სამ თუმნათ ასჯერ შემოუვლიან ხოლმე, მთელ ქალაქსა, ისე არიგებენ.

მაქთაღა. აბა თუ ქალი სარ გინახამს ვინმე მეთქი, მთელ ქალაქში ჩემისთანა სახელ განთქმული და მოხერხე-ბული მეთქი, რაც მე ზრმები, კოჭლები, ქაჩლები ყვავი-ლისაგან დაჯიჯგნილები, დავათხოვე ჩემის სულის გული-სათჳს გრიგოლებივით ვაყეზედა მეთქი, ამისთანა საქმე ვინ იქმოდა, მე და ჩემმა სულმა სამაჭკალოცგი კარგი ავიღე.

ოსანა. მესახმირიანთ ნარგიზუმ, რაღა ცოტა რამა ქნა, ორი თეძოთი კოჭლი და ელამი, არ მისცა უმზითოთ,

მილიონის პატრონ ბაზაზ ვანუასა?

მაქთაღა. ჭოდა ღმერთმა გიმჳწლოს მეთქი, ნარგიზუას რაც მიჭსცეს შენც ის მომე მეთქი, იმან ოცდა ათი თუ-მანი, ჩაიდო უბეშია.

ოსანა. შენც, დაიჯი, აჭა, ქსლა მეტი რა გინდა? და ფულებს როცა მოვაგროვებ გასესხებულებსა, მაშინაც სამ თუმანს მოგცემ.

მაქთაღა. (გაჯავრებით) იქით! თავი არა მაქჳს.

ოსანა. შენი ნებაა... (ფულს ჯიბეში ჩაიდებს) შენ ჩემი მოტყუებაც შეგრჩა: შჯლები არა ჭუავსო.

მაქთაღა. (გაანჩხლებული.) ვუი, გასქდეს დედა მიწა და თან ჩავიტანოს! მე მოვატყუებ· ურცხო?...

ოსანა. შენი ნაშობი ჩაიტანოს! ადე გარეთ გადი, ქნი-აზი არ შემოვიდეს.

მაქთაღა. ვინ გავიდეს, ქა? მერე ქნიაზი ვისი მოყვანილი არის, მეთქი?—შენი სილამაზით თუ მოვიდა,

ოსანა. ქნეინასთან ლირსმა კი ხარ ლაპარაკისა, რომ მაგებსაცა რომამ, ქოთვაკო?

მაქთაღა. (პუბლიკისაკენ) უი, ჩემ თავსა, ამ დროული ადამიანს, რა უპატიოთა მხდის მეთქი, ეს უსინიდისო!— (ოსანას) მომე მეთქი ჩემი სამაჭკალო!

ოსანა. მითომ შენ რა მიყავ? ქნიაზს ასე უნდომებივარ რომ უშენოთაც პირ აქეთ შემეხვეწებოდა.

მაქთაღა. დამჯავებულისა და ბრუციანისათჳს ვინ არ გა-გიყდება მეთქი.

ოსანა. (დიდის წყრომით) გადი თორემ სულ თრევით გაგატანინებ!

მაქთალა. მომე მეთქი ჩემი ხამაჭკალო, თორემ ამ ქო-შს თავში გდრუზამ მეთქი... (ქოშს გაიძრობს და მოუღე-რებს) ეხლავ დაგარტყამ, თუ არ მომცემ.

ოსანა. (კარებისაკენ მიდის) ბიჭო! შემოდი ეს ქოფაკი გაათრიე.

მაქთალა. მაგას მემართლები ბრუციანო? გნეინათ რომ გაგხადე მეთქი?... (ქოშს შეუმაღლებს.)

ოსანა. (კარებიდან უძახის) მიშველეთ, მკლამს ეს ქო-ფაკი!

## გამოსვლა 4.

(იულონ და მოურავი შემოსცვივიან და ერთი ხმით.) რა ამბავი არის?

ოსანა. (იულონს.) პატრონჯან! ეს ქოფაკი მკლამს.

იულონ. (განცვიფრებით.) შენა, მაქთალო?

მაქთალა. (უჩვენებს ოსანაზედ) ამ ნამუს წახულს გახამჭე-ლოზა ვთხოვ.

მოურავი. რის გახამჭელოს? შენ ვის უბედავ მაგ სიტ-ტყუჵობას?

ოსანა. გაგათხოვე, გნიაზი მე მოვიყჳანეო.

მაქთალა. (ოსანას) მე გულ გჰდარო, მაშ შენისთანა, დამჯაგვბულზედ ჯჰარს დაიწერდა პატიოსანი გნიაზი?

ოსანა. მოურაოჯან, გათრიეთ, გენაცვალე.

მოურავი. (მაქთალას.) გადი გარეთ, დედაკაცო!

მაქთალა. მომცეს ჩემი ხამაჭკალო და გავალ.

იულონ. (მაქთალას წყრომით) ვინ მოგითმენს შენ ამ

ანბავსა?

მაქთაღა. ქა, რათა გნიაზ! დამპირდა მეთქი, თორემ როდი მოგატყუებდი მეთქი, და ჩემი გაყის ქალს დაგანახვებდი, მაგ ქაჯის მაგივრათა.

ოხანა. (ხიანჩხლით გულზედ კელს ისომს, რადგან იმის ანბავი გამოამჟღავნა.) ვაი, გული მიმდის, გენაცვალეთ, მიშველეთ!... ეს რა მომიგონა ამ ქოფაკმა.

იულონ. (ოხანას კელს დაუჭერს) რა დაგემართა. ბატონჯან? ტახტზედ დაბძანდი... (დასომს)

ოხანა. (წუნარის და ნაზის ხმით.) ჩქარა, გათრიეთ...

მოურავი. (მაქთაღას.) განა შენი შჳლი შჳლი გაახინჯე ბატონს, მაგათ მაგივრათ? (ოხანაზედ კელს იშუშრს).

მაქთაღა. ნანიას სულის მზემ, მაგრე გვქონ მეთქი.

რათ მომატყუე დედაკაცო, არა გრცხვენიან?

მაქთაღა. მაშ რა მექნა? ქმარი შემრთეო, ჭირივით ჩამომეკიდა; ერთი წელიწადია, მოსვენება აღარ მომცა.

მოურავი. ეგ ოინობაც შეგიძლიან, დედაკაცო?

მაქთაღა. (მოურავს) გაჭირებამ გამაბედვინა.

ოხანა. (იულონს) ტყუის, ტყუის, შენმა მზემ, მე ვიყავ.

იულონ. მოურაო, გაგდე აქედგან მაქთაღა, თავის დღეში აქ აღარ გაიაროს.

მოურავი. (წაავლებს მაქთაღას კელს და კარებისაგან მიჰყავს) გადი, დედაკაცო აქ ფეხი აღარ დადგა, თორემ წელს აგათრევინებ.

მაქთაღა. (მიდის გარეთ და მიმავალი.) გჳრგჳნიმც გაგიშავდებათ! ჩემის უპატიურობისათჳს.

ოსანა. (სირცხვილით იულონთან ვეღარ დადგება და განგება) ერთი წყალი ჩავყლაპო, გული მიმდის. (გავა.)

იულონ. (მცირეს ფიქრის შემდეგ მოურავს.) აკი გითხარ, მოურავო, ის სულ სხჳა იყო მეთქი; ჰხედამ რა ოინბაზობა გვიყვეს?

მოურავი. ჩუჱნ კიდევ ეს საქმე უყოთ რომ, რაცა აქჳს ყველა შენ სახელზედ დავამტკიცებინოთ და მაგას პირში ჩალა გამოვავლოთ.

იულონ. შენ წადი, ცხენები წაასხი და სხჳა მე ვიცი... ხედამ რა ერთს საჯს, მაძლევს?—ეს ოცი თუმანი ვალიც შევჭამეთ.

მოურავი. რატომ ხარჯის ფულს მაინც მაგას არ ართმევ, ბატონო?

იულონ. რათ შევამცნევინებ, რომ ფული მიჭირს?... მაგას ასე ჰგონია მილიონის პატრონი ვარ.

მოურავი. ფულებით მაინც ვიკოჭაოთ და ჯანი გავარდეს!

იულონ. მოგეცეს დღეგრძელობა, მე მაგის ვირის საპალნე ჭრელი აბაზები შევასხუსტო!

მოურავი. რა უყოთ თუ გონჯი არის,—ჰხედამთ რა პატივშია ვართ?

იულონ. ლაპარაკის დრო აღარ არის, წადი თორემ დაგიგვიანდება... ახლა შენ იცი და იქაურობამ.

მოურავი. მშჳდობით ბძანდებოდეთ (თავს დაუკრამს) ჩქარა ჩამოვალ მე იქ უთქუჱნოთ დიდხანს ვეღარ გავძლებ... ახლა წავალ ქალბატონსაც გამოვეთხოვები. (გავა).

გამოსვლა 5.

ოსანა. (მოწყენით გადმოივლის და სკამზედ ჩამოჯდება)

მოურავი ჯერ, რათ გაისტუმრე, ბატონჯან.

იულონ. დრო არის სახლს მიჴხედოს... რას დაღონე-ბულხარ? ოსანჯან! იმ წყეულმა დედაკაცმა მართლა გაგა-ჯავრა.

ოსანა. იმას ყურს ვინ უგდებს! იმან თავისი თავი გაა-ჯავრა.

იულონ. შენ ნუ მომიკჳდები, კარებიდან რომ გადავი-და, ასეთი პანღურები უთავაზა მოურავმა, რო შენი მო-წონებული.

ოსანა. (ღიმილით) მართლა? უი, ღმერთმა, უშველოს.

იულონ. მაშ ვერ დაინახე? გარწმუნებ! მეც მინდა კი დეც მეცემა, მაგრათ იმისთანაზედ კელი როგორ გამეჩი-რქიანებინა...

ოსანა. მე ამასა ვჴჩივი, რაც იმანა სთქჳა იქნება დაი-ჯერე?

იულონ. შენგან არ მიკვირს! აბა რა დასაჯერებელი არის?... ბევრიც ვიცინე იმის უსაფუძვლო ჭორებზედა.

## გამოსვლა 6,

## იგინივე და ავეტიქა.

ავეტიქა. (იულონს თავს დაუკრამს.) ხიძეს გახლავარ!

იულონ. ოჴ! შენ ის ავეტიქა არა ხარ, კასეთში რომ იყავ?

ავეტიქა. დიახ ის გახლავარ, ძლივს რომ გადავირჩი... ახლა ხიძე გაგვხდომიხარ და ქრთამს კიდევა მთხოვ?

იულონ. როგორ თუ ხიძე?

ავეტიქა. ვა, ოსანა ჩემი ბიძას ქალი არ არის...

იულონ. მართლა?... დაბრძანდი, მაშ ახლა პატივი უნ-და გცე. (ავეტიქა დაჯდება.)

ოსანა. (ავეტიქას). თუკი ბიძას ვაჟი ხარ და რათ მიმ-დურებ, რომ ჩემს ადგილში დუქნებს აკეთებ, დაიცა ჯერ შენთჳს არ მომიცლია..,

ავეტიქა. მე შენ ხმას არა გცემ.

ოსანა. ქა! რაც დედამიწასა მართებდა, იმას ცა ამბო-ბდაო.

ავეტიქა. მითომ მე რომ არ დამიძახე და უჩემოთ ქო-რწილი შეჭამე, ეს რა ამბავია?

ოსანა. ქმარი რომ შევირთე, იმიტომ ჯავრობ თუ?

ავეტიქა. ჩჳჸნი ოჯახი ღირსმაკი არის, ამისთან, ხიმეთ გვიშოვნია?

ოსანა. აკი მეუბნებოდი, თუ ვინ გითხოვსო, დაბერ-დიო-.. აი, გულები დაგისეთხეთ, თუ არა?

ავეტიქა. მე რა ნაღველსა ვიქ,—ნეტავი აქამდისაც ათი ქმარი შეგერთო, მაჭკანკალი გიცხონოს.

ოსანა. მაშ რათ აკეთებ ჩემ ადგილში დუქნებსა?

ავეტიქა. ის შენი არ არის, ჩემი არის, თუნდა კნიაზ-ზმა ქნას სამართალი.

ოსანა. უი, რაებს იტყვის ეს ხიუმე ბნელი!

ავეტიქა. მე მოველ, თუ ხიმე გავიცნო, შენკი აყალმა-ყალსა ხდი?...

ოსანა. ახლა ოხერი ნუღარა გგონივარ, რომ დამიბრიყო.

ავეტიქა. მამა გიცხონდა დავი ჯარაბა მოშალე.

იულონ. ოსანჯან, რა დროს ჩხუბი არის?..

## გამოსვლა 7.

### იგინივე, მაქთაღა და თალღალა.

მაქთაღა (ჴელი მოუკიდნია თალღალასათჳს და მოჰყავს) აი, კნიაზ, თუ გსტყუვი? იმ ღამეს ეს არ დაგანახვე, მაგ მაიმუნის მაგივრათა? აბა, შემოჰხედე, მარწყვის კონას არა ჰგავს?...

თალღალა. შაგისთჳს წამომათრიე? ბებილო, რას შეუშლიხარ? (იულონ და ავეტიქა, ამათ განცჳფრებული უყურებენ.)

ოსანა. (გაანჩხლებული) გადი შე ქოფაკო და ეგეც გაათრიე, ვიღაც გოგო მოგითრევია, შენ როგორა ჰბედავ რომ ჩემი ქმარს მაგისთანა ღამაზ ქალებს უჩუჩნებ?!...

მაქთაღა (მოუბრუნდება ოსანას და უყვირის) მამე მე-თქი ჩემი სამაჭკალო, მამე, (ზუბლიკისაკენ) ვაი შენ, ჩემო ქაბატუავ, რა ამის გულისათ გაგხადე.

იულონ. (მაქთაღას) რა გინდა ჩუენგან დედაკაცო? რაც იყო, იყო, არ მოგვეშვები.

ავეტიქა. მაქთალ, შენ გაურიგე კნიაზი და არას გამლევს? ნეტავი ჩემი ძისათჳს გაგერიგებინა, ოც თუმანს მოგცემდი, რა დამყავებული გაგისალებია და!

მაქთაღა. ტყუილია შენი სიყმის მზეს? — თალღალა აქ არ იყო, იმ ღამესა? — შენ რომ კიდეც გამოჰხედგომოდი, ზირმავო!..

ავეტიქა. ვინ გამოუდგა, როდის? გავეხუმრე. (თალღალას) რათ გაიქე თალღალჯან რომ ყჳრილი ვითომ რა იყო.

თალალა. შენი გაქრობა! რათ დამტანჯე წყეულო,

ოსანა. გენაცვალე, ავეტიქჯან, პანდურები მაგათ, პან-დურები!

ავეტიქა. სადუქნე ადგილებს დამიმტკიცებ?

ოსანა. ყველანი ჩემი ზინეთისთჳს არ ისოცებიან,—გა-გონილა?!

იულონ. (წამოუსტებს მაქთალს) არ გსვალთ? მე გი-ჩჳრნებთ თამაშას!... (მაქთალა და თალალა კარებისაკენ გაეჩქარებიან.)

თალალა. (მაქთალას.)გაგიწყდეს სასხლი, კარგი ბებია შე-ნა მეყვსარ! თუკი ასე იყო, რათ მომათრევდი? ამ გასა-წყვეტებმია.

მაქთალა. (ოსანას.) არ იქნება, უნდა მომცე ჩემი სამა-ჭკალო-მეთქი, თორემ მთელ ქალაქში, რირი, რირის, შე-ვიქ მეთქი!...

ოსანა. (პუბლიკისაკენ მაქთალაზედ კელს იშვერს) გა-გონილა, ქა, რასაც საქმეს ეს ქოფაკი მე მიშჳრება?— ღამის ქმარი გამიგიჟოს!

იულონ. ეს რა ცეცხლში ჩავარდი თქჳრნი ჭირიმეთ?

მაქთალა. (ოსანას) მამე ჩემი სამაჭკალო-მეთქი, შე უცხჳრპირო ბრმავ. (მაქთალა და თალალა გავლენ ჯავრობით.)

ავეტიქა. ახ, იმ ღამეს რა კელიდან წამივიდა ეს ლა-მაზი ჩიტი და!

ოსანა. (ავეტიქას. წადი, შენც შეგარცხჳნა და შენი ბი-მას ვაყოხაცა! ერთი კელი ვერ დაწყე, ჩემი უპატიურო-ბისათჳს.

ავეტიქა. პანდურს როგორა გავადრებ, ნეტავი ერთი

ორი ეგოცნინებინა, მაქთალასთჳს, რა მრჯვის, წავალ თა-ლაღას წავართმევ, ის არის ჩემი მკვლელი, იმის სიყვა-რული გულში მიბრახუნებს.

იულონ. (პუბლიკისაკენ) ეს რა ხალხი უთვილდა? რაც ჩემ დღეში არ მენახა, ეხლა ვნახე.

ავეტიქა. ახლავი მშჳდობით ხიძეჳან, (იულონს თავს დაუკრავს. პუბლიკისაკენ) თუ თან არ გავჰყვე არ იქნება. (გავა.)

ოხანა. აი, ამას ამბობს, ბიძას ვაყი ვარო.—თუკი ჩე-მთჳს გული ეწოდა, ერთი პანღურს ვერ მიარტყამდა? მოურავს არცკი შევსვეწნივარ, მაგრამ რამთენი ურტყა.

იულონ. განა მეკი არ შემეძლო იმათი მორევნა, მაგ-რამ სირცხვილი არის, ისევ განუმება ჰსჯობს, ქჳშწყანა შეიურებოდა, გამოგაამკარავებს.

ოხანა. რასა ჰნიაზჳან? ქმრის შერთვა, თუ სირცხვილი იყოს, დღეში ასი ქალი აღარ გათხოვდებოდა.—მე ავე-თიქაზედ მომდის გული, პირ შავი! მამულებსკი მცრცნის და ჩემს მოსანძლევლებს აქ ხმა არ გასცა და თანკი გაჰყუჩა, ვითომ რა არის, ყველა წვრილათ შევიტყო, საქმე რო-გორ მოხდარო...

იულონ. მაგისათჳს უნდა ახლა ჩემ სახელზედ მალე დაამტკიცებინო შენი მამულები, რომ მოდავეებს ყველას პასუხი მე გავჰსცე.

ოხანა. რა აქჳთ ქა, ჩემთან გასაყოფი? დიდი ხანია გეუბს თავისი უჯაშია და პოდოზას თავისი.—ახლა რომ შენზედ დავამტკიცებინო, ისიც მეტი ფულების გადაყრა იქნება.

იულონ. როგორ მითამა?

ოსანა. ქაღალდებში ცოტა წავა თუ?

იულონ. მეტი რა გზა არის,—სასამართლოში ეხლა შენ ხომ ვეღარ გატარებ.

ოსანა. სასამართლო შორს არის თუ? მე აღარავისი მრცხვენიან, განა უმაწჳლიდა ვარ.

იულონ. (პუბლიკისაკენ.) ვაი ჩემს ბედსა! (ოსანას) მერე ხომ უნდა სოფელში წაგიყვანო და იქიდან აქ ხადღა ივლი?

ოსანა. (წყენით) უი, ჩემ თავს, ქა! სოფელში რა გინდა? აქ ბინა მოვშალო და იქ ლეკებმა მომკლან?

იულონ. რათა?—ხან აქ ვიყვნეთ და ხან იქა.

ოსანა. სწორე გითხრა, არ შემიძლიან, გეუას ნათელმა, რომ ერთი დღე გავსძლო მე სოფელშია!

იულონ. მაშ, ჩუ̂ენი ქალები როგორა ჰსძლებენ?

ოსანა. იმათ, ქა, რა უნასამთ?—ჩიტებივით მინდვრათ არიან დაზრდილები.

იულონ. ინებოს ღმერთმა რომ იმათი მგზავსი ყველანი იყვნენ როგორნიც ჩუ̂ენი ქალები არიან.

ოსანა. მითომ რა? იმათზედ ნაკლები ღმერთმა შეარცხვინოს!

იულონ, მე რასაც გელაპარაკები იმისი პასუხი მომე, იმათთან რა გრჯის?

ოსანა. რისა, ქა, არ ვიცი, ვერ გავიგე.

იულონ. რისა და ამისი რომ, პირობა ასე იყო, უნდა ყოველივე შენი ქონება ჩემ სახელზედ დაამტკიცებინო.

ოსანა. ვინა თქო, მერე, ეგა? მე გუნებაშიაც არ გამი-

კლია.

იულონ. აი, მაქთალო, თუ მაგ პირობით არ დავიწერე ჯჳარი.

ოსანა. მაქთალას უღავბია, რომ მაგისთანა ტყუილები დაუთქსია.

იულონ. ორი კჳრა, ყოველ დღე, სულ ეგ ანბავი მოჴქონდა და ტყუილათ როგორ მოიგონებდა?... აბა დავიბარებ და ჴკითხამ, თუ ტყუილათ მოუგონია.

ოსანა. ქა, რა თავს იწყენ აღაჯან,—ჩემი ზინეთი არც შენი არის და არც ჩემი: რაც გაგვიჩნდება იმისი არის.

იულონ. (იქით.) შჳლის ყოლის იმედიცა აქჳს!... კარგი სეირია!... (მოუბრუნდება ოსანას) აგი ანბობ, უმაწჳლი აღარა ვართ, შჳლიკი გეყოლება?

ოსანა. ქა. ვითომ რატომაო? ჭრაქუტოდაანთ ხამთვერას, ორმოცდა ჩჳდმეტი წლისას, წყვილი ვაჟი ერთათ გასჩენია.

იულონ. იქნება ეჴეც ბებრების ორსულობამ იცოდეს?

ოსანა. რას წყენულობ აღაჯან?—ვისხდეთ ერთათ და რაცა მაქჳს ორთავა ვჭსჭამოთ... ამაზედ უკეთესი ადგილი დუნიაზედ არ არის.

იულონ. მამა არ წამიწყნდეს, მე ჩემ ყმასა და მამულს არ მოვშორდე:—ჩემი ქჳრჳანა—ყველას მირჩევნია.

ოსანა. ქა, ახლა ეს როგორ უნდა იყოს?

იულონ. ასე უნდა, რომ ყოველი შენი ქონება ჩემ სახლზედ გადმოიტანე, დავიდარაბაში მე ვივლი, უიმისოთვი, ხან აქ ვიყვნეთ, და ხან სოფელში... აი განზრახვა.

ოსანა. მაგრე რომ მცოდნოდა, კი არ შევირთამდი...

წაწყმდეს მაქთალა, ჩემის ცოდვით!

იულონ. რათა, ქალო? რა არის აქ ცუდი?

ოსანა. ჰსწორე მოგახსენო, მანამ ცოცხალი ვარ, ვერც ბინას მოვშლი აქა და ვერცარავის ჩემსას რასმე დაუმტკიცებ.

იულონ. (გაჯავრებით.) მაშ მომატყუეთ?

ოსანა. მოტყუებული მე ვარ, შენკი არა.

იულონ. როგორა? ღირსი არა ვარ შენის ქრმობისა?

ოსანა. შჳლებით ხამსე ყოფილხარ.

იულონ. შენ რას დაგიშლიან ჩემი შჳლები?

ოსანა. იმიტომაც არა გაქჳს გული ჩემზედა...

იულონ. როგორ გული? — არ ვიცი რას ანბობ.

ოსანა. ხვალაც არ გიყვარჳარ და თუ ზინეთსაც დაგიმტკიცებ, მაშინ ხომ ზედაც აღარ შემომხედამ, — ხვალ სხჳა ქალებს დაუწყებ დევნასა.

იულონ. (წყენით.) ეს რა ყოფილა? როგორ ჰსჩანს არავინ არა ტყუის შენთანა. —. აბა ეგ სათქმელია? სიყვარული ამაზედ მეტი როგორ შეიძლება?

ოსანა. მაშ რათ ამბობ, მაქთალამ მომატყუაო?

იულონ. იმიტომ რომ, შენ მეუბნები, არ დაგიმტკიცებო და ისკი მევიცებოდა, მარტო ორი ვირის საპალნე ჭრელ აბაზს ჩავაბარებო.

ოსანა. დასწყევლოს ღმერთმა, რა მოუგონია! ნეტავი ერთი მუჭა აბაზი მაინცა მქონდეს...

იულონ. მაშ არცარა ჰსხჳა ჰსჩანს?

ოსანა. აი, რასაც ჰსედავ, ეს არის.

იულონ. ეგენი დაამტკიცე, რა უყო.

ოსანა. მე ვიღას გამოუდგე?

იულონ. ამბობენ ვითომც, ერთი მდიდარი ქალი მომკუდარა, მილლიონის ბანკის ბილეთი ჩევჩიკში ჩაუდვია და ანდერძით უთქომს დისათჳს, ასე დამმარხეთო; დაკი საშინელი ღარიბი და წვრილ შჳლი თურმე ჰყოლია... შენც ისე მოგდის, აი.

ოსანა. მითომ, რაო? ავიღო და ყველა შენ შჳლებს შეგაჭამო ეს გინდა თუ?

იულონ. (ჩიბუხს გააქრობს, ეწევა და თან დადის) ჩემი შჳლებისათჳს საჭირო არა არისრა, მაგრამ, მე შენგანკი არ მოვტყუვდები,—განა მეც მაქოთალა ვარ.

ოსანა. ეჰუ! სედამთ, რა ანბავია?—ამასაც ჩემი ზინეთის სისარბე ჰქონია!

იულონ. ნუ გამაჯავრებ, შენის ნებით მინდა დამიმტკიცო, თორემ საქმე ცუდათ მოვა.

ოსანა. (გაანჩხლებით) მითომ რა უნდა მომავიდეს? თუ არ გინდივარ, სადაც მოსულხარ იქვე მობძანდით!

იულონ. კიდეც მითხოვ? კარგი, კარგი! მაშ მომეც, რა ერთი ფულიც მე, აქ, დამეხარჯა... ასი თუმანი მიზის... და მე გიჩვენებ შენს თამაშასა.

ოსანა. ქა, რაც შენ, შენს დღეში გიჭამია, იმის ანგარიშსაც მე მთხოვ თუ?—არ ჩავიგდებ ჩემ ზინეთის ბელში, არა!

იულონ. (გაანჩხლებული.) მამა არ წამიწყმდება, მთელს ქალაქს აქ, შევჭყრი! ასეთ საქმესა ვიქ სამაგალითო იყოს!

ოსანა. კოტრი კნიაზი მოსულხარ, მე უნდა გაგამდი-

დრო თუ?

იულონ. მაშ რა ოხრათ გინდა, თუ ან ქმარს არ მისცემ და ან ნათესავსა?

ოსანა. ბევრს კნიაზებს დავმარხავ, მეკი ისევ ჩემ ზინეთსა ვჰსჭამ.

იულონ. (მივარდება ახლო და გაანჩხლებული შეუტევს) შენ კნიაზებს ნუ ახსენებ, თორემ აქ ნახამ თუ რა მოგივიდეს.

ოსანა. გაგიჭრეს თავი, კაი ქმარი შენ მე გადამეკიდე!.. ვათრევ ქოფაკს მაქთალას, ჩემი მოტყუებისათჳს.

იულონ. შენ მართლა შეგრჩა ამთენი ოინობა... (აიღებს ჩიბუხს და დაანახვებს) ასე გაგაჭრელებ, ასე გაგაჭრელებ, რომ...

ოსანა. უი, უი, მომკვლას მიზირობს ეს სიუმე ბნელი; რა ჭირი შემომივარდა გენაცვალეთ?) (გაიქცევა ოთახისაკენ და გავა.)

იულონ. (უკან მისძახის) აგრე დაგითრენ, აი! (პუბლიკისაკენ) ეს რა ყოფილა თქჳენი ჭირიმეთ?... თუკი ასე იყო, მაქთალა შემერთო ამის მერთვას ის არ მერჩივნა?—ბებერი ესეც არის და ისიცა!... იმას თვალები მაინცა აქჳს.

## გამოსვლა 7.

(ოსანა შემოიტანს ძველს შალის ჩერქესკას, ახალუხს, ქუდს, წაღებს და ძველს პალტოს, დაჰყრის პოლზედ და გაწიწმატებული იძახის.)

აი, კოტრო კნიაზო, შენი დიდი ბარგი, აღარ მინ-

დისარ, გადი აქედანა, აგრივე შენი ავლა-დიდება და წადი.. ყელში ამოგივიდეს ჩემი გაკეთებული მუთანჯის ფლავი! გნეინობას ხომ ველარ წამართმევ და სხჳა რაღა დამრჩება შენი?...

იულონ. (გაბრაზებული) მე არ შევარჩენ ამ ამბავსა!.. წავალ ეხლავ მღჳდელს მოვიყჳან, მთავრობას ვაცნობებ, ქჳეყანას შევჰყრი, მაქთაღასაც აქ მოვათრევ. (მიდის კა-რისაკენ,)

გამოსვლა 8.

(ავეტიქა იულონს შეეხეჩება კარებში.)

ავეტიქა. კნიაზ! რა ყალ-მაყალია, ხაით მიეჩქარები? დაიცა მამა გიცხონდა სიტყჳა ვთქო,—მოციქულათ გამო-მგზავნა მაქთაღამა.

იულონ. გამიშვი, მე უჩჳენებ თამაშასა.

ავეტიქა. რაღას ემართლები?—ხუთს თუმანს ჯერდება.

ოსანა. ფეცხლი რომ ჩამომიგდო, იმის სამაჭკალოს არ მივსცემ. ვათრევ იმ ქოფაკსა.

გამოსვლა 9.

იგინივე და მაქთაღა.

მაქთაღა. (კარებში მდგარა და ამ სიტყვაზედ შემოვა.) აქეთ, გამიშვით, მე ვიცი თრევა როგორიც უნდა, დავა-გლიჯო ბუწუწები...

ავეტიქა. ვა, შენც ჩხუბეს, კნიაზ?

იულონ. (ავეტიქას) სუყველა შენია, ქალს მამულებთან რა ხელი აქჳს?—აქ წამო, სამართალია და ქჳეყანა.

მაქთაღა. კნიაზ, მე რაღა ვქნა ბეთქი.

იულონ. ვაი შენა და ზნე! — მაგას დამტკიცება არ უთქვამს და შენკი მატყუებდი?...

მაქთაღა. ვინ ანბობ მაგას, ქა, ის გულ გჳდარი?

ოსანა. შენ მოიგონე, შენა! — მე არცარას გაძლევდი, არცარას მივცემ.

მაქთაღა. (ოსანას) დიას, შენი სილამაზით თუ მოტყუვდა მეთქი! ჩემმა ენამა ქაა, ჩემმა.

ავეტიქა. (მაქთაღას) წავიდეთ, წავიდეთ, აქ ხეირი არა იქნება რა... (ოსანაზედ ამბობს) ეგ მაგისთანა არის, ეხლა შეიტყუეთ? როგორც ჯინჯარი ქვაბში ისე გულები დათუთქული გვაქვს მაგისთანას.

გამოსვლა 10.

იგინივე და მოურავი.

მოურავი. ეს რა ამბავია? ქვეყანა ამ ქუჩაში შეყრილა, რა ჩხუბის ხმა არის? (ავეტიქას რომ დაინახამს) ჰო, ავეტიქას ფულის სთხოვ და არ გაძლევს? თავი დაანებე, რა დროს ჩხუბია, მასხარობელი ვარ, მასხარობელი

იულონ. ოჰ, მოურაო, მოსველ?... რაღა რა ამბავია, მერა ხედავ, [illegible] ბარგი გადმომიყარა და გამომაგდო.

მოურავი. როგორ თუ ბარგი გადმოგიყარათ? ჭკუიდან შეიშალა თუ?

იულონ. როგორ გაბედეო და მითხარიო, რომ შენი ქონება ჩემ სახელზედ დამტკიცებინეო, — აღარ მინდიხარო!...

მოურავი. ეე ჰუ! მაშ ცარიელ ცალ თვალა ბებერს ვინ

ოსერი წაიყვანდა... ეხლა ხომ მაინც თავი უნდა დაგვენებებინათ, მე ასე საჩქაროთ, თქჳენთან მახარობლათ წამოველ, წეღან ვერ გაიგეთ? ეხლა ცოლიც შინ მოგივიდათ და შჳლებიცა, ჩქარა წამობძანდით წავიდეთ...

იულონ. რას ანბობ რა დროს ხუმრობა არის, როგორ თუ ცოლი?..

მოურავი. არა გჯერათ? თქჳენ მზესა გფიცავ!—ქალბატონი ლეკებმა რომ წაიყვანეს, ჩჳენ ხომ მკჳდარი გვეგონა და რამთენი მწუხარება გადაგხდათ, მაგრამ ცოცხალი ბძანებულა და ერთს ბელადსა ჰყოლია სამი წელიწადი.

აკეტიქა. (ბუზლიგისაკენ.) კაი შ[illegible] იქნება!

მოურავი. იქ ერთი ღჳთის კაცი გამოჩენილა, ვიღაც ღენერალი არისო, იმას დაუხსნია და შინ დიდის პატივით გამოუგზავნია.. დღეს მესამე დღე არის რაც დიანბეგმა მოიყვანა. (ყველანი განცჳფრებულნი არიან.)

ოსანა. (იულონს.) რასაც მოურავი ანბობს თუ მართალია, ვაი შენ სულსა, თუ ტყუილია და ნეტარება შენ სულს.

იულონ. (ყურს არ უგდებს ოსანას, მივა ახლოს და მოურავს პირზედ ჰკოცნის.) ოჰ, რა მითხარ ეგა? მამაჩემი არ წამიწყმდებაამ მახარობლობისათჳს გაგა[illegible]ებ, იმდენს მოგცემ რომ საშჳლი შჳლოთ გეყოს! ჰო, ჰო, [illegible]!... ეს რა მომხდარა?!.. გმადლობ შენ ღმერთო! [illegible] მითომ ერთი დღე ავი აღარ მინახამს.

აკეტიქა. კნიაზ, ცოცხალი ცოლი გყოლია და აქვე სხჳაზედ ჯჳარს იწერდი? თავადებმა მაინც ასე რაღაც რაღა-

ცები იცით,

მაქთაღა. ვიჳ, გენაცვალეთ! ეს რა უცნაური საქმეა!... მომილოცავ, კნიაზჯან მაგ ყამს რომ მორჩი, ამაზედ ახია! (ოსანაზედ კელს იშუჱრს).

ოსანა. უი, ქა, ეს რა ცეცხლი ჩამომივარდა? რაღა ვქნა? (ლოყებზედ კელს ისომს.)

იულონ. (მოურავს.) ქალბატონს შჳლები არ მიჯგვარეთ?

მოურავი. როგორ არა, იმავ დღესვე, ჩუჱნც ჩქარა წავიდეთ თორემ თვალები დასწუდებათ გზისაკენა, საცაა ბიჭები ცხენებს მოასხმენ, ისინი ცოტა უკან დარჩნენ, მე ჭენებით მოვიდოდი.

ივეტიქა. (ოსანას) ახლა დაგიდგა თვალები, აი! ასე ყოფილა შენი საქმე კნეინო?... ხა, ხა, ხა, ხა!...

მაქთაღა. (ოსანას) სამართლიანმა ღმერთმა ეხლა დაგიყენა მეორე თვალიცა მეთქი! გენაცვალე, უფალმა ამომყარა შენი ჯავრი თუ არა?

ოსანა. (მაქთაღას.) შენ ხომ სწავლული ხარ, მაქთაღჯან, ორმოც თუმანს მოგცემ, ხმა ამოიღე, ეხლა კნიაზი ვის ერგება: მე, თუ იმ პირველს ცოლსა?

მაქთაღა. შე უპიროვ. ეხლა ერთი პასუხისათჳს, აღარც ორმოც თუმანს დაგიჯერდები, თორემ კნიაზს შენი კელიდან გაუშვებდი!...

ოსანა. კნიაზთან რაცა ვჰქენ სუმბრობით იყო შენმა მზემ, თორემ ვისთჳს მინდა ყველას, შენ მოგცემ.

იულონ. იქით, იქით, ხმა ჩაიწყვიტე!

ოსანა. მიშველეთ, გენაცვალეთ, ავეტიქ, თუ ძმა ხარ შემვარიგე, სადუქნე ადგილები შენთჳს იყოს.

ავეტიქა. დაიკარგე! კნიაზი მერე აბიდას შეჭსჭამს? ადგილები მაინც მე დამრჩება.

ოსანა. კნიაზჯან! დაგიმტკიცებ, ოღონდ ნუ გამიშვებ შენი სიყმის მზეს! მთელი ზინეთი შენი იყოს, სულ შენ შეჭამე. (მოურავს.) მოურავის ენა პირის ჭირიმე მომეხმარე, ერთი კელი ხალათი შენთჳს არის მზათა.

მოურავი. რჯულების დარღვევა ჩემი საქმე არ არის, (პუბლიკისაკენ) ქალბატონი მზესაც მირჩევნია და მთვარესაცა, არამცთუ ამისთანა ცალთვალა ბებერსა!...

ოსანა. მაქთაღ, თალაღას ჩემის ფულით გაგითხოვებ, ხმა ამოიღე, შენ ცხონებას.

მაქთაღა. კაი, ეგ გული ამომაგლეჯინა და ძაღლებისათჳს მიმაგდებინა მეთქი, თორემ, მე ვიცი საქმეს როგორც გავაბამდი.

იულონ. მოურაო, აბა გაიხედე არ მოასხეს ცხენები, რა დაემართათ.

მოურავი. (კარებიდან იყურება.) რა ღმერთი გაუწყრათ.

## გამოსვლა 11.

### იგინივე და ფოჩტალიონი.

ფოჩტალიონი (შემოვა, თავს დაუკრავს იულონს და წიგნს მიართმევს.)

იულონი. (გახსნის წიგნს და იტყვის) ოჰ, ჩემი შჳლის წიგნი რუსეთიდგან.... (ხმა მაღლა კითხულობს) საყვარელო მამავ! ვიცი გიამებათ, მე წარსულს თვეში ცოლი შევირთე და ჯვარი დავიწერე.—ახუთი ლამაზი ქალი შევირთე, როგორც ვარსკვლავი, სწავლული და მდიდარი:

ოცი ათასი თუმანი ფული აქჳს. ეხლა იქიდგან ლოცვა კურთხევის მეტი აღარა გვეჭირებარა... (კითხვას თავს დაანებებს და ანბობს) ჴოოო! მეც ეს მინდოდა! ახლაკი მშვიდობით!... (ოსანას თავს დაუკრავს და გავა).

მოურავი. (ოსანას.) ბძანდებოდე მაგ შენ მაყალთან, შენი არა გვესაჭირებარა. (გავა).

მაქთაღა. (ოსანას.) ჩემი ნიკვეთე არმათ გადაგექცა თუ არა? წავალ აღარა მინდარა შენი. (გავა.)

ავეტიქა. (დაცინებით.) ოსანჯან! მოდი გუსების ხაყდარში მონოზნად შედი. (გავა.)

ოსანა. (მარტოკა აქეთ იქით იყურება.) მაშ, აღარავინ მეხმარება? ახლა ვესალმები ქჳეყანასა? ახლა წასვლა ჩემი უმაწვილ ქალობას? ქაბატუას გულისათვის გავხდი? რაღა ვქნა?... (გული უღონდება.)

(ფარდა დაეშვება.)

# ქმრის გოდება.

(ბერანჟიო.)

ვაი, კუბოში მქვს ჩემი ცოლი!
ღმერთო ისილე, ჰა, შენი მონა!...
და განასვენე ამისი სული
აბრაამის წიაღთა შინა!....
მიეც სატანის მას განშორება
იმ საშინელსა განკითხვისა დღეს,
იქ მოუსდება მას განსვენება.....
რომ აქ მეორეთ აღარ მოვიდეს!...
ვაი, კუბოში მქვს ჩემი ცოლი,
და სხ. . . . . .
ეჰ, საუკუნო რა არს ამ ქუეყნად?
მის კელში ვიყავ ნეტარებაში
და მოვილხენდი გაუწყვეტელად....
მხოლოდ სამის დღის განმავლობაში!
ვაი, კუბოში მქვს ჩემი ცოლი.
და სხ. . . . . .

ჩემთან ხანდისხან თუმც თვალთმაქცობდა,
მაგრამ არ არის საგინებელი,
რადგანც ტრფობაში არ ზარმაცობდა....
უყვარდა ჩუენი მას მეზობელი!
ვაი, კუბოში მყვს ჩემი ცოლი.
და სხ. . . . . .

თჳთქმის ყველასთან გულგრილათ იყო,
უკანასკნელს დროს, როცა კვდებოდა,
მაგრამ ტირილი მწარეთ დაიწყო....
როცა მის კუბოს ეთხოვებოდა!
ვაი, კუბოში მყვს ჩემი ცოლი,
და სხ. . . . . .

კიცი ამ დარდსა მე ვერ გაუძლებ:
გული მისქდება, ცხარე ცრემლსა ვღვრი....
სჯობს გავასვენებ და გავაცილებ,
ჩქარა დავმარხავ, მიწას მივაყრი!...
ვაი, კუბოში მყვს ჩემი ცოლი!..
ღმერთო იხილე, ჰა, შენი მონა!—
და განასვენე ამისი სული
აბრაამის წიაღთა შინა!....

თ. აკ. წერეთელი.

# რამდენიმე სიტყვა «ჩანგურის» შესახებ.

ძლივს ერთი სეირიანი წიგნი გვეღირსა: უ. ლორთქიფანიძემ გამოსცა ლექსების კრება «ჩანგური», რომელმაც მოულოდნელათ გაგვახარა და ისე გულწრფელობითაც არის ეს ჩუენი სიხარული, როგორც პირმშო შვილის ძეობაზე, მისი მშობლებისა და ახალ მონათესავებისა... სიტყუა.... «პირმშო» აქ ჩუენ უმიზეზოთ არ გვიხმარია: ეს «ჩანგური» არის პირველი წიგნი, რომელსაც ასხია ქართული ხორცი, უდგია ქართული სული, სტირის და ჰკვნესის ქართველების გვნესით და მაშ რაღა საკვირველია, რომ ყოველ რიგიან ქართველთ ნათესავისათვის სასიხარულო იქნება?... მიზეზიც ამისი არიან ორი პირველი მწერალთაგანი, როგორც ღირსებით, ისე რიცხვითაც: თ. ნ. ბარათაშვილი და თ. ი. ჭავჭავაძე.—

ვიცი აქ მკითხველი ვერ შემომხედავს წყალობის თვალით რადგანაც აქ ჩემგან ხმარებული სიტყუა «პირველი» ორივე შემთხვევაში აგვირევს და ჰფიქრობს; «პირველი ღირსებით? როგორ თუ პირველი ღირსებითაო?! ვსთქვათ თუ გინდა ბარათაშვილი დიდი მწერალია, მაგრამ იმასთან

ი. ჭავჭავაძეს რა უნდა? ვინ აძლევს იმას ბარათაშვილის გვერდით ადგილს? ჰმ, ეს ილია ჭავჭავაძე ჭაპანაწყვეტით ლექსების მწერალი, რომლის ლექსებშიაც არც სულის განმაცხოველებელი პოეზია იპოება და არც სასმენელის დამტკბობი ჰარმონია ისმის, ნუთუ ერთს ტახტზედ უნდა გვერდით მოუჯდეს ბარათაშვილს?... ჯავრობს მკითხველი.. დიახ, ჩემო პატრონო! ეგ თქვენი ნაქები და შემკული ბარათაშვილი და ჭავჭავაძე, სწორედ ერთს ტახტზედ სხდომის ღირსები არიან, ერთგვარი დამსახურება აქვსთ ჩვენს ლიტერატურაში, ერთ გვარათ დაუვიწყრები არიან, ერთს გაუწყვეტელის ჯაჭვით გადაბმულები ერთი მეორეზედ; ერთის უმეორესით გაგება ძნელია! ერთის სიტყვით ეგენი არიან მოსე და აარონი ჩვენის ლიტერატურისა. ამის დამტკიცებას ქვემორე შეუდგებით და აქ ჯერ მეორე «პირველს» დამტკიცებას ვეცდებით.—მეორე «პირველი» ესე იგი «პირველი რიცხვით» ვიცი არ აჯავრებს მკითხველს, როგორც ზემოთ «პირველი« მაგრამ აცინებსკი ჩემზედ: «ეს რა უთქვამსო? ეს რა დაუწერიაო»? «პირველი რიცხვით» ხა, ხა, ხა!. ნუ თუ მაგათზედ ადრე მწერლები არა გვყოლიაო? ეტყობა ამ სტატიის ავტორს არც ერთი ძველი წიგნი არ წაუკითხავს, მაგრამ სიმღერები მაინც არ გაუგონია თუ ყოფილა როდისმე საქართველოშიო, სხვა არა იყოსრა მარტო ბესიკის და მისი ჯამქრების ლექსები უნდა სცოდნოდა და ამისთანა სიცრუვე არ გამოეთქვაო?—პატრონო მკითხველო! მეც წამიკითხავს ძველი წიგნები, ვყოფილვარ საქართველოში და არა თუ გამიგონია ბესიკისა და მისი ჯამქრების თხზული ლექსე-

ბი, კიდევაც თჳთონ მე მიღიღინებია. დრო იყო, რომ მის «ტანო ტანტანო», «შავნი შაშვნი», და «სევდის ბაღის მეველე» ალტაცებაში მოვჴყავდი ხოლმე და ახლა, ვერ დავჰფარავ მე რომ, ის ლექსები მოცლილი კაცის სასმენელს ატკბობენ ხოლმე, ისე გარმონიულად არიან დაწერილი. მაშ მწერლებო, მეუბნება მკითხველი, სულ ყველა ბარათაშჳლზედ და ჭავჭავაძეზედ ადრე სცხოვრებდენ და სწერდენ და თქჳენ რაღა მიზეზით ეძახით იმ უკანასკნელებს «რიცხვით პირველებს»?... ამ სურვილს, იმედი მაქჳს, აქვე დავამტკიცებ, მაგრამ ჯერ მე თჳთონ უნდა ვკითხო: მკითხველო! ვინც რომ საქართველოში ბძანდებით და მიბძანეთ: ხომ გაგიგონიათ ჩჳენში ბულბულის ყეფა, შაშვის სტვენა და მერცხლის ჭიკჭიკი? რასაკჳრველია, არათუ შენ მარტო, ყველას გაუგონია და თუ მოცლილიც ვყოფილვართ, დაგვიგდია ყური და დაგვიტკბობია სასმენელი, ათასად უფრო ვიდრე ბესიკის გარმონიული ლექსებისაგან, და მაშ ეს ჩიტები რაკი საქართველოში ეგ ბუნება ყოფილა არ გამოლეულან და მაგრე უსტვენიათ; მაშასადამე ეგენი უნდა იყვნენ უპირველესნი რიცხვით პოეტები, მაგრამ, იმედი მაქჳს, შენს გულშიაც არ შეუშვებ, რომ მგონია ჩჳენს ლიტერატურაში რამე დამსახურება ჰქონდესთ, თუმცა სასმენელსკი გვიტკბობენ; რასაც თქჳენ ფიქრობთ მაგ ჩიტებზედ, მეც იმას ვფიქრობ მაგ თქჳენს ნაქებ მწერლებზედ, რომლებსაც ერთი და იგივე ღირსება აქჳსთ მაგ ჩიტებთან, რადგანაც მაგათ ლექსებში ცარიელი სტვენის მეტი არაფერი მოისმის, მაგალითად მივიღოთ თუ გინდა ეს ლექსი:

«ტანო ტანტანო, გულ-წამტანო, უცხოდ მარებო,
«ზილიფო გავებო, მომკლავებო, ვერ ხაკარებო,
«წარბ-წამწამ თვალნო, მარათვალნო, შემაზარებო,
«ძოწ ლალ-ბაგეო, დამდაგეო, სული წამარებო,
«პირო მთვარეო, დამდაგეო, მზისა დარებო, და სხუა.

ეს ბულბულის, ტიუ! ტიუ! ტიას! ტიას! ტიაას! არ არის, ასა რა არის? ცარიელი სტვენა არ არის?! და მაგათ ისე-თი დამსახურება არა აქუსთ ჩუენს ლიტერატურაში? კიდევ განვიმეორებ, როგორც ის ჩიტები ისე არ მომყავს ეგენი მწერლების რიცხვში. აქ ეგების იფიქროთ, რომ მე უმიზე-ზოთ, ურიგოთ ვიქცეოდე და ცუდ განძრახვით ვადარებდე მწერლებს ჩიტებს და ვცდილობდე მათს მოქმედებაში ერთსა და იმ გვარსავე ღირსების პოვნას? სრულიადაც არა, მე მაგაზედ არასოდეს არ ვამბობ და თუ თქუენ ჰნახავსთ მიჩვენოთ გან-სხუავება-რამ მაგათ დამსახურებაში, მაშინვე ვალდებული ვარ მოგახსენოთ ჩემი წინააღმდეგი აზრი. ახლა მე მსურს სხუა საგანზედ ვილაპარაკო, უჩუენო მკითხველს რა გა-ნსხუავება არის ადამიანისა და პირუტყვის შუა. პირუტყვი ჯერ დაისახება დედის მუცელში, იზრდება შიგ, მერე იშო-ბება, იზრდება, მომწიფდება, ბერდება და ბოლოს ჰკუდე-ბა ისე, როგორც კაცი; იმასაც კაცივით ხუთივე გრძნობა აქუს: სმენა, ხედვა, შეხება, გემოვნება და ყნოსვა; ისე ჰბრუნავს იმათშიაც სისხლი როგორც კაცში, ისე სჭამს და ისე ინელებს როგორც კაცი; ერთის სიტყვით, საზოგა-დოთ ფიზიკურათ იმათში განსხვავებას ბევრსა ვერასა ვხე-დავთ.... და მაშ რითი განსხვავდებიან? რასაკვირველია, მე-ტყვით, რომ კაცსა აქუს უკუდავი სული და პირუტყვსკი

არაო, ამას გვასწავებს საღმთო ისტორია და ისეც რომ არ იყოს მაინც თვალ და თვალ-მისასვედრია, რომ კაცი არის უკვდავი, მეუფე ყოველთა პირუტყვთაო! დიახ, თანახმა გახლავარ: ძალიან უგუნური უნდა იყოს კაცი, რომ ვერ შენიშნოს კაცში პირუტყვზედ უმაღლესობა. მაგრამ რაში მდგომარეობს, რაზედ არის დაფუძნებული და რაში იხსენება კაცის უკვდავება? მის მაღალ განვითარებულ ჭკუა გონიერებაში, რომელსაც გვიჩვენებს როგორც ენის მეტყვე-ობით, ისე მოქმედებითაც, სადამდისაც პირუტყვი ვერ მი-წვდება. აქედგან ჩანს, რომ პირუტყვში არის მხოლოდ ერთი მხარე ფიზიკური და ადამიანში ორი: ერთი ფიზი-კური ისე, როგორც პირუტყვში და მეორეკი მოთავსებული ზნეობაში. მხარე, რომელიც პირუტყვს მოკლებული აქვს, რადგანაც სჯა, მაღალი ჭკუა, გონიერება, რომელსაც ჩვენ გვიჩვენებს კაცის უკვდავს სულს, პირუტყვს არა აქვს. — თუ ცხოვრების მსვლელობაში პირუტყვი სცდილობს დააკმაყოფილოს მხოლოდ თვისი ფიზიკური მოთხოვნილება და რადგანაც მას გრძნობაებს შეუძლიანთ მხოლოდ აწმყოთი და მამავლისთვის ბევრს არას ფიქრობს; — როდესაც ის თავის მძორს დააკმაყოფილებს ე. ი. საჭმელ-სასმელს ბლომათ იშოვის და კარგი ამინდიც დაუდ-გება, ის არის მაშინ სრული ბედნიერი, მაგალითად: ასუქეთ პირუტყვი: სჭამს, სვამს, ნავარდობს და სრული ბედნიერია და, იმასკი ვერ მიხვდება, რომ ხვალ თავს მო-აჭრიან და ამიტომ ასუქებენ. მაგრამ კაციკი სულ სხვა არის!... ის მის ცხოვრების მსვლელობაში ცდილობს და-აკმაყოფილოს ორივე მხარე: ფიზიკურიც და მორალურიც

(სული). და ამისათვის მარტო აწმყოსით არ სცხოვრებს და არც არის ბედნიერი აწმყოთი თუ მომავალს კეთილს არ იმზადებს და არ მოელის; სცდილობს, რომ ყოველს კეთილის მომნიჭებელს მიზეზს მომავლისას გული შეუწყოს და წინაამძღვრი თვისი მომავალის ბედნიერებისა დაარღვიოს, მაგრამ, რადგანაც ჰგრძნობს, რომ პირადპირადათ მისი შრომა სუსტია და რომ უფრო ძლიერათ იმოქმედოს, შემოიწვევს სხვის ძალასაც; ამ აზრით ის ეძიება ოჯახობას და ინასავს ცოლ-შვილს, ნათესავებს და რომ თვითონაც უფრო ბედნიერი იყოს ცდილობს და ზრუნავს მის ბედნიერებაზედაც.

აი აქედან დაიწყება კაცობრიობის პირველი ბიჯი, რომლითაც ის გამოდის პირუტყვულ მდგომარეობიდან. მეორე ბიჯი—როდესაც ჰფიქრობს, რომ ჩემი ახლო ნათესავების ბედნიერება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც საზოგადოება, რომელშიაც ვსცხოვრებთ ბედნიერი იყოსო და დაიწყებს საზოგადოებისათვის კეთილ-მზრუნველობას; ამ გვარათ შეჰყვება კაცი და ზრუნავს და შრომობს თვისის ხალხისათვის და გახდება პატრიოტი, რომელიც ხშირად თავს შესწირავს ხოლმე თვისის ხალხის კეთილ-დღეობას; და სულ უკანასკნელი ბიჯი როდესაც კაცი ზრუნავს საზოგადოთ მთელი კაცობრიობისათვის და მაშინ შერაცხს თავის თავს ბედნიერათ. როდესაც მთელი კაცობრიობის მოთხოვნილება შეძლების გვარათ დაკმაყოფილებული იქნება. ამ გვარი კაცი არის კოსმოპოლიტი... აქ გხედავ რომ გადავსცდი მას სადაც ზემოთ ვამტკიცებდი, მაგრამ ეს ამიტომ ვქმენი რომ მეჩვენებია განსხვავება კაცისა და პი-

რუტყვებს შუა და ახლა გკითხავთ: ის კაცი, რომელიც მხო-ლოთ თავის თავზედ ჰფიქრობს, ჰსურს დააკმაყოფილოს მხოლოდ თავისი მმორი, აწმყოთი იყოს ბედნიერი და არა ჰფიქრობს მომავალზედ და ამ მიზეზით მსხვერპლად შე-სწირავს სხვების ბედნიერებას, განსხვავდება პირუტყვისაგან? პირუტყვია თუ არა? რასაკვირველია რომ პირუტყვია, რა-დგანაც მის ცხოვრებაში ვხედავთ მხოლოდ პირუტყულ მოთხოვნილებას. ის არის სულით მკვდარი, მას დაუკა-რგავს ღვთის ხატება და დაუფარავს მინიჭებული მისდა-მი ქანქარი.

ვითომც ბოდბელს უთქვამს: «თუ მე არ ვიქნები, ქვა ქვაზედაც ნუღარ ყოფილაო» და ეს ანდაზა ჩვენში შესარცხ-ვენად ქართველების ანდაზათ გახდა; ვის არ გაუგონია ჩვენში ბოდბელის ქება? ჭკვიანი კაცი ყოფილა, ასე უთქ-ვამსო! და კიდევ გკითხავ, მკითხველო: ვინც ამ ბოდბელის ჰაზრს თანა უგრძნობს და იმეორებს მის სიტყვებს?......

ისტორიულის მდგომარეობამ ისე დასცა საქართველო და მოსდრიკა წელში, რომ იმან მხოლოდ აწმყოს მოავლო თვალი და დრო აღარ ჰქონდა რომ მომავალზედ ეფიქრა. საუკუნოებითმა ტანჯვამ ისე გაასუბედურა ჩვენი ხალხი, რომ როდესაც დასაძინებლად დასწვებოდა ხოლმე, იმას ნამდვილი იმედი არა ჰქონდა მეორე დღეს ცის სინათლის დანახვისა; თჳს მომავალს ცდილობდა დაემზადებინა ზეცას და ამ ქვეყნათ აღარას ეძებდა.—ამ მდგომარეობაში იყო ჩვენი ხალხი დიდხანს; ცხოვრებდა მხოლოდ თავისთვის, ჰფიქრობდა მხოლოდ თავის აწმყოზედ, რომელსაც თუკი დააკ-მაყოფილებდა რომელიმე ბედნიერათ, რაცხდა თავს ბედნიერად,

მოილხინდა და შეექცეოდა......... და რომელმაცკი მათგანმა სიმღერაც იცოდა, აჭიკჭიკდებოდა სოლმე ისე, როგორც ზემოხსნებული ჩიტები; მაგრამ რა იყო მაგ სტვენაში? მათი საკუთარი აღტაცება და სიხარული, .... მათი მძო-რის დაკმაყოფილება და ამისათჳს ძველი მწერლების ლექ-სებში ჩუენ ვერაფერს ვხედავთ გარდა ბუნების აღწერისა, სიყუარულისა, ღვინის, ვარდის, ბულბულის და ვაზისა, ერთის სიტყვით მათის საკუთარის გრძნობისა და ამ მი-ზეზით ისე ეკუთვნიან ისინი ჩუენს ხალხს, როგორც ზემოხსენებული ჩიტები. აი ამ გვარ მდგომარეობაში იყო ჩუენი ხალხი და ამ გვარათ სტვენდნენ მისი მწერლები, რომლებსაც პირველად გამოვიდა ჩუენს ხალხში ბარათაშვილი. ბარათაშვილიც, რასაკვირველია, კაცი იყო ხორც შესხმული და აღტაცებაში მომყვანმა საქართველოს ბუნებამ იმასაც აუშალა გრძნობა და დაუტკბო ისე, როგორც იმ ზემო-ხსენებულ—მწერლებს; ის მიდის ტურფად გაშლილ სუ-რნელების აღმომფშვენ ვარდთან, სჭვრეტს, შედის ეშხში და უგალობს:

«ბულბული ვარდზედ მჯდარი ეტყოდა მას მსტვინავი:
«ვარდო, ვარდო, მტანჯე ჩემო, გვედრებ გულით მტკინავი,
«მალირსე, თუ როგორ არს გაშლა შენი მდინავი? და სხ.»

აქ იხატება, რომ ბარათაშვილის ბულბული ე. ი. მისი მოთხოვნილება მარტო მძორის დაკმაყოფილებას არ და-სჯერდა; ფიზიკური ვალი თუმცა დაკმაყოფილებული ჰქონ-და ვარდის ტურფა შლილობითა, მაგრამ, იმან მოინდომა დაკმაყოფილებინა თავისი გონების თვალიც და, გულ-მტკინავმა ჰკითხა: როგორ არის გაშლა შენი მდინავი?»

მაშინ გამოეცხადა ეს დემონი, რომელსაც ის ბოროტ სულს ეძახის, (მაგრამ ჩვენ კი უნდა ვსცნობდეთ კეთილ-სულად) და უთხრა: «ეგრე! ეგრე! გამოიძიე! მიიხედ-მოიხედე, თუ რომ გინდა კაცი გახდე, ეცადე გონების დაკმაყოფილებასაც! შეხედე! ამ ბუნებას ხალხი ახსია, შენც იმ ხალხში სცხოვრებ; მიტომ მოგწონს ეს ბუნება და მისთჳს მოჰყავხარ მას აღტაცებაში, რომ მაგ ბუნებით შენს გარდაც ხალხი სტკბება, თორემ რომ ხალხი არ იყოს და უდაბური იყოს, მაშინ გინდ სამოთხის დარიც იყოს არ გვინდა!.. ამარტო ბუნებას ნუ შესცქერიხარ, შეხედე ხალხსაც, გამოიძიე რას შვრება? რა ეჭირვება კეთილ-დღეობისათჳს და სხ,.....

მოისმინა პოეტმა, გადახედა ხალხს და რა დაინახა? ხალხის დაბალი ცხოვრება და სხვა ვერაფერი. აუღელდა გული, ვეღარ ემონა მათ პირუტყულ საზოგადო კანონებს; გადაადგა დიდი ბიჯი, მოშორდა მათ და დაინახა თავი მარტოთ უდაბნოში.—აქედან იწყება მისი ტანჯვა და ამბობს:

«ნურ ვინ იტყვის ობლობისა ვაებას,
«ნურ ვინ ჩივის თავის უთჳს-ტომობას,
«საბრალოა მხოლოთ სულით ობოლი.»—და სხვანი.

დიას, საბრალოთ იყო პოეტი დაობლებული მარტო უდაბნოში, ვერავის მიმსდომი.—და თჳთ უკეთ გვიხატავს თჳს მდგომარეობას შემდეგის სიტყვებით:

«არღარა აქვს ნდობა მას ამა სოფლის,
«ემინიან, ეკრძალვის, არღა იცის,
«ვის აუწყოს დაფარული მან გრძნობა.» და სხვანი.

საკჳრველია, რომ ეს ჰაზრი მეორე ჩჳენმა სახიქადუ-ლო მწერალმაც თ. ი. ჭავჭავაძემ სხჳა სიტყჳებით გა-მოსთქჳა:

«მაგრამ მამულო ჩემი ტანჯჳა მხოლოდ ეს არის,
«ის არის მხოლოდ სატირალი და სამწუხარი,
«რომ შენს მიწაზედ ამდენ ხალხში კაცი არ არი,
«რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი გაუზიარო» —

ეს სიტყჳები ეკუთვნოდა ბარათაშჳლს და არა ჭავჭავა-ძეს და ჭავჭავაძემ გადაიტანა თავისი თავი ბარათაშჳლის დროინდელ ქართველებში.—მართლა და ძნელია სულით ობლობა!... ბარათაშჳლი იმდენზედ მიიყვანა სულით ობლობამ, რომ თჳთქმის დასცა და გაბოროტებულ ტან-ჯვით მოაგონა მისი დემონი, რომელიც ადრე სანუგეშოთ გამოეცხადა მას; მოაგონდა პოეტს და წყევით უსაყვედურა:

«სულო ბოროტო ვინ მოგისმო ჩემად წინამძღვრად?
«ჩემის გონების და სიცოცხლის შენ აღმაშფოთრად?
«მარქჳ რა უყავ, სად წამიღე სულის მშჳდობა!
«რისთჳს მომიკალ უმაწჳლს კაცს ბრმა სარწმუნოება?» —

რა სარწმუნოება იყო ეს, რომელსაც ბარათაშჳლი ნა-ნობს, თუმცა ბრმათ და ცრუთკი რაცხავს?

ეს სარწმუნოება იყო, რომელსაც მთელი ხალხი საქარ-თველოსი, გარდა ბარათაშჳლისა აღიარებდა და ბედნიერი ეგონა თავის თავი; ეს სარწმუნოება იყო ბოდბელის ან-დაზა: »თუ მე აღარ ვიქნე ქჳა ქჳაზედაც ნუღარა ულო-ფილაო!»—ბარათაშჳლი კარგათ ხედავდა, რომ ეს სარწ-მუნოება ბრმა იყო და მისი მიმდევარნიც უბრმავესნი იყვ-ნენ, მაგრამ მაინც ისე შეაწუხა, სულით ობლობამ, თჳ-

თანაც დაბრმავება ირჩია, მაგრამ გვიანღა იყო მისი უგვანი ნატვრის აღსრულება! ხედავდა, რომ მისმა «სულმა ბოროტომა» მოუკლა მისი ყმაწვილური ბრმა სარწმუნოება და გამწარებული ბარათაშვილი მუქარით ეუბნება:

«განვედი ჩემგან შენ მაცთური სული ბოროტო!
«რა ვარ აწ სოფლად დარჩენილი უსაგნოთ მარტო?
«ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მაშვრალი?
«ვაი მას, ვისაც მისჰდეს ჴელი შენი მსახვრალი.»

ამ უკანასკნელ სიტყვებში ისედება პოეტის სულით სრულიად დაეცემა, მაგრამ ძნელია ისეთის დიდის ნიჭის დაცემა აღუდგენელად, როგორც ბარათაშვილი იყო და ამისათჳს ეს დაცემის გამომხატველი გრძნობა იყო მხოლოდ წამითი მოკლე ხნის აღბორგების გამო, შემდგომ ლექსებში თჳთონვე არღვევს თავის ნათქვამს სიტყვებს და ინანებს, როდესაც პოეტი მიდის მტკვრის პირზედ და ჰფიქრობს; მტკვარო, ბევრი დროს მომსწრე ხარო და ჩუენს საქართუელოს ამაზედ უკეთესი დრო არა ჰქონიაო? თუ მუდამ ასე საზიზღრათ დაცემულიყო, როგორც ეხლა მე ვხედამო? და თანვე დაუმატებს კვნესით: «ანკი რა არის ეს ჩუენი წუთი სოფელიო? ვცდილობთ, ვშრომობთ, ვმუშაობთ და ჩუენის გულის შეჯერებას მაინც ვერ შევიძლიათ, ბოლოს მოვკუდებით და თუ სიცოცხლე ღირსად გაგვიტარებია შთამომავლობისაგან კურთხევას მივიღებთო, მაგრამ ესეც მოკლე ხნის დიდებაა კაცისათჳს, რადგანაც ერთხელაც არის ამ სოფლისაც ბოლო მოეღებაო, რადგანც საუკუნო არა არის რაო და მაშ რაღაზედ ვიკლავთ თავსაო? რას ვეძებთო? ჰკითხავს თავის თავს!...

ჰკითხავს და თჳთვე მიუგებს ჭეშმარიტს პასუხს:» მაგრამ

«რადგანაც კაცთა გვქჳან შჳლი სოფლისა,
«უნდა კიდევაც მივდიოთ მას გვეხმას სოფლისა.
«არც კაცი ვარგა თუ ცოცხალი მკჳდარსა ემსგავსოს.
«იყოს სოფელში და სოფელსკი არარა არგოს!» —

მიაგნო ამ აზრს, მოავლო ჴელი და მოინდომა სოფ-ლის რგება და მისი ხალხის ბედნიერება, მაგრამა რა კა-რგათ ხედავდა, რომ მისი აწმყო ბრმა და გაფუჭებული იყო და დაიწყო მიზეზის გამოძიება: რა არის ამისი მი-ზეზი, რამ დასცა ასე ხალხიო? წარმოიდგინა ძველი დრო და ნახა რომ ჩუენი წინაპარნი უსაყვედუროთ რჩებიან თჳს ცხოვრებაში და არა გვგვანან ჩუენ: მათ დროს საქარ-თველო მოითხოვდა ქართველებისაგან მტერზედ გულის რისხვას და სისხლის თხევას და ეს მოთხოვნილება თჳთ-შე-წირვით აღსრულდებოდა ხოლმე ჩუენი მამებისაგან. ჩუენი დრო მოითხოვს ჩუენგან ძმების სიყუარულს, ერთ პი-რობას და პატიოსანს ოფლს და ამ მოთხოვნილებას ჩუე-ნვე დავსცინით და ვსდევნით. ამას ჰხედავს პოეტი და ამ-ბობს: მიზეზი რა ვქონდა ასე დაცემისო? ჰფიქრობს, ხედამ, და გვიჩვენებს ჩუენც მის «ქართლის ბედში» სა-დაც ამ უბედურების მიზეზს გჳსატავს მეფის ირაკლისა და სოლომონ მდივნის საუბარში.

მაგრამ ამ გვარის სამსახურით ვერ სრულ-ჰყოფდა ბა-რათაშჳლი მის დანიშნულებას, მისგან მოითხოვებოდა, კიდევ სხუაც რამე; თჳთანაც გრძნობდა ამას მარტო, აწ-მყოს და წარსულის ცნობაზედ ბევრს კარგს ააშენებდა. აქ კიდევ წარჩინებულმა მისმა დემონმა (სულმა ბოროტმა):

მარტო წარსულზედ და აწმყოზედ ნუ სტირიალებ, იფიქრე მაგ ხალხის მომავალზედაც! ამოსთხარე მირიანი ეკალი და მის ნაცვლად იქვე ჩასთესე კეთილი თესლი და არ დაიკარგება: ამოვა მომავალში და მოიტანს კეთილს ნაყოფს!... ეს რჩევა სულით და გულით შეითჳსა ბარათაშვილმა და ზეწამომდგარმა და ამაღლებულმა შეურყევლად თჳსი მომავალი ცხოვრების და შრომის, რჩევას დასკჳნა და აგვიწერა, «მერანში», მაგრამ, ვაი რომ სიკჳდილმა მოუსწრაფა დღეები და მისი სურვილი დარჩა შეუსრულებლად, თუმცა შეკაზმა კი მოასწრო მისი მერანის (პეგასი)' და გაექცა თვალ ბედითს ყორანს:

«მირბის, მიმოფრენს უგზო უკვლოთ ჩემი მერანი,
«უკან მომჩხავის თვალ ბედითი შავი ყორანი.»

ანბობს.—რა ყორანი იყო ეს თვალ ბედითი შავი ყორანი? ის უბედურება, რომელსაც დაპყრობილი ჰყჳანდა საქართჳელო.—პოეტი გაექცა, გაექცა, გაუსწრო წინ იმ შავს ყორანს და გადმოსძახა ახალ შთამომავლობას: მე არ დავეძებ არც ტოლს, არც ნათესავს და არც სხჳა რამეს, შენთჳს შემომიწირავს შთამომავლობავ, ჩემი აწმყო ბედნიერებაო:

«ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულის კვეთება,
«და გზა უვალი შენგან თელილი, მერანო ჩემო მაინც დარჩება?
«და ჩემს შემდეგ მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს,
«და შეუპოვრად მასხუნე თჳსი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!»

აი რა გადმოსძახა საქართველოს, მაგრამ ასრულებაკი აღარ დასცალდა და რაში მდგომარეობდა მისი დაპირება და რა იყო მის გუნებაში, ის ჭეშმარიტება დიდხანს დარჩა ჩვენთვის დაფარულად და გაუგებრად.—დიდ ხანმა გაიარა ბარათაშვილის შემდეგ და მის კვალზედ წასული არავინ გვინახავს. თუმცა ნიჭიანი მწერლებიკი გამოჩნდენ საქართველოში და კელოვნებაც კარგათ გაიგეს, მაგალითად; ი. გ. ო. თ. ალ. ჭავჭავაძე, თ. რ. ერისთავი, გ. ბ. ჯორჯაძისა და სხვანი, მაგრამ რაო? ამათ ხალხის დარდი არა ჰქონიათ, თავის ქეიფს უნდებოდნენ, ერთი ამბობდა: სულოჯან, მეორე: დავუსხნათ ცოდნის მებნასა, ლხინო სჯობს ყოველ ცოდნასაო, მესამე: რათ შემიყვარებ განა არ ვიცი შენ ჯერ ნორჩი ხარ მეკი მოხუციო, მეოთხე კი თვალები ცეცხლის ბურჯღლებს ისვრისო! და სხვანი. (აქ რიცხვში არ მომყავს კომედიის «გაყრა» ავტორს რადგანაც აქვს ჩვენს ლიტერატორებთან კავშირი) სხვებიკი ღმერთმა შეინახოს!.... ლექსებსკი ბევრი სწერდა, მაგრამ რაგვარს: ზოგი ლოცვებს, ზოგი მოდებს, ზოგი რას და ზოგი რას. მაგრამ იმათი მღერა, რასაკვირველია, ჩავილი იყო და არა სტკენა, რადგანაც თვითანაც არა ბძანდებოდნენ ბულბულები!——ამ სიგოტრის ჟამს გამოჩნდა ილია ჭავჭავაძე. პირველათ, რასაკვირველია, თარგმნა დაიწყო პუშკინით, ლერმანტოვით და სხ. მაგრამ ბოლოს დააგდო ეს გზა და შეუდგა ბარათაშვილის კვალს და, რადგანაც დროც კელს უმართავდა უფრო თამამათ, ტრიალით დაუწყო ხალხს შეჩივლა: აი რა უნდა ეთქო თქვენთვის ბარათაშვილსაო! აი რას მოასწავებდა და რას ნიშნავდა მისი

გვნებავს!» ერთის სიტყვით ჭავჭავაძე. არის ბარათაშვილის მოკანანასე და მისი დიდი ღირსებაც ამაზედ არის დაფუძნებული. ყოველს მის ლექსებში ვხედავთ ქართველების ტანჯვას და გოდებას, მაგრამ რა საგანიც უნდა აიღოს ტანჯვის გამოსახატავად, მოქმედ პირათ მაინც თვითონ არის; ავიღოთ მისი ჭკვიანი ლექსი, მაგალითად «გუთნის დედა» რა კარტინას გვიხატავს ავტორი? ასე ჰგონია კაცს, რომ სერზედ შემჯდარი ჭავჭავაძე მიჩერებია გულ-ტკივილით მოღიღინე გუთნის დედას და ეუბნება: «შე სულელო, აი რას უნდა გრძნობდე და აი რასაო»— ავიღოთ კიდევ მეორე მისი ლექსი: «ხმა სამარითგან»— ავტორი ცდილობს, რომ მკვდარს ათქმევინოს მისი ცოდვები; ამ შემთხვევაში ან უნდა ისე ამოიძახდეს ხმა სამარითგან, რომ კაცი გააცინოს და ან ისე რომ შეაძრწუნოს და დააფიქროს მსმენელი, მაგრამ ჭავჭავაძე ამ პირობებს ვერც ერთს ვერ ასრულებს. მაგალითად:

«სამართალს ფულით ვსჭრიდი,
«გროშისთვის კაცს გავჰყიდდი.
«თვით მმას ორმოს გაუთხრიდი.
«და ჩემს ჯიბეს ნელნელ ვზრდიდი:
«საზრდოს გლეხსა წავართმევდი
«მშიერს მწყურვალს დავაგდებდი;
«თუ შიმშილით მოჰკვდებოდა,
«მე ის არ მებრალებოდა.» და სხ.—

ან და ეს იმავე ლექსითგან:

«გლეხებთან ვიყავ ჭკვიანი,
«ტუტუცი ნაჩალნიკებთან,

«უსმოხთან ვიყავ ხმიანი,
«და უსიტყვო ხმიანთანა,
«ვინც მე შიშით მიყურებდა,
«მას ბრაგი-ბრუგს დავუწყებდი
«და ვინცკი დამიყვირებდა
«მას მე ფეხს ქუჱშ ვუძვრებოდი.» და სხ.

ამ ლექსებში ჩუჱნ სამარიდგან კი არ გვესმის ხმა, კვ-ლა გხედათ ილია ჭავჭავაძეს, რომელიც, როგორც სას-ტიკი მსაჯული ეუბნება შემცოდეს: «შენ ეს ცოდვები გა-ქვს და ესაო»;—ამ ლექსებში პოეზიის ნატამალიც არ იპოვება, ეს არის მხოლოდ ცარიელი რიტორება, ლექსე-ბის შემარცვლა უსწორო მასწორია და რისმაც პირველი სი-მდიდრე ჩუჱნის ლექსისა არსად სჩანს, ერთის სიტყვით, როგორც ლექსი,—ძალიან სუსტია, მაგრამ ამისი ერთს სტრიქონს, ფუთობით რომ მიბოძოთ ჩუჱნის ბულბუ-ლების ნაწერში, რომელშიაც პოეზიაც იქნება, მარცვლებიც და რისმებიც, არ გავცვლი; და მიზეზიც ის არის რომ ამ ლექსებში ოცნებასკი ვერა ვხედავთ, მაგრამ ყოველს ღვიურს ჭეშმარიტებას, ჩუჱნს ნაკლულევანებას და ჩუჱნს საჭიროებას და ამისთჳს მოგვწონს პოეტი და ამაში მდ-გომარეობს-მისი მაღალი ღირსებაც.—რაც ამ ერთს ლექსზედა ვსთქვით, ის შეიძლება საზოგადოთ ვსთქუათ ყველა მის ლექსებზედ. თუ ჭავჭავაძეს ლექსებში მარტო ხელოვნებას მივაქცევთ ყურადღებას, მაშინ მის ლექსებს არ ექნება დიდი ღირსება, მაგრამ ჩუჱნ მარტო ხელოვ-ნებას არ ვეძებთ; (ხელოვნურათ ნათქუამი სისულელე და ოცნება, მაინც სისულელე და ოცნება იქნება) ჩუჱნ ვეძებთ

ჭკვიან აზრებს და ამას კიდევაც ვპოულობთ ჭავჭავაძის ლექსებში. — ამასაც ვერ დავფარავთ, რომ ჩემის აზრით ამასინჯებს ქართულს და სიტყვებს გვეცავს, რომ ძალ და-ტანებით ლექსი გამოიყვანოს ხოლმე და რასაჭიროა! უმ-ჯობესი არ არის და მისთჳსაც უკეთესი და უადვილესი, რომ ის, რასაც ლექსათ გვეუბნება პროზით გვითხრას? ამითი არათუ დაჰკარგავს ღირსებას, კიდევაც მოიმატებს? ჭკჳა-ნი აზრები, რომ ჰაცმა კარგის ტკბილის სიტყვებით გვასმინოს, უეჭველია, სიხარულით და სიამოვნებით მიუ-გდებთ ყურს, მაგრამ იმავე ჭკჳანი აზრების გადმოცემა რომ სიმღერით მოინდომოს და სიმღერაკი უჭირდეს, მა-შინ სიცილს მოგვგვრის, მაგრამ თუკი მღერალიც იქნება, მაშინ რასაკჳრველია, ეხმი უფრო მოგვიყვანს რომ სიმღერით გვასმინოს, ჭავჭავაძემაც, რომ დარბაისლურად გვემუსაი-ფოს უკეთესი იქნება. — კიდეც დაგვიტკიცა ეს თავისი პრო-ზებით, სადაც ძალას არ ატანდა თავის ნიჭს და თავის გზაზედ იდგა... ჩემის აზრით მისი «კაცია ადამიანი» და «გლეხის ნაამბობი» ობოლ მარგალიტათ რჩებიან ჩუენს ლიტერატურაში. — მე არ მინდა შევეხო მის პროზებს, რადგანაც მკითხველს ზემოთ ვპირდები მხოლოთ მის ლექსებზედ მოლაპარაკებას და მგონია ეხლაკი ჰხედავდეს მკითხველი, რომ ჭავჭავაძე თუმცა ჭაპან-წყვეტით სწერს ლექსებს, მაგრამ მაინც დიდი მნიშვნელობა აქუსთ მის ლექსებს ჩუენთჳს. აი რას ამბობს ჭავჭავაძე მის პოეტში:

«მისთჳს არ ვმღერი რომ გიმღერო,
«ვით ფრინველმა გარეგანმა!»

ანუ ეს: «რომ სალხინს მომმეთ გაყო,

«ჭმუნვაში და სისარულში.»
«ხალხის წყლული გაჩნდეს წყლულად,
«მეწოდეს მის ტანჯვით სული,
«მის ბედით და უბედობით,
«დაამედაგოს მტკიცედ გული.»

აი რას ანბობს პოეტი! ჭავჭავაძის გარდა უთქუამს ვისმეს ჱს აზრი? აი რას ნიშნავს კაცობა და არა ბულბულობა!...

მისთჳს შევეხე აქ ჭავჭავაძეს და ბარათაშჳლს, რომ ეგება ჩუენმა განათლებულმა მსწავლულებმა, რომელთაც ჯიბეში ჴელი ჩაუწყვიათ და დაცინების მეტს არას აკეთებენ, ეგება იმათ მოჰკიდონ კალამს ჴელი და კრიტიკულათ გაარჩიონ ჩუენი მწერლები.—თუმცა ბევრჯერ გამიგონია იმათგან, რომ ჯერ უნდა იყოს რამე, რომ მერე კრიტიკოსი გამოსჩნდეს და დაჰსწეროს მისი განსილვაო, მაგრამ ჱს სულ ტყუილი თვალის ახვევა არის; ის კაცი, რომელსაც წინ უდევს რუსთაველი, ბარათაშჳლი და ჭავჭავაძე, სტყუა ამ სიტყვებით, არაფერი გვაქვსო!.—სწავლულებო, მოგვხედეთ! რა არის ჱს გულის შემაზარებელი თქუენის მხრით გულ-გრილობა? გვიჩვენეთ გზა და კვალი და თუ ვერ გამოგყვეთ, მაშინ დაგვცინეთ და მაშინ შეგვრისხეთ!... მაგრამ ჱსკი უნდა იცოდეთ, რომ თუკი თქუენ თჳთონ დაცინებისა და უსაქმობის მეტს არაფერს გაგვიკეთებთ, მაშინ არა გვრწამს თქუენი წინასწარმეტყველობა.—თქუენც გვიჩვენეთ ისეთი შრომა, როგორც თ. ჭავჭავაძემ, ან და როგორც, იმათ, რომელთაც პანსიონები გახსნეს და ზრდიან ყმაწჳლებს და ან მასწავლებლებათ

შევიდენ სასწავლებლებში, ერთის სიტყვით რითაც შეიძლოთ, კეთილის სიტყვით მაინც და თუ ვერ დაგვაფასებთ მაშინ დაგვიძახეთ უმადლო ქართველები.

«ჩანგურის» გამოცემით ლორთქიფანიძემ დაიმსახურა საზოგადო მადლობა და არა ვჰკარგავ იმედს, რომ ამ ჩემს ჰაზრს დაამტკიცებს საზოგადოება... ესეც შევიტყვეთ, რომ ლორთქიფანიძეს თავისი შრომა ტყვილად ქ. ი. უინტერესოთ შეუწირავს სალხისათჳს და იმ ფასით ჰყიდის წიგნს, რამდენიც თჳთან დაჯდომია იმას გამოცემა. ღმერთმა კელი მოუმართოს სხუა ამ გვარ საზოგადო საქმეზედაც.

თ. აკ. წერეთელი.

---

# ბიბლიოგრაფიული ფურცელი.

## უწყება ახალ წიგნთათჳს.

იქნება ზოგიერთ გაჰკვირდეთ, რომ ამ ორი თუ სამი წლის წინ გამოსულს წიგნებს ახლებს ვუწოდებ, რა გაე-წყობა, მე არა ვარ ამაში დანაშაული: სადაც ახალი არ არის, იქ ძველიც ახალია. ამ წინაზედ ერთმა ჭაჯა-მაჭმადა-სანის დროს ჭაზრების მქონე ქართველმა ბრძანა ერთს ალაგს: «რა გიშირთ, ვაჟო ახლანდელ ქართველებსაო, ფქჩწნ ბედს ძაღლი არ დაჭყევსო, წელიწადში ერთი თუ თითქმის ორიც ახალ-ახალი წიგნები გეჭედებათო, სა-მოქალაქო და სასულიერო ჟურნალებიც გამოდისო, მე-ტი რაღა გინდათ, განათლდითო». დიაღ! მეტი რაღათ გვინდა! ბიჭო მეტიგი გვინდა, მაგრამ რა გაეწყობა, ნა-თქომია «ცხენით დავარდნილს, შინ მშჯდომის მეტი რა ეთქმისო.»

ქართული ქრისტომათია, ან გამოწერილნი სტა-ტიები სხუა და სხუათა ჩინებულთა მწერალთაგან. ახლად დაბეჭდილი დავით ჩუბინოვისაგან. სანკტ-პე-ტერბურღს 1863 წელსა.

წინა კაცი უკანა კაცის ხიდია. ანდაზაა.

ღმერთმა უშჳლოს უ. ჩუბინოვს, ძალიან კელს გვაშ-ველებს ქართველებს შორიდგან! რავდენი გაუწევია ისეთი შრომა, (რომელზედაც,თუ შეგვხუდა დრო, მერე გამოველა-პარაკებით ცისკრის მკითხველთა). რამდენი რამ შემოუ-წირავს ჩუენის ღარიბი ლიტერატურისათჳს, რომ საკუთარ ღუაწლად უნდა შეირაცხოს, ესე გულგრილი ამ გვარ სა-ქმეებზედ, ჩუენ საზოგადოებაში, და სამშობლო ლიტერა-ტურის ისტორიაშიაც (თუ ღუთის მადლით როდისმე გვე-შველა ამის აღსრულება) იმედი არის დაიჭიროს საჩინა-რი ალაგი. ამ გვარ ბეჯითს და გულს მოდგინე შრომაე-ბში, რომლებისაგანაც დღესაც არ დასცხრება, თუ ხელთ მძლავნელად ჰყავს წმიდა, უანგარო სამშობლო მამულის წარმატების სურვილი, (ამაზედკი ეჭვი გვაქუს) ეს კიდევ მაინც ცოტა არის ნიჭიერი კეთილგონიერი მამულის შვი-ლისათჳს;—იმან არ უნდა დაიშუროს არა ვითარიმე დრო, ხარჯი, ანუ სხუა რამე ნივთი და მოქმედება რითაცკი შე-იძლება უმეტესი სარგებლობა შესძინოს თავის მეერთ-მა-მულე მოძმეთა. რასან კაცი მადლსა სჩადის,მარილიც უნ-და მოაყაროს, მეტადრე მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი ძნელი საშოვარი არ არის: ამ გვარი ღვაწლი უფრო ით-ხოვება იმ პატივცემულ პირებთაგან, რომელნიც ნიშნავენ თავიანთ შრომაებს, ან საზოგადოდ ყველა ჰასაკისა და სქესის მეერთმამულეთათჳს, ან მარტო მდაბიო ხალხისა-თჳს, და ან ყრმათათჳს. მაშასადამე, ჩუენი ფიქრით,საკმა-მაო არ არის ქრისტომატიაში მარტო ჩინებულის მწე-რლების გამოკრება, უნდა ისიც იყოს ნაჩვენები, სახელ-

ლობ: რაზედ ეტყობა, რომ ჩინებულის მწერლების გალოვნება არის? ენა არის ჩინებული, თუ ჰაზრები? თუ ორივე სამაგალითოა: მაშ ეს საიდგან სჩანს? ყველა ამ გვარი კითხვების პასუხი უნდა შიგ ქრისტომატიაშივე იყოს, რასაკვირველია მოკლედ, მაშინ ის სრულიად დააკმაყოფილებს ხალხის თხოვნასა და საჭიროებასაც, იქნება უტყუარი და მტკიცე ხელთმძღვანელი ჰაზრების გავარჯიშებაში და ენის გაგებაში ყველასთჳს, ვისაცკი ენის ცოდნა უნდა.—თუ არა და, რამდენიმე თავის გამოღება დაბადებიდგან და სტატიების გამოკრება სხუა და სხუა უმეტეს ძველი მწერლებიდგან კიდევ ვერ შეადგენს ქრისტომატიის ღირსებას.

ქრისტომატიასა აქვს სამ გვარივე უმთავრესი დანიშნულება: ქრისტომატია ახალ-მოსწავლეთა ყრმათათჳს; ქრისტომატია, რომლისაგანაც, უნდა შესდგეს თავის დროზედ ლიტერატურის ისტორია, ყველა ამ გვარი ქრისტომატიები შეიცავენ თჳს შორის თავის შესაფერს სტატიებს. უ. ჩუბინოვის ქრისტომატია, ჩემის ფიქრით, უკანასკნელ ქრისტომატიის გვარს ეკუთვნის. მაგრამ ამ მხრითაც ბევრი ნაკლულევანება აქვს. ისტორიულმა ქრისტომატიამ უნდა პასუხი მისცეს შემდგომ კითხვებზედ: როდის დაწერილა რომელიმე თხზულება, როდის ნიმუში არის მოყვანილი ქრისტომატიაში? სად დაწერილა და ვისგან დაწერილა? პირველი კითხვის დაკმაყოფილება საჭიროა ლიტერატურის ისტორიისათჳს, რადგანაც დროს მეტად დიდი გავლენა და ზედ მოქმედება აქვს კაცის შრომაზედ. მეორე კითხვის პასუხიდგან გავიგებთ, რა

ადგილს და როგორ გარემოებაში არის დაწერილი თხზუ-ლება, — რადგანაც მწერლობის კილო, სხუა და სხუა სიტყვების და ჭაზრების გამოხატვა და მიმოხრა ხშირად წარმოსდგება ადგილ-მდებარეობისაგან. აგრეთვე საჭირო არის თითონ მწერლის ვინაობის გაგება: ამიტომ რომ როგორც ქვეყნებს თითონ ქვეყნის თჳსებაებს გვიცხადებს, აგრეთვე სულისნის ცნობით შეგვიძლიან იმისი ნამუშავრის ღირსებაც ზედ მიწევნით დავაფასოთ. თუ ისტორიაში მოწმობას პირველი ადგილი უჭირავს, მაშასადამე ყველა მხრით უნდა ვეცადნეთ გავიგოთ მოწამის ვინაობა, რომ შეგვეძლოს განარჩევა: — რომელს უნდა დაუფიქრებლივ ვენდოთ და დაუჯეროთ და რომელს არა, ხოლო ეს ყველამ იცის რომ მწერალი თავის დროების მოწამეა. — რასაკვირველია ეს უფრო ლიტერატურის ისტორიას ეკუთვნის, მაგრამ არც ამ ისტორიულ ქრისტომატიაში იქნებოდა მეტი, მეტადრე ჯერ ჩვენ რომ არა გვაქვს ლიტერატურის ისტორია, — უნდა ვეცადნეთ არა ფაქტი ისტორიული არ დარჩეს უყურადღებოთ, ან არ გადავსცდეთ შთამომავლობას ყრუთ და მრუდად. მართალია ამ ქრისტომატიაში კი არა და წინათ გამოცემულში იყო კარგა ვრცლად სხოლიოები, სადაც მოიხსენებოდა მწერლის ვინაობაც, იმისი ლიტერატურული შრომაებიც, რიცხვი და დრო მის თხზულებათ დაწერისა — და სხუანი ამ გვარნი დამატებანი, რომელნიც შეადგენენ განსაკუთრებით ამ გვარ ხრისტომატიის ღირსებას. — მაგრამ ეს ყველა იყო დაწერილი რუსულს ენაზედ, რადგანათ არის სასაცილო უცხო ენაზედ დაწერილი შენიშვნები ქარ-

თული ქრისტომატიის ასახსნელად ამას თავი დავანებოთ და ჩუჱნ მხოლოდ ეს ვიჩივლოთ — ეს მეორე ქრისტომატია რადგან არის მოკლებული ზემოხსენებულს მიუცილებელ თჳსებასს; ძალიან კარგი და სასარგებლო საქმე იქნებოდა, რომ ამ უკანასკნელ გამოცემულ ქრისტომატიისათჳს ქართულ ენაზედ სხოლიოები და სხუა და სხუა შენიშვნები მიემატებინა, ეს ყველამ იცის, რომ განვლილი დრო თან და თან ბინდდება და გვშორდება, მაშასადამე, თუ შეგვიძლიან კელოვნებით, დროები, ნაყოფი, მტკიცეთ და ნამდვილად დავარჩინოთ ქაღალდზედ. ვალი გვაქჳს ასე მოვიქცეთ. რაც ჩუჱნ ჩუჱნი დროების ცხოვრებიდგან შეგვიძლიან თითქმის უჯაიფურათ გადავსცეთ შთამომავლობას, იმათ იქნება დიდი ჯავითა და მოღვაწეობითაც ვერ შეიძინონ. ვთქოთ შეიძლება რომელიმე მწერალიზედ, მაგრამ, ვაყო, ყველას ხომ არა აქჳს ის წიგნი, ყველამ ხომ არ იცის რუსული ენა. ვგები მე მინდა, შეუძლებლობისაგამო, მარტო ეს ახალი ქრისტომატია ვიქონიო? ვიდას ვესვეწო, ვიდას მივადგე კარზედ, სად შევიტყო ისა, რის შეტყობინების ვალიცა აქჳს ყველა ამ გვარ წიგნსა?!....

აქჳს აგრეთვე თუმცა უჩინარნი, მაგრამ, იმისთანა წიგნების, ფრიად დამამახინჯებელნი ნაკლულევანებანი! არის ბევრი კორრექტურის შეცთომილებაები; არა აქჳს სარჩევი, რომელიც აძნელებს სტატიების მონახვას; არის ბევრი ლექსი და გარეული ნაწერიც, როგორც ზემოთ ვთქვით, არ არის ნაჩვენები არც მწერალი და არც წელიწადი: მართალია ჩუჱნი ლიტერატურა ჩვენივე ისტორიასავით

არის არეულ დარეული, ძალიან ძნელია ზოგიერთ თხზუ-ლების ზედმიწევნით და ნამდვილათ გამორკვევა; ვინ, სად და როდის დაწერილა, მეტადრე ლექსი, მაგრამ რომელი სულელი მოითხოვს ამ გვარ გარჩევას და გამოკვლევას; ის მაინც იყოს ნაჩვენები რის გაგებაც ძნელი არ არის, მაგ. ეს რაღა არის,— ხამი მეკლესიური სიტყვა არის მოხსენებული უწლოთ და უავტოროთ, და რავდენი ამის-თანა რომლების გაგებაც დიდ ჯაფას არ შეადგენდა. ამ ქრისტომატიაში არის უმეტეს ძველი მწერლების შრომა-ები, ახალი «შეშლილის» გ. ერისთავისა, რომლის გვა-რიც არცკი არის მოხსენებული, არ ვიცი რათ? ეს ერთი ნიმუში ჩუენი დროების ქართული ენისა საკმაო არ არის. დავიჯეროთ ისე წახდა და დაეცა ჩუენი დროების ქართუ-ლი ენა, რომ არავინ ამ დროების ქართველი მწერალი ღირსი არ არის იმისი ენა დედნათ ისმარონ რომელიმე ახალ მოზარდ-მწერლებმა! სულ ყველა ხომ საბა სულხან ორბელიანის ენით არ ილაპარაკებს?! მე არა მგონია რომ უ. ჩუბინოვი ამ აზრისა იყოს როგორც ზოგი ერთნი ჩუენგანნი, რომელნიც ამოსვრით იტყვიან ხოლმე: «ეჰ, რაც ადრე იყო, სულ კარგი და კეთილი იყო, ახლა კი აღარა კარგა რა, წახდა და გაირყვნა ქვეყანა, უკან უკან წავიდაო»....

ამასთანავე ამ შრომის ღირსებებიც, რომელნიც მცი-რედნი არ არიან, არ უნდა დავივიწყოთ: პირველად რო-გორც ყველა შრომა უნდა ესეც ღირსეულად დაფასდეს; როგორც ჯაფის გაწევა და თავის შედება სტატიების შე-გროვებისა და სხუა და სხუა გვარი მზრუნველობა და ზედ-

მსჯდველობა, რომლებიც შეუდგებიან უმეტეს ამ გვარ წიგნებსა. არის დაბეჭდილი კარგი ქაღალდზედ, მშვენიერის ბეჭდით და სუფთად. სასიამოვნო. ვალად ვრაცხთ ვურჩიოთ ყველა თავის სამშობლოს ენის მოყვარე ქართველს იქონიოს ეს წიგნი, რომლითაც არა მცირედს კმაყოფილებას და სარგებლობას მიიღებს. ეს ორი ისტორიული ქრისტომატიები არის შედგენილი ჩუენ ენაზედ, დიდი სასიამოვნო იქნებოდა რომ ყრმათათჳსაც გვქონდეს ამ გვარი სულთ მძღვანებელი წიგნი, მეტადრე ენისა, რომელსაც სახალხო შკოლები ასწავლიან სოფლებში.—მაგრამ ამისთანა შრომებზედ და ღვაწლზედ რამ უნდა წააქეზოს და წაახალისოს კაცი, მე ამ წიგნზედ ვკითხე ერთს წიგნის ვაჭარს (მარტო ამ წიგნების მყიდავმა მიიღო ახალი ქრისტომატიები ტფილისში): რამდენი გაიყიდა უ. ჩუბინოვის ქრისტომატიები მეთქი; მითხრა: ოც და ხუთი ეგზემპლიარის მეტი არ გაყიდულა და თითქმის აღარც ვინმე ითხოვსო. აფერუმ ქართველებო! 1863 წლიდგან გამოცემული წიგნი 1865-დის მარტო ოც და ხუთი ეგზემპლიარი გაყიდულა. აბა, თქუენი ჭირიმეთ, ამის გამგონეს რაღა ხალისი და ძალა უნდა შერჩეს ამ გვარ შრომებზედ?!... აი, რანი ვართ, განათლებით და სამშობლო მამულის მოყვარე ქართველებო!... აიჰ-უჰ სახელო!....

ქართული ანბანი და წიგნი საკითხავი მდაბიო ხალხისათჳს (?!) შედგენილი დ. ფურცელაძისაგან. ტფილისს 1863 წ.

ზოგი რჩებოდა ბეღლით «ზოგი ვერც მოჰკრევებითა,»

ანდაზა.

აი ყოველი შრომა საქართველოში რომელსაც ავტორი ნიშნავს სასულიერო მდაბიო ხალხისათვის! დიდი ბრწყინვალე აზრია,—ღმერთმა მისცეს ძალი და გულოვნება ამის აღსრულებისათვის. ესლა საკუთარ საკითხავ წიგნებსაც უნიშნავენ იმათ, ვისაც ამ ცოტა ხნის წინ ნებასაც არა ჰქონდათ თავისუფლად სწავლა განათლებისა. ყველა კაცს კაცის ღირსება ეძლევა, მეცნიერება მორდება რომელიმე დაწინაურებულს საზოგადოების ამქარს ანუ წოდებას და როგორც დიდნი, ეგრე პატარანი ძმურად იყოფენ ამ ყოვლადსანატრელ სულისა და გულის საზრდელ მანნას—სწავლა-მეცნიერებას. ესლა იმის ნაყოფით ყველას შეუძლიან დატკბეს. რა დრო დაგვიდგა წარმატებისათვის მეცნიერებაში! რა დრო არის ყველა მამულის მოყვარე ქართველებისათვისაც, შემოიცარცოს აზიური მცონარეობა და ტკბილი სიზმრის გვარი ოცნებითი განცხრომა, ისარგებლოს ამ შემთხვევით და ახმაროს თავის მამულს ის ტალანტი, რომლითაც თითო ჩვენგანი დაუჯილდოებია შემოქმედს. მერწმუნეთ, ძმებო, დიდათ ნაყოფიერი მინდორი გვაქვს შესამუშავებელი. დიდრონი, დიდ ძალი ქართველის ჩაწერილი საქართველოში, მთხოველი სწავლა-განათლებისა როგორც პურისა და წყლისა. ნეტარება იმ მამულის შვილს, რომელიც ერთ ორ შეუძლებელს თანა მოძმეს აუხსნის თვალებს და დაანახვებს განათლების სწორე გზას. ჭეშმარიტად რომ ამაოდ არ ჩაივლის ეს შრომა,—შეეწირება როგორც ფთილა ბებრისა. ამ გვარ საზოგადო კაცობრიულ ღვაწლში ვინც მარტო თავის საკუთარ სარგებლობას ეძებს, ის მნელად მიასწვევს მიზანში

ამაღლებულ ნიშნამდინ,—მაშინვე ასცდება. ამ გვარ შრო-მებში არის მხოლოდ ერთი დამაჯილდოებელი ძალა რომელ-აც ხალისით მოჰყავს მოქმედებაში მთელი კაცის აგებულება,—იმის სულის ნიჭები:—ეს არის უანგარო სიყუარული თავის სამშობლო მამულისა, რომელიც გამომდინარეობს მთელი კაცობრიობის სიყუარულიდგან... ეს გრძნობა ყველას მოათმენინებს, ყველას ათავებინებს და გააბედვინებს... სიძნელეს დაავიწყებს... ეხლაკი გრძნობ რომ შესავალს მიჯნას გადასცდი...

აბა ახლა გავშინჯოთ ამ ორი წლის წინ გამოცემული სახალხო წიგნს რა სარგებლობა მოუტანია ქართველი ხალხისათჳს? შიგ რაცა სწერია ის ამართლებს ამ წიგნის სახელს, თუ არა? და ვისთჳსაც არის დანიშნული ეს წიგნი შეუძლიან იმათ ისეთი სარგებლობა შესძინოს როგორიც მოითხოვება ამ გვარ წიგნებისაგან?.. ჯერ ვსთქვათ: რა დააფოლებს წიგნის ღირსებას, ე. ი. რომელიმე წიგნი რა მიზეზით ვერ მოუტანს მკითხველთა ჯეროვან სარგებლობას?

ჩუენი, ფიქრით წიგნის უვარგისობა წარმოსდგება უმეტესად სამის მიზეზისაგან: პირველად, როდესაც ავტორი თუმცა გვარიანად არის დახელოვნებული იმ საგანში, რომელზედაც სწერს; ძალიან ახლოს, ზედ მიწევნით და დაწვრილებით იცის ყველა კელთ-მძღვანელი საგნები, რომლებიცკი შეუდგებიან წიგნის შედგენას, ცხადათ და მტკიცედ აქუს თავში გამოხატული ის ჰაზრი, რომელიც უნდა გამოსთქვას, მაგრამ მცონარეობა, საზოგადოებაში გართვა, საკუთარი ხასიათი დაუდგრომელი და დაუდევნელი, შექ-

ცვის მოყვარე, ყურის მოყრუება სამშობლო მამულზედ და კაცის დანიშნულებაზედ, ყველა ეს მიზეზები ზოგი ერთ ნიჭიერ კაცს ნებას არ აძლევენ, რომ ასარგებლოს თავისი ტალანტი და ერთი ორად შესძინოს, თუმცა თავნს არა მარხამს მიწაში, მაგრამ ამ გვარ კაცს ვერ მოჰყავს ასრულებაში, ისა რაც შეუძლიან. საზოგადოების ჩვეულებისა და ადათის მონა არის, მაშასადამე თუ დასწერს რასმეს (ხოლო იმას თითქმის არ შეუძლიან არ დასწეროს რამე,—ნიჭი მნელად ჩაქრება და ჩაგუბდება, არ იქნება თავი არ იჩინოს როგორმე) უნდა შესწიროს იმას ის დრო რომელიც მეტი და ჯობია სხჳა ნაირ საქმეებისა-თვის: წამოავლებს კალამს ქაღს არმინდასავით, ოცნების სავარჯიშებლად, სხჳა და სხჳა შემაწუხებელი ჭაზ-რების გასაფანტავად და გულის გადასაფერად, ერთის სი-ტყვით მაშინ ისა სწერს გასართველად, შესაქცევრად, უქ-მად და ცუდათ ყოფნამ რომ არ დაატყოს იმის გულს და სულს რამე შავი საზი. უეჭველია რომ მაშინ ის ვერ დააკვირდება, ყველა მხრით ვერ შეამსხებს, და ვერც შემო-ხავს თავის აზრს რიგიანად. დიდ ნიჭს დიდი მოსმარე-ბაც უნდა.—იმას უნდა შესწიროს კაცმა თავის სიცოცხ-ლის უძვირფასესნი წამნი. ნიჭიერი კაცი თავის ნიჭის მოგვია, მონაა, დედა, მამაა, მზრდელია, ერთის სიტყვით ყველა ფერია, ის იმას ჰზრდის და აფუფუნებს, მაშასადამე თუ ამის წინააღმდეგ მოქცევა თავის ნიჭს კაცთ ნიჭიერი იმისი შრომა თავის დღეში ვერ დააკმაყოფილებს ხალხის მოთხოვნილებას.

წიგნის უვარგისობის მეორე მიზეზი ის არის, რომე-

საც კაცი არც სამშობლო მამულის სიყვარულს დაგიდევს, არც კაცობრიობაზედ ყურს იბერტყამს, არც ის საგანი იცის რიგიანად. რაზედაც უნდა სწეროს, ცხადათ ხედამს რომ წელი არ მოსდევს.—მაგრამ იმასაცა სურს ფესის ხმას აჰყვეს, ამიტომ დაიწყებს წინ დაუხედავათ წერას, იქნება ხშირად თითონაც არა ჰსჯერა და არა ჰსწამს ისა, რასაცა სწერს. ის ამას გაგებას სულაც არ ეძებს, მარტო სურს სხჳათა შორის მწიგნობრობის მოედანზედ გამოსვლა, იქ ტორტმანი, ლიტერატურების ამქარში ჩაწერა და იმით ცბიერი ლაშქრის რაზმში გარევა, ამ გვარი მიზეზები ახვევენ თავბრუს.—მაშასადამე ესე უნდილ საფუძველზედ დამოკიდებული შრომას უნდა ქარისაც ეშინოდეს, წვიმისაც. რასაკვირველია უმეტეს დროსი და სულ ყველასი განცვე ცოტა გადიერად ხელს შეახებს. ამ გვარი შრომა ცოტა ხანსაც ვერ გასტანებს, ამინების უმალვე დაიქცევა, ამშენებელიცვე იქნება უნებური მოწამე თავის ჴელოვნების სიკჳდილისა.

მესამე, წიგნის ღირსების დამაბრკოლებელი, მიზეზი ის არის, რომლისაც ავტორი, რასაკვირველია სუსტათაცა სცნობს თავის თავს მწერლობის ანგარიშში, არც იმისი თავის მოყვარეობა აქჳს ხასეში, რომ ვითომც ლიტერატორების რაზმში გარიოს, მაგრამ ამისი ჰსაზრი, მე მგონია, წინა ორ მიზეზზედ უფრო მდაბალი იყოს:—ამ გვარი კაცი ხედამს რომ ქჳეყანა გაწრობითა სცხოვრობს, ზოგი რასა ჰყიდის და ზოგი რასა, იმასაც გრძნობს რომ როგორათაც უნდა თავისი თავი აჩვენოს ხალხსა იგეთი ვერ არის, ჴელში ფული არა აქჳს, ჯიბეებ-

ში თავები უთამაშებენ, ასლა ფიქრობს: «მე ხომ კალმის კაცი ვარო. სხჳა თუ სხჳა ნაირის საქონლითა ვაჭრობსო, ჩემთჳსაც ბედსა და იღბალს წერა-კითხვა უხვედრებიაო, ცდა ხომ ბედის მონასყვრეა, მაშ აბა მეც ვეცადო. განა სწავლითვე არ იქნება ვაჭრობა, მეტი ქონება არავის მოსაჭირებია, ვინ რას გაიგებს რა განზრახვით ვსწერო, გავალ ნაწილს ხომ, რა კარგი, თუ არა და ჯანი გავარდეს, იმედივე მაქჳს თუ «სოფელი ვნახე უმადლო, უკუღმით გამოვიარეო.» აი, ბატონებო, ამ გვარი აზრების მქონე ავტორის შრომა უფრო ჩქარა გაიფასდება, ვინამ ზემოხსენებულის ორისა და უფრო სამარახსვიც არის. ამ ყველა მიზეზებითგან სჩანს: მარტო თავის სარგებლობა და სხჳაზედ დაუდევრობა.—მაშასადამე კაცობრიობის და თავისი სამშობლო მამულის სიყუარულის ნაკლულოვანებისაგან.— ვინც და რაც გვიყვარს იმის გულისათჳს საკუთარ სარგებლობას ხშირათ ვივიწყებთ, საყვარელის საგნის ანუ პირის სამსახურზედ საუკეთესო დროს ჩუენის სიცოცხლისას ვხმარობთ, იმისივე გულისათჳს თავის მოყვარეობას სრულიად ვივიწყებთ, იმის სიყვარულით არა დროს არ ვისარგებლებთ ჩუენი აზრების გასამაგრებლათ და [illegible] ახავსებათ და არც ვაჭირებთ წმიდა დაუფასებელის საგნით.

ეს შენიშვნა ჩუენ საზოგადოთ ვსთქვით. ჩუენ ისე არ გავადიდრდებით წინადაუხედავათ ან ერთიდამაბრკოლებელი მიზეზი მიუწეროთ უ. ფურცელაძის წიგნსა და ან მეორე, თუმცა გვგონია რომ სამივე ზემოხსენებულ ცოდვებში ამ ავტორსაც ფეხი ედგას, მაგრამ მაინც, როგორც გვეუბნება ამ წიგნის ღირსება და ნაკლულევანობა ჩუენ

ისე გამოვსთქვამთ და დავათავსებთ, და ვისაც როგორ ენე-ბოს ისე დაინახოს.

ახლა ვთქვათ: სახალხო წიგნს საზოგადოდ რა თჳსე-ბაები უნდა ჰქონდეს?

რადგანაც სახალხო წიგნის პირველი საგანი არის წერა, კითხვის და განათლების გავრცელება მდაბიო ხალხში, წა-ქეზება და წახალისება, — მაშ აქედგან სჩანს, რომ ამ გვარ წიგნს ვალი აქვს: ჯერ ერთი შეაყვაროს ხალხს სწავლა-განათლება და მეორე გაუადვილოს ამის მიღება და სიცო-ცხლეში შეტანა, მაშასადამე მიუცილებელი თჳსება სახალხო წიგნისა მდგომარეობს იმაში, რომ ის იყოს დაწერილი უბრალო, გასაგები, ჩვენი დროების, მდაბიო ხალხის; — ეს ცხადია, რომ ვისაც გნებავსთ რამე ჩააგონოთ, იმ ენა-ზედ უნდა უთხრათ რომელზედაც ის ლაპარაკობს და ეყურება, — თუ არა და, ყველა შრომა ტყუილ-ფუჭათ ჩა-გივლით.

მეორე მიუცილებელი თჳსება ამ გვარ წიგნისა მდგო-მარეობს მასში, რომ ავტორმა მოაქციოს თავის შრომაში ისა, რაც უფრო ახლო არის მდაბიო ხალხზედ, რასაცა აქვს უმეტესად კარგი ანუ ცუდი გავლენა და ზედ მოქმე-დება ხალხის ცხოვრებაზედ; ერთი აქოს და მეორე აძაგოს. ვის არ შეუნიშნავს, რომ როდესაც ახსენებენ ხოლმე მდა-ბიო ხალხის წინ სახელებს იმ ნივთისას ანუ იმ საგნებისას, რომელსაც ის ყოველ დღე ხედავს და ხმარობს, მაგ. ჭირ-ნახულზე[illegible] ადგილ-მამულის შემუშავებაზედ, ხვნა და თე-სვაზედ, [illegible]მზედ, გუთანზე, ან მეზობლობაში რაც ქცე-ვა აქვსთ: ქორწილზედ, ნათლობაზე და ყველა ამ გვარ

ლაპარაკსა, ხომ გინახამთ, როგორ სულ განაზული უგდებენ ხოლმე ყურს მეტადრე გლეხნი და გულში ჩაცინნვით იმეორებენ: «აი, შენი ღმერთის ჭირიმე, როგორ ყველა იცისო, აი, მართლა ეგრე უნდაო,» განა მწერალმა, რომელსაცა სურს ნამდვილი სიკეთის შეძენა ხალხისთვის არ უნდა ისარგებლოს მდაბიო ხალხის ამ გვარი მიდრეკილებით და არ ესაუბროს იმაზედ რაც იმისთვის საჭიროა და მისწეროს, მაშასადამე ხალისითაც მიიღებს და შეიტანს სიცოცხლეში!

ამ წიგნის ავტორს ნუკი ჰგონია, რომ რადგანაც ამოსწერა საბა სულხან ორბელიანის «სიბრძნე სიცრუიდგან» ზღაპრები; რაოდენიმე იგავი ეზოპეს ზღაპრებიდგან, ორიოდე ანდაზები და გამოცანაები, განსვენებული თარგამოსის დროს ენით ნაწერი, თავი ტიმოთეს მოგზაურობითგან, ისტორიული ეპისტოლენი, რომლებზედაც ძალიან შემდგარა და გავრცელებულა, არ ვიცი რომელი მდაბიო ხალხისათვის იყო საჭირო, სულ მოიშორა თავის ვალი. მერე ფიზიკურს სწავლაზედ გადადის ამ წიგნის ავტორი. მაგრამ ყველა ღმერთმა დაგვიფაროთ ამ მაღალ მჭევრ-მეტყველებისაგან, ეს სანატრელად ხსენებულის დიდი ანტონ ქათალიკოზის უნდა იყოს ნაწერი ან უფრო ადრე «იმ განსვენებული თარგამოსის დროს რომ ქართული ენა სუფევდა» მდაბიო ხალხი კი არა, თვით სოლომონ ბრძენსაც მე მგონია გაუჭირდებოდა ამ ფიზიკური საგნების განმარტების და ახსნის გაგება — ისე გაუგებარი ჰაზრებითა და ენით არის ნაწერი. ავიღოთ რაც შეგვხვდეს მაგ. ჰაერის განმარტება «რაჲ არს ჰაერი?» ჰკითხამს ავტორი

თავის თავს და თითონვე უპასუხებს: «ჰაერი არს ფრიად თხელი და წმიდა ნივთი, რომელსაც ჩუენ დროსა სულთქმისა ჩუენისასა, თჳს შორის მივიღებთ და კვალად განუტევებთ». ეს ენის ნიმუში, აბა ახლა ჰაზრების ნიმუში განვიცადოდ და ვიხილოთ: «რაჲ არს ელვა?» — ჰკითხამს და უპასუხებს: «ელვა არს ცეცხლი, რომელიცა ღრუბელთა შიგან გამოსჭვირს». მე დალოცვილო ეგ ყველამ იცის ვისაცკი ელვის სახელი გაუგონია და უნახამს, რომ ელვა ის არის, ცეცხლის გვარად რომ ღრუბლებში გამოსჭვირს, კითხვაც იმაში მდგომარეობს: ცეცხლი, გვარი, ნათელი, რომელსაც ელვას ვუძახით და ღრუბლებში გამოსჭვირს ხოლმე, ღმერთი გადღეგძელებთ ბატონო, ერთი მიბძანეთ, ის განა ილიას ეტლში რომ ცხენები უბია იმით ნალების ჩამონაკვესი არ არისო, და ან ისენი რომ პირიდგან ცეცხლს ამოიფშვინამენ ელვა ის არ არის, მაშ რა არისო?» მე მგონია რომ მდაბიო ხალხმაა ამ გვარად იკითხოს თქუენი ზემოხსენებული ფიზიკური ახსნა და განმარტება, უ. ავტორო, ამისთანა ცრუ მორწმუნოებით გადაბირულ ავათმყოფ ხალხს რას მოუხდება, რა უებარ წამლათ შეუძლიან ემსახუროს?! როგორც ყმაწჳლი, მდაბიო ხალხიც ისე უნდა გამოაფხიზლოს ბურანიდგან და შეაჩვიოს სწავლას. — ესეც უნდა ვთქვათ, რომ მდაბიო ხალხი მართალია ბევრით ემგზავსება ყმაწჳლს, მაგრამ მალიან ბევრი განრჩევაც არის იმათ შორის. ყმაწჳლის ჩაგონება ადვილია, ხინამ მდაბიო ხალხისა; ყმაწჳლს კბილი და წყნარი ლაპარაკით, ჩქარა მიინდომებთ და დაიყოლიებთ რაზედაც გნებავთ, მაგრამ მდაბიო ხალხი ეგრე ჩქარა

არ დაეცვებათ, დიდი მოსაზრება და გულოვნება უნდა, რომ თუნდ სულ ადვილ და უბრალო რამ, მაგრამ ახალი რაც იმას ჯერ არ უნახამს და არ გაუგონია,—ის ჭეშმარიტება ჩააგონო და დაუმტკიცო იმისი სარგებლობა.—ამისი მიზეზი ცხადია: მდაბიო ხალხსაც უცხოვრია, ბევრი უნახამს, ბევრი გამოუცდია და რაც წინ და წინ მიუღია ის თითქმის იმის ბუნებათ გარდაქცეულა, მაშასადამე დიდი ღვაწლი, მეცადინეობა და სწავლა უნდა რომ იმას აგმობინო ცრუ მორწმუნება, რაც თითქმის დედის მუძუსთან მიუღია, და ამისთჳს მკირთვას ჭეშმარიტებათ მიაჩნია;—აქედგან ჰსჩანს, რომ თარიღზედ გამოყვანილი და გადაპოტზედ გამოჭრილი ფიზიკური ახსნა ბუნებისა, ამასთანავე ჴაჯა-მაჴმადიანის დროს ენით დაწერილი, ასე გამოკვანკლული და გამოწუთხული ჴაზრები როგორც უ. ფურცელაძე გვიწერს, ვერ გამოაფხიზლებენ გაბრუებულს მდაბიო ხალხის გოგრებს. იმათ უნდათ კარგა ვრცლათ, ჩუენი დროების მდაბიური ენით დაწერილი, ყველა მუხლებზედ ცხადის მაგალითებით ახსნა ფიზიკურის საგნებისა. მართალია ანდაზები მოსწონს მდაბიო ხალხს, უხარიან როცა წიგნში ნახამს დაწერილს, შეიძლება ამითი წაქეზება და წახალისება სწავლაში, მაგრამ უ. ფურცელაძეს სახალხო წიგნში, ანდაზები არის ამოწერილი ლუთის ანაზრობაზედ, რაც ავტორს მოსვედრია გულ ქვეშ, რასაკჳრველია უ. ჩუბინოვის ქრისტომატიაში. გამოცანაები ხომ ღმერთმა შეინახოს, ამით ამორჩევაზედ სულ არცკი მეფიქრებულა, მდაბიო ხალხს როგორი გამოცანაები უფრო მოსწონს და უფრო მოუხდება,—ერთი ორი ჩაუწერია

ისეთი, რომ არც მთისა და არც ბარისაა. ესეც მართალია რომ მდაბიო ხალხს ლექსები უყვარს, მაგრამ ესეთიკი არა: «აჰა მთიები მთენია.....» ეპიტაფიებსა და სხჳა არხეოლოგიურ და ისტორიულ ლექსებსაც, იმის თანაებს როგორც უ. ფურცელაძე შეაქცევს მდაბიო ხალხს, ის როგორადაც ვერ ეწყობა; მავთელი და ჩახურხაძეც ვერ ეჯამნიკება, —იმასა აქჳს თავისებური სახალხო ისტორიულიცა, არხეოლოგიურიც და სხჳა და სხჳა ნაირი რასაკვირველია ის ამ სახელებს არ უძახის «ლექსები,» რომლებსაც მღერის; ხვნაში, მკაში, რთველში, ღამის ხარში, ქორწილში, ფერხულში. ისტორიულ პირებსაც აქებს თავის ლექსებში: თამარს, ვახტანგს, ერეკლეს და სხჳა მეფეებს, რომლებიც უფრო ახსოვს ხალხს, მაგ. ისა მღერის: ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა, ციდგან ჩამოესხმა რეკა, იალბუზზედ ფეხი შედგა დიდმა მთებმა შექნეს დრეკა და სხ. კიდევ: ერეკლე ჩჳენმა ბატონმა შეუყარა დიდი ჯარია და სხ. ან, თამარ დედოფალი გიყავ სახელი დიდი გავიგდეთ და სხ. სამღერი: შავლეგო, შე შავლეგო, შავლეგო». მაშასადამე რიგიან სახალხო წიგნებს კარებ ჩაკეტილ კაბინეტებში არა სწერენ, მდაბიო ხალხი ჯერ კარგა ნახოს, უნდა გაიცნოს: იმისი ენა, საჭიროება და მიმართულ მიდრეკილება მერე რასაკვირველია კაბინეტში კი არა თუნდ სასტუმრო ოთახში ინებოს წერა, მაინც ეკარგება, ჩჳენ იმას არ ვამბობთ ვითომ უ. ფურცელაძემ სულ არ იცოდეს ენა და მიმართულება ჩჳენი მდაბიო ხალხისა: მაგრამ თუ იცის, ის უფრო ცუდი, რომ არა ხმარობს საქმეში.

ჩჳენ აღარა გვცალიან ამ წიგნზედ საწერათ და უკანა-

სქნელად მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ამ წიგნს არც ერთი იმ ღირსებათაგან არა აქვს, რომლებიც შეადგენენ სასალხო წიგნის მიუცილებელ თჳსებას. ავტორს რაღაც ქეიფში მოსვლია ძველი სტატიების ერთად შეკრება და გამოცემა. სახელზედ ბევრს აღარ შემდგარა, რადგანაც ქრისტომატიები გვაქვს ეს სახელიკი ველარ უწოდებია და დაურქმევია.» საკითხავი წიგნი მდაბიო ხალხისთჳს». თუ ავტორს ის შიში ჰქონდა რომ სხუა მაღალი საზოგადოებისთჳს რომ დავნიშნო ჩემი შრომა არ ივარგებსო და არ გავაო, ეგ არ ვიცი, და მდაბიო ხალხისა რა გარდასასალი იყო?!... ამ წიგნის ენა არის ძველი და აზრები უფრო უძველესი, მაშასადამე სრულიად უვარგისი მდაბიო ხალხისათჳს.—ამ ჩუჱნი ჰაზრების დასამტკიცებლად რომ მოვიყვანოთ იმ წიგნიდგან გამოკრებული ადგილები,—სულ ტყუილი მოცდენა იქნება და არც ღირს ამ წვალებათ და ტანჯუათ, უამისოთაც ვგონებ თავი მოვაწყინეთ მკითხველთა. პატივი გვაქვს ვითხოვოთ რომ თუ ეჭვი აქვს ვისმეს ჩუჱნი სიტყვების სიმართლეზედ და თუ უფრო დარწმუნება ჰსურს ჩუჱნ ნათქვამზედ, მიიღონ შრომა ბევრ მებნაზედკი იმედი ჰქონდეთ არ შესწუხდებიან, საცა ნებავთ გადაშალონ ზემოხსენებული წიგნი, მაშინვე დარწმუნდებიან რომ ჩუჱნი აზრი იმაზედ წარმოსთქმული არა ჭეშმარიტების წინაამდეგად არ არის მისაღები არა კეთილ გონიერი მკითხველისაგან და თუ შევმცდარვართ რასმეში, თვალები აგვისილოს ვინმემ ჭეშმარიტებისა და სიმართლის გულისთჳს ნუ დაიზარებს, რადგანაც უფრო სამადლობელი საქმე იქნება.

ამასთანავე უნდა ვთქოთ, რომ ეს წიგნი არის დაბეჭდილი უშნო—ულაზათო ბეჭდით, რაღაც ფალას ქაღალდზედ; ამისი მიზეზი ტფილისი არ არის, რადგანაც ამაზედ უკეთესი იშოვებოდა აქა. ან რამტელი ათასი ხალხებისათჳსა ნიშნავს თავის შრომას უ. ფურცელაძე, რომ იძახის: «წიგნი საკითხავი მდაბიო ხალხთათჳს?» განა ყაბული არა აქჳს, რომ ჯერ მარტო ქართველ ხალხს მოუტანოს რიგიანი სარგებლობა და თუ სხჳა ხალხები საჭიროთ დაინახამენ რომ ჰქონდეთ ეს წიგნი თავიანთ ენაზედ, მაშინ გადაიღებენ, თუ არა და ძალათ რათ უნდა გადაჰკიდოს და მოახვიოს თავზედ, ან რა ისეთი სამაგალითო ეგონა რომ ერთს ქართველს ხალხსაც არ დააჯერა «საკითხავ წიგნათ ხალხთათჳს» უწოდა. ეს ხომ ყველამ იცის, რასან ვიტყვით: «ქართველი ხალხი». აქ იგულისხმება: იმერელიც, ქართველებიც, კახელიც და ვინც ქართულის ენით ლაპარაკობს და ქართველის ჩამომავლობისა არის;—მაშასადამე «ხალხთათჳს» მრავლობითი რიცხვზედ რაღასა ნიშნავს?!...

არა მიმხედველი ამისთანა ყმაწჳლური შეცდომილებისა კარგა ბლომათ გავიდა ამ წიგნის ეგზემპლიარები, რასაკვირველია არა ნებაყოფლობით მყიდველთ მხრივ, როდესაც რომ რამტელი ფრიად სასარგებლო წიგნი რჩება უყურადღებოთ... ესეც იღბალი... ზოგი რჩებოდა ბედითა, ზოგი ვერც მოჭირვებითა....

ჩონგური ნ. ბარათაშჳლის, ილ. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის და სხჳა მწერლების ლექსების კრება. შედგენილი გ. ლორთქიფანიძისაგან. პეტერბურგი. 1864 წ.

აღზარდე შვლი, მიეც ძალა სულს
საზრდოთ სმარობდე ქრისტესა მცნებას,
შთააგონებდე: კაცის სიყვარულს,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას.

ილ. ჭავჭავაძე.

ამ წინაზედ გამოვიდა პეტერბურღში ეს წიგნი ჩჳენი ქართველის ყმაწვილის ცდილობით და თავსმდებობით. თუმცა ამ წიგნში ისეთი ბევრი არაფერია, რომლებიც არ ყოფილიყვნენ დაბეჭდილი «ცისკარში» და «საქ. მოამბე-ში, მაგრამ მაინც ბევრი კარგი ლექსია ამორჩეული,— სამშობლო მამულის მოყვარე ქართველი არა მცირედს ნუგეშს, იმედს და სიამოვნებას გამოსცდის ამ წიგნის ნახვით და გადაკითხვით.— ჩჳენ სულითა და გულით ურჩევთ ყველა ქართველსა, ვისაცკი შეუძლიან,— ქონიოს ეს წიგნი, რომელსაც პატრიოტული ჰაზრების გარდა სხჳა არა მცირედ ღირსებაცა აქჳს: არის დაბეჭდილი მშჳენიერი ასოებით, საგანგებო ქაღალდზედ, შნოიანათ და არც ძვირია....

ქართული ანბანი—მეორეთ გამოცემული ტფილისში. სტეფანე მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში 1865 წ.

ეს წიგნი, რომელსაც პირველი ნახვითვე ეტყობა, რომ ამის შედგენაში და გამოცემაში არა ანგარიშითი, ანუ თავ-მოწონებითი გრძნობა არის გარეული,—არამედ ამ წიგნის ჰაზრი არის შეაყვაროს და გააბეჯითოს სწავლა-განათლებაში, ისინი ვისთჳსაც ნიშნავს ამ წიგნსა, რომლისათჳსაც არ დაუზოგია არც ჯაფა, არც დრო, და არც სხჳა

რამე რითაცა შეიძლება სწავლის გაადვილება, ისეთი ენით ებაასება ყმაწვილებს და ისეთ ამბავებსა სწერს, რომ მასწავლებელი სიხარულით და ხალისით გარდაიკითხავს, მაგ. სადაც ეს წიგნი ხსნის, უნდა ჩააგონოს ყმაწვილებს თუ რა არის ბუნება და რა ხელოვნება; უ. ფურცელამე-სავითკი არ გაჰყოლია მაღალ-მჭევრმეტყველებითის ორატო-რობას და ძნელ გაუგებარ ჯაზრებს, აი როგორ უხსნის ყმაწვილებს: «რასაცკი ქვეყანაზედა ვხედამთ, რაც ღმერთს გაუჩენია და კაცის ხელს არ გაუკეთებია—ბუნება ჰქვიან: მაგ. კაცი, ძაღლი, ჩიტი და სხ. ხოლო სახლი, ურემი, სკამი, დანა, ჭურჭელი და სხვა იარაღები—ესენი სულ კაცის ხელს გაუკეთებია და ხელოვნებითი საგნებია». აბა ამაზედ უბრალო ენით და ცხადათ რომელი მჭევრმეტყვე-ლობა გამოსთქომდა, ან რომელი ფილოსოფია არის ან-ბანი და ან სახალხო წიგნი რომ მაღალი და ღრმა ფრა-ზები ავარჯიშოს მწერალმა. ის დრო წავიდა, გაფრინდა შავ და უგულმა იმის მეფობა, როდესაც ლამაზი სიტყვე-ბის გულისათვის უაზრობასაც აპატიებდნენ კაცსა. აი კი-დევ ამ ანბანის ღირსება: ამოტოლა, ამ გვარი წიგნები, აბაზათ, სამშაურათ იყიდებოდა და იყიდება ესკი თითო შაურათ არის, რომელიც ქაღალდის ფასსაც ძლივ შეად-გენს,—მაშ ეს წიგნები უნდა იყიდოს თითქმის იმანაცკი, ვისაც არ უნდა......

ან. ხუციშვილი.

1865 წ. 14 აგვისტოს. დიდოეთი,

---